

მერაბ კალანდიაძე

დიმიტრი უზნაძე

საფრანგეთის დიდ რევოლუციასა
და ნაპოლეონზე



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2016

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და შეეხება ისტორიულ მეცნიერებაში აკად. დიმიტრი უზნაძის წვლილს. ამ კუთხით მისი მოღვაწეობა ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით შეგვევსო ეს ხარვეზი და მასზე საგანგებო ყურადღება გაგვემახვილებინა. ეს ჩვენ მიერ დ. უზნაძეზე, როგორც ისტორიკოსზე, ჩაფიქრებული მონოგრაფიის ერთი ფრაგმენტია და შეეხება კონკრეტულ საკითხს – აკად. დ. უზნაძის დამოკიდებულებას საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონისადმი. თემა არის საინტერესო და აქტუალური.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და აკად. დიმიტრი უზნაძის შემოქმედებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი

პროფ. ნაირა მამუკელაშვილი

რეცენზენტები:

პროფ. ალექსანდრე მიქაბერიძე

პროფ. ნინო ნამორაძე

ISBN 978-9941-463-49-5

© მერაბ კალანდაძე, 2016.

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016.

შესავალი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე ფართო დიაპაზონის მეცნიერი ბრძანდებოდა. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქი და აღიარებული თავკაცი ღრმა განსწავლულობას ამჟღავნებდა არა მხოლოდ ფსიქოლოგიასა და მის მომიჯნავე დარგებში – ფილოსოფიაში, პედაგოგიკაში, არამედ მან თავისი წვლილი შეიტანა ისტორიულ მეცნიერებაში. ის სკოლაში ასწავლიდა ისტორიას და აქტიური მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოცემული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. ეს არ იყო პატარა საქმე და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მართებული არ იქნებდა. ამ საკითხის წინ წამოწევა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩინია. ეს საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ მისი მოღვაწეობის ერთი პატარა, მაგრამ ახალი ნახნაგი. მან თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაენია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა და პოპულარიზაცია. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ისტორიული მეცნიერების წინაშე აკად. დიმიტრი უზნაძის წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის დისკრედიტაციის კიდევ ერთ გამოვლინებად გვევლინე-

ბა. მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად და დამოუკიდებელი საქართველოს წარმატებებისადმი საბჭოთა ხელისუფლების ნიჰილისტური დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ის ტაბუდადებულ თემად იქცა და მივიწყების ნისლში გაეხვია. საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ეს თემა პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ის აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა, მეცნიერული განსჯის საგანი გაგვეხადა. წინამდებარე ნაშრომი ამ დარგში აკად. დიმიტრი უზნაძის წვლილის გაშუქების პირველი მცდელობაა.

აკად. დ. უზნაძის წვლილმა ისტორიულ მეცნიერებაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებში დასაწყისში, როდესაც ამ თემას ტაბუ მოეხსნა, საბჭოთა კავშირი დაიშალა. ამ თემაზე კონსულტაციისათვის მივმართეთ პროფ. ედუარდ კოდუას, რომელმაც ჩვენი არჩევანი მოიწონა და გვირჩია ხელი მოგვეკიდა ამ თემის დამუშავებისთვის. ჩვენს წინაშე იშლებოდა კარგი პერსპექტივა. თემა იყო სრულიად ახალი. როგორც პროფ. ბორის პორშნეცს უყვარდა თქმა, „ეს იყო ქალწულებრივი თემა“. სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ამ თემაზე ინტენსიურ მუშაობას ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში შეუდექით, როდესაც გამოვაქვეყნეთ ამ საკითხზე რამდენიმე ნაშრომი. ასე თანდათან გამოიკვეთა წიგნის კონტურები.

წინამდებარე ნაშრომი ორი კუთხით ჩანს საგულისხმო და ორ სერიოზულ პრობლემასთან ასოცირდება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ტაბუდადებულ თემად გვევლინებოდა და, ამიტომ, თითქმის დღემდე სრულიად შეუსწავლელია. უფრო ზუსტად ის ამ ორი დიდი თემის ერთი საინტერესო ფრაგმენტია. ეს თემებია: აკად. დიმიტრი უზნაძე და ისტორიული მეცნიერება; საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის მოღვაწეობის შესწავლა დამოუკიდებელ

საქართველოში 1918-1921 წლებში. ეს წიგნი ამ ორი სერიოზული პრობლემის დამუშავების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია.

წინამდებარე ნაშრომი „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონზე“ ჩვენ მიერ ჩაფიქრებული მონოგრაფიის ერთი ფრაგმენტია და ამ წიგნის ერთგვარი უვერტურა, შესავალია. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელზეც პასუხის გაცემა მიზანშეწონილი იქნებოდა. რითი აიხსნება ამ პრობლემის ცალკე გამოყოფა და რატომ არ შეიძლებოდა მისი განხილვა დ. უზნაძეზე მონოგრაფიაში, როგორც ეს თავდაპირველად გვეკონდა განზრახული?

ამგვარი გადანყვეტილება, ცხადია, შემთხვევითი არ გახლავთ და გამონყვეულია მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური გარემოებებით: პირველი ის, რომ, ეს პერიოდი ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს, რაც, ცხადია, შემთხვევითი არაა და ჩემი მასწავლებლების პროფ. გივი კილურაძის და პროფ. კოტე ანთაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგია. მეორეც – ამ თემის დეტალურად განხილვამ გვიბიძგა იმ აზრისაკენ, რომ უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა მისი ცალკე გამოყოფა? ჩაფიქრებულ მონოგრაფიაში ამ პრობლემატიკის ასე დეტალურად განხილვა, ალბათ, გარკვეულ დისონანსში იქნებოდა დანარჩენ თემებთან და გაცილებით უფრო დიდ ადგილს დაიკავებდა. ხომ არ აღმოჩნდებოდა დანარჩენი საკითხები ამ პრობლემის ჩრდილში? ეს თემატიკა ხომ არ იქნებოდა დომინანტი დანარჩენზე? ასეთი საშიშროების ალბათობა უეჭველად არსებობდა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ამ შეუსაბამობის თავიდან აცილება და მისი ცალკე გამოყოფა, წიგნის სახით გამოცემა. ალბათ, ეს უფრო მართებული იქნებოდა, ხოლო დიდ მონოგრაფიაში ეს საკითხი კომპაქტურად იქნება განხილული.

აკად. დიმიტრი უზნაძის სახით საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის კარგ პედაგოგთან და ჩინებულ პოპულარიზატორთან, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთან.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ წლების განმავლობაში გულმოდგინეთ ვსწავლობდით აკად. დ. უზნაძის დამოკიდებულებას საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონისადმი. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ამ საკითხზე გამოვაქვეყნეთ რამდენიმე ნაშრომი. ახლა მთელ ამ მასალას ერთად მოუყარეთ თავი და გადავწყვიტეთ წიგნად გამოცემა. როგორ გავართვით თავი ამ რთულ მისიას ამას ობიექტური მკითხველი განსჯის.

ქარი პირველი

დღივითი უზნაძე და რეკონსტრუქცია

თავი I

ლიბიტრი უზნაძე და რევოლუცია

პირველ ყოვლისა მიზანშეწონილი იქნებოდა გამოვარკვითოთ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება რევოლუციის პრობლემისადმი. როგორ უყურებდა ის რევოლუციას. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება რთული, ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იყო. იგი ხორციელდებოდა სხვადასხვა ფორმით. რევოლუციები განახლების, წინსვლის ერთ-ერთი ფორმაა. ამიტომ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გამოვარკვითოთ აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება რევოლუციისადმი.

რევოლუციებს მთავარი ადგილი უჭირავს დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში. თავად განსაჯეთ: რეფორმაცია და გლეხთა ომი გერმანიაში, ნიდერლანდების რევოლუცია, მე-17 საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუცია. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, მე-19 საუკუნის ესპანეთის რევოლუციები, 1830 წლის რევოლუცია საფრანგეთში, 1848 წლის რევოლუციები ევროპაში. 1871 წლის პარიზის კომუნა. ამიტომ, ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ აკად. დიმიტრი უზნაძის შეხედულებებში რევოლუციის პრობლემისადმი დამოკიდებულებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია. ეს მცირე მასალა, შესაძლოა, ნამცეცები იყო, მაგრამ საინტერესოა და მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს. აკად. დიმიტრი უზნაძეს აღნიშნულ საკითხზე საგანგებო გამოკვლევა ან სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი, ნიგნი, არ დაუწერია. ის ამ თემას ეხება „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელიც მან ი. გველესიანთან ერთად დაწერა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ სხვა უფრო ხელშესახები მასალა არ მოგვეპოვება. ჩვენს მთავარ წყაროს, სწორედ, სკოლის ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არ ატარებს მარტო აღწერით, თხრობით, ხასიათს. ის ამ საკითხებში საკმაო ჩახედულებას იჩენს, რაც ემპირიული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნას ემყარება. მას გააჩნია ანალიტიკური მუხტი, შეფასებითი დატვირთვა. ამას აქვს მნიშვნელობა და ეს საშუალებას გვაძლევს, ვცადოთ გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება რევოლუციის ფენომენისადმი. ეს მათ მსჯელობას უკვე ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას სძენს. ეს თემა ჩვენ სწორედ ამ კუთხით გვაინტერესებს.

აღნიშნულ საკითხზე აკად. დიმიტრი უზნაძის შეხედულებების ერთმნიშვნელოვნად შეფასება სწორხაზოვნად მიგვაჩნია და რევოლუციისადმი მის შეხედულებაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქნის. საჭიროა საკითხისადმი უფრო დაბალანსებული მიდგომა. უნდა შევეცადოთ გამოვძებნოთ ოქროს შუალედი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ რევოლუციისადმი აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება მარტივი არასოდეს ყოფილა. ის არის რთული, მრავალნახნაგოვანი და საინტერესო. რევოლუცია მათ სასურველად არ მიაჩნიათ, მაგრამ შესაძლებელია. რევოლუციის მოტრფიალეთა შორის აკად. დიმიტრი უზნაძის

მოაზრება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. რევოლუციის მოწინააღმდეგედ მისი წარმოჩენა ასევე სწორი არ უნდა იყოს. მას, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ფრიად სიმპომატურად მიგვაჩნია, რომ აკად. დ. უზნაძე რევოლუციაში ხედავდა „ადამიანის, როგორც უკეთილშობილესი, ისე უმდაბლესი გრძნობების გამოვლინებას“. [1.100]. მთავარია, რომელს მიენიჭება უპირატესობა. თუ პირველზე გავაკეთებთ აქცენტს, მაშინ რევოლუციისადმი სიმპათიებით განენწყობი, ხოლო თუ მეორეზე აიღებ კურსს, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩნდები და რევოლუციას აუგად მოიხსენიებ. ჩვენი აზრით, მისი მიდგომა შუალედური გზის მოძიების მცდელობად გვევლინება. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ის ახლოს მივიდა აზრთან, რომ „რევოლუცია არის პროგრესის ბარბაროსული ფორმა“.

რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას აკად. დ. უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგას, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. მას ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა როგორც მაშინ, ისე დღეს. რევოლუციის ამგვარი გააზრება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ძირითადად, ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია. ეს სულაც არ ამცირებს, ამ საკითხზე აკად. დ. უზნაძის შეხედულების მნიშვნელობას.

* * *

ახლა, მოდით, კონკრეტულად ვნახოთ როგორი იყო აკად. დ. უზნაძის დამოკიდებულება ახალი დროის რევოლუციებისადმი. ამ კუთხით ეს საკითხი ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა.

ახალი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა აკად. დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად ისინი იღებენ მე-15 საუკუნის მიწურულსა და მე-16 საუკუნის დასაწყისს. კონკრეტულად კი, რენესანსს და რეფორმაციას. [1]. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისტორიაში იდეების განვითარებას. ეს იყო ერთ-ერთი სწორი მიდგომა, რომელსაც ძალზე ბევრი მომხრეები ჰყავდა მაშინაც და ჰყავს დღესაც. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ევროპულ ხედვასთან. [2]. ჩვენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული შეხედულება გაგვაჩნია და ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ვიღებთ. ამ შემთხვევაში კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და მხოლოდ დეტალებს შეეხება. [3]. აღსანიშნავია, რომ ევროპაში პირველ რევოლუციად სწორედ რეფორმაცია და 1525 წელს გლეხთა ომი გერმანიაში მოგვევლინა.

რეფორმაციისადმი მათი კეთილგანწყობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისინი სიმპათიებით არიან განწყობილნი მარტინ ლუთერის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით თომას მიუნცერზე. მისი მოძღვრებისადმი თავშეკავებული დამოკიდებულება უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, რეალისტურია. [4.43-46]. მიუნცერი მოითხოვდა გათანაბრებას უკიდურესი სილატაკის დონეზე, რაც განაპირობებდა არა წინსვლას, არამედ რეგრესს, სტანგაციას. ამიტომ მიუნცერის შეხედულებების გაზვიადება, რაც იგრძნობოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. [5].

სახელმძღვანელოში ნიდერლანდების განდგომის ისტორია, ჩვენი აზრით, შედარებით სუსტად, მკრთალადაა გაშუქებული, რაც იმით გამოიხატა, რომ ის თითქოს ჩაიკარგა ინგლისის და ესპანეთის ისტორიაში და ცალკე გამოყოფილი არ ყოფილა. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული ნიდერლანდების

ბრძოლის ეროვნული ხასიათი. მათი სიმპათიები გაცილებით უფრო პროგრესული საწყისისკენ იხრება. ისინი თანაუგრძნობენ ნიდერლანდების ბრძოლას ესპანეთის წინააღმდეგ. სიმპათიებს ამჟღავნებენ უილიამ ორანელის, ეგმონტის, ჰორნის მიმართ. არ თანაუგრძნობენ ესპანეთის პოლიტიკას. მათი კონცეფცია მისაღებაია, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის რაციონალურ მარცვალს წარმოადგენს. ეს იყო საკითხისადმი პროგრესულ-ლიბერალური დამოკიდებულება, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ნიდერლანდების განდგომის ისტორიისადმი მათი სიმპათია, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და, უმთავრესად, ორი გარემოებითაა განპირობებული. ნიდერლანდების განდგომის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათით და მისი კომპრომისული ბუნებით, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. რამდენად ჰქონდათ მათ გაცნობიერებული ნიდერლანდების ბრძოლის ორმაგი მისია – ეროვნული და სოციალური? [4.70-71].

მათ სახელმძღვანელოში, ცხადია, დიდი ყურადღება ეთმობა ინგლისის რევოლუციის გაშუქებას. მათ, როგორც ლიბერალებს მოსწონდათ ინგლისის რევოლუციის კომპრომისული ბუნება. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ რევოლუცია სათავეს უდებს ახალს, უფრო პროგრესულს. ისინი ხაზს უსვამენ ინგლისის რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას, რომელმაც, მათი ღრმა რწმენით, ხელი შეუწყო წინსვლას, პროგრესს. „ამით დასრულდა ის საქმე, რომელიც 1640 წელს დაიწყო ინგლისში. პარლამენტი საბოლოოდ მეფეზე მაღლა დადგა. სტიუარტთა დინასტია, რომელიც მეფის უაღრესად უფლებამოსილებისათვის იბრძოდა, ჩამოგდებულ იქნა, ხოლო ვილჰელმ ორანელმა გვირგვინი პარლამენტისაგან მიიღო. ამ მხრივ მრგვალთავიანების (ასე უწოდებდნენ თანამედროვეები პარლამენტის მომხრეებს) მემკვიდრე ვიგებმა გაიმარჯვეს“. [4.128]. როგორც ხედავთ, ისინი მიესალმებიან ინგლისში კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას. აბსოლუტიზმს და კონსტიტუციურ მონარქიას შორის დაპირისპირების

დროს მათი სიმპათიები უფრო პროგრესული საწყისისაკენ – კონსტიტუციური მონარქიისკენ იხრება. [6]. ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი, როგორც ლიბერალები თანაუგრძნობდნენ 1688 წლის სასახლის გადატრიალებას, რომელსაც ლიბერალურმა ისტორიოგრაფიამ „სახელოვანი რევოლუცია“ უწოდა. მათი მთავარი ტონის მიმცემი ჯონ ლოკი და დევიდ იუმი იყვნენ.

დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლამ ფართო გამოძახილი ჰპოვა ძველ სამყაროში და აღტაცება გამოიწვია. სახელმძღვანელოს ავტორების სიმპათიები სულ მთლიანად ამბოხებული კოლონიების მხარეზეა და არ თანაუგრძნობს ინგლისის მონარქიას. [1.23-29]. მათ მოსწონთ მისი ზომიერი, კომპრომისული ხასიათი. ამერიკელი ისტორიკოსების ს. მორისონის და ჯ. კომაჯერის თქმით „რევოლუციის დასასრული გამოხატავდა არა მარტო ბელადების, არამედ ხალხის ინტერესებს“. ასეთია ლიბერალური თვალსაზრისი. ისინი ყოველთვის დიდ პატივს მიაგებენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და ქართული რეალობის ანარეკლი მოსჩანს. რამდენად ჰქონდათ გაცნობიერებული მათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორმაგი მისია – ეროვნული და სოციალური? ხომ არ დაჩრდილა მათ თვალში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეროვნულმა ხასიათმა სოციალური ასპექტები? [7].

ევროპული რევოლუციების პირველ ციკლზე საუბარი საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულებით უნდა დავასრულოთ. [1.84-118]. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს ისინი პროგრესულ ლიბერალურ პოზიციაზე დგანან. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება მათი სიმპათიები საფრანგეთის რევოლუციის პირველი პერიოდისადმი (1789-1792), როდესაც რევოლუციის მსვლელობა სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. საფრანგეთში შეიქმნა კონსტიტუციური მონარქია. ძველი რეჟიმის შემდეგ, ეს გრანდიოზული მნიშვნელობის თვისებრივი სიახლე იყო.

სულ მალე რევოლუცია გასცდა კონსტიტუციური მონარქიის ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი რადიკალურ-დემოკრატიული ხასიათი შეიძინა. ის მეტად აღარ პასუხობდა მათ პოლიტიკურ იდეალს. აქედან იღებს სათავეს რევოლუციის შემდგომი მსვლელობით გამონვეული იმედგაცრუება. იაკობინთა დიქტატურისადმი მიდგომა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. [8]. ფრანსუა შატობრიანის თქმით „საფრანგეთის რევოლუცია პატრიციებმა დაიწყეს და პლებეებმა დაამთავრეს“ ლიბერალი დ. უზნაძისათვის რევოლუციის ასეთი გაგრძელება მიუღებელი აღმოჩნდა.

ახლა გადავიდეთ ევროპული რევოლუციების მეორე ციკლზე. პირველ ყოფლისა უნდა აღინიშნოს, მე-19 საუკუნის ესპანეთის რევოლუციებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. სახელმძღვანელოში ეს საკითხში განხილულია შედარებით სუსტად, მკრთალად. ცოტა ადგილი აქვს დათმობილი. ეს მე-19 საუკუნის ესპანეთის რევოლუციებზე ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლეებს, საერთო წარმოდგენას ვერ შეუქმნის. ამგვარი მიდგომა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და რუსი ისტორიკოსის პროფ. პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია. სახელმძღვანელოს ავტორების სიმპათიები ლათინურ ამერიკაში, პირინეებზე და აპენინებზე მიმდინარე გარდაქმნებისადმი სავსებით სწორია და, მათი შეხედულებების პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს. რევოლუციების ესპანური ციკლის გათვალისწინება, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა და მე-19 საუკუნის ევროპული რევოლუციების ამომწურავ, სრულყოფილ სურათს მოგვცემდა. შინაარსობრივად უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს. [1.145-147].

თუ ესპანეთის რევოლუციების ციკლის გაშუქებამ გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩინა, ამ ეპოქის რევოლუციების ფრანგულ ციკლზე ამას ვერ ვიტყვით. ეს აღნიშნულ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. დავიწყოთ 1830 წლის

რევოლუციით საფრანგეთში. სახელმძღვანელოში ეს საკითხი განხილულია ძალიან მოკლედ, ლაკონურად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1830 წლის ივლისის რევოლუციის ზომიერი, კომპრომისული ხასიათი ძალიან კარგად შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. [1]. ისინი მიესალმებიან ბურბონთა მონარქიის დამხობას და 1830 წლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად, კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას. მათი სიმპათიები სულ მთლიანად პროგრესული საწყისისკენ – კონსტიტუციური მონარქიისკენ იხრება. გამოვთქვამთ ძალზე ფრთხილ ვარაუდს, ხომ არ იყო კონსტიტუციური მონარქია დ. უზნაძის პოლიტიკური იდეალი?

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ყურადღება ექცევა 1848 წლის რევოლუციების გაშუქებას საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს რევოლუციები ზომიერ, კომპრომისულ ხასიათის ატარებდა და ძალიან კარგად თავსდება მათი ლიბერალური შეხედულებების ჩარჩოებში. [1.157-159]. რევოლუციის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზებისადმი შედარებით თავშეკავებული დამოკიდებულება ამ თემაზე მათი მსჯელობის მინუსად შეიძლება მივიჩნიოთ.

დაბოლოს, ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, შევჩერდებით მათ დამოკიდებულებას 1871 წლის პარიზის კომუნისადმი, რომელსაც თავისი შინაარსით ცოტათი განსხვავებული ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის ევროპული რევოლუციების ციკლში. პარიზის კომუნის ისტორიული მნიშვნელობის გადაჭარბება, გაფეტიშება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და გარკვეული კორექტივების შეტანას საჭიროებს. [9]. პარიზის კომუნისადმი მათი დამოკიდებულება რეალისტურია და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს. ალბათ, სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ სახელმძღვანელოში პარიზის კომუნა განხილულია ძალიან მოკლედ, ლაკონურად, ყოველგვარი ალტკინებისა და ხოტბა-დიდების გარეშე. ეს არის სწორი მიდგომა.

საფიქრელია, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს ევროპული რევოლუციების პირველი ციკლი უფრო მნიშვნელოვნად ესახებოდათ, ვიდრე მეორე. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ მთავარი სწორედ პირველი ციკლი იყო. მან მძლავრი სტიმული მისცა ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პროცესს. ეს იყო სწორი მიდგომა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა, კომპოზიცია. მნიშვნელოვანწილად, ალბათ, ამით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში ევროპული რევოლუციების პირველ ციკლს გაცილებით დიდი ყურადღება და მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე მეორეს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და მას გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რევოლუციის მოწინააღმდეგედ აკად. დ. უზნაძის მოაზრება არ იქნება ლოგიკური. უზნაძესად უნდა აღინიშნოს, რომ დ. უზნაძე არასოდეს არ ყოფილა განახლების, პროგრესის წინააღმდეგი. მთავარი ის იყო, თუ რა ფორმით განხორციელდებოდა ეს. ის რევოლუციის მოწინააღმდეგე რომ ყოფილიყო თავის სახელმძღვანელოში ამ თემას ამდენ ყურადღებას და ადგილს არ დაუთმობდა. აკად. დ. უზნაძეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა. მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ფრანგი ისტორიკოსის, ჟან ჟორესის თქმით „რევოლუცია არის პროგრესის ბარბაროსული ფორმა“. დ. უზნაძისათვის, როგორც ლიბერალისათვის, ეტყობა, ძალიან მახლობელი და მისაღები იყო პრინციპი „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრეთ“.

აკად. დიმიტრი უზნაძე საზოგადოების ევოლუციური გზით გარდაქმნის მომხრეა. ის მხარს უჭერს რევოლუციას ზემოდან, როდესაც ხორციელდება თანდათანობითი გარდაქმნები, რეფორმები, განათლებული აბსოლუტიზმის სულისკვეთებით. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება მისი სიმპათიები რეფორმაციისადმი, ნიდერლანდების განდგომის ისტორიისადმი, ინგლისის რევოლუციისადმი, 1688 წლის გადატრიალებისადმი ინგლისში,

ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792), 1830 წლის ივლისის რევოლუციისადმი საფრანგეთში, 1848 წლის რევოლუციებისადმი ევროპაში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და რევოლუცია ზემოდან, ლიბერალური გარდაქმნები, ძალიან კარგად შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს. რევოლუციას ქვემოდან, როდესაც გარდაქმნები ხორციელდება მასების აქტიური მონაწილეობით, ის არ თანაუგრძნობდა. დ. უზნაძის, როგორც ლიბერალისათვის რევოლუციური ექსცესები, უკიდურესობანი, პირველ რიგში კი, ბრძოლის პლებეური მეთოდები, მიუღებელი უნდა ჩანდეს. ის რევოლუციის შემდგომ, რადიკალიზაციას, დემოკრატიზაციას, სიმპათიებით არ ეკიდება. აქედან იღებს სათავეს იაკობინთა დიქტატურისადმი მისი ხისტი დამოკიდებულება. აკად. დ. უზნაძე, როგორც ლიბერალი, თანაუგრძნობს 1789 წლის პრინციპებს, რევოლუციას ზემოდან, ხოლო 1793 წლის პრინციპებს რევოლუციას ქვემოდან თავშეკავებით ეკიდებოდა. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ძალიან კარგად გამოხატავდა ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის სულისკვეთებას.

სახელმძღვანელოს ავტორები რევოლუციის მიღწევებს აფასებენ ლიბერალიზმის მიხედვით, რომელსაც მიიჩნევენ დემოკრატიის სანიმუშო მოდელად. ეს იყო ერთ-ერთი სწორი მიდგომა, რომელსაც ძალიან ბევრი მომხრეები ჰყავდა როგორც მაშინ, ისე დღეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის არ გვევლინება უკანასკნელ ჭეშმარიტებად. რევოლუცია არ წარმოადგენს ლიბერალური ინტელიგენციის მონოპოლიას.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ სახელმძღვანელოში რევოლუციების პოლიტიკური ისტორიის გადმოცემას პრიმატობა ენიჭება და ემპირიული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნაზეა დაფუძნებული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. რევოლუციების სოციალ-ეკონომიკური ისტორია სახელმძღვანელოში განხილულია

შედარებით მკრთალად, სუსტად. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და, უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიაში სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოთ დამუშავებული, ამგვარი მიდგომა ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში.

* * *

ამგვარად, ევროპული რევოლუციების შეფასების დროს სახელმძღვანელოს ავტორები, უმთავრესად, პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზე იყვნენ ორიენტირებულნი. ეს არის საკითხისადმი ერთ-ერთი რეალისტური მიდგომა, რომელსაც აქვს არსებობის უფლება და ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა, როგორც მაშინ, ისე ახლა. ასეთი ხედვა სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ამას ჩადიოდა საბჭოთა იდეოლოგია, სწორი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოს ავტორები, უმთავრესად ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციებზე აკეთებდნენ აქცენტს. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერულია და ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, პირველ ყოვლისა, სუვერენული საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს, თავისუფალი აზროვნების, პლურალიზმის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. აღნიშნული პრობლემისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანის მიდგმა მეცნიერულია. რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის შეფასების დროს ისინი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგნენ. ეს სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს. მათი სახით, საქმე

გვაქვს საზოგადოების ევოლუციური გზით გარდაქმნის მომხრეებთან. „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრიოთ“. ისინი მიესალმებიან რევოლუციას ზემოდან, როდესაც ხორციელდება რეფორმები, თანდათანობითი, გარდაქმნები, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. რევოლუცია ქვემოდან, როდესაც მასები აქტიურად მონაწილეობენ რევოლუციის მსვლელობაში და გავლენას ახდენენ მის შედეგზე, ისინი არ თანაუგრძობენ. რევოლუციური პროცესის ამგვარი განვითარება არ შეესატყვისება მათ პოლიტიკურ იდეალს. რევოლუცია არ წარმოადგენს ლიბერალური წრეების მონოპოლიას. რევოლუციის შედეგებს ისინი აფასებენ ლიბერალიზმის მიხედვით, რომელსაც მიიჩნევენ დემოკრატიის სანიმუშო მოდელად. ეს იყო სწორი მიდგომა, რომელიც კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობილებას და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
2. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციაზე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის, ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია. თბ., 2011.
3. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის – მაცნე, ისტორიის სერია, 2. 1992. კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1-2. 1992.

- М. Каландадзе, Грузинские школьные учебники по новой истории – «Преподавание истории в школе», №7. 1994.
4. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVI-XVII სს.), თბ., 1920.
 5. М. Смирин, Народная реформация Томаса Мюнцера и великая крестьянская война. М., 1955.
 6. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე ინგლისის რევოლუციაზე – ჟურნ.: „ანალები“, 12, თბ., 2016. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე კრომველზე – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3-4. 2016.
 7. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები – ქართველოლოგია 5. თბ., 2013. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
 8. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 12. თბ., 2013. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე – ქართული დიპლომატია, წედინდეული. 17. თბ., 2015. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე იაკობინთა დიქტატურაზე – გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომების კრებული, ნან. 4. თბ., 2013. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე იაკობინთა ბელადებზე – ქართული დიპლომატია, წელიწდეული 16. თბ., 2013.
 9. История Парижской коммуны 1871 года, М., 1971.

ქარი ბორა

დამიტრი უზნაძე

საფრანგეთის დიდ რევოლუციას

თავი I

დიმიტრი უზნაძის საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციისა და

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხი. როგორი იყო აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციისადმი? აღნიშნულ საკითხზე ისტორიკოსებს შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მიმდინარეობს ცხარე კამათი და გამოთქმულია არაერთი განსხვავებული მოსაზრება. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება შევეცადოთ გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციისადმი.

აკად. დიმიტრი უზნაძის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს, რომელიც მან დაწერა ი. გველესიანთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ პლუსად ახალი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისადმი სწორი, მეცნიერული მიდგომა მიგვაჩნია. ის შეესატყვისებოდა საერთაშორისო სტანდარტებს და სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს. მათ, შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად ესახებოდათ XV საუკუნის დასასრული და XVI საუკუნის დასაწყისი. კონკრეტულად კი, რენესანსი და რეფორმაცია. [1]. ამჯერად, საქმე გვაქვს ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის პერიოდიზაციასთან. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ საკითხში ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია. საქმე ისაა, რომ აკად. დიმიტრი უზნაძეს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე საგანგებო ნაშრომი ან სტატია არ დაუწერია. საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციას დ. უზნაძე თავის სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია“ [2] რომელიც მან ი. გველესიანთან ერთად დაწერა, საგანგებოდ არ შეხებია და ეს არც იყო აუცილებელი, მაგრამ თუ კარგად ჩავეუკვირდებით, დავინახავთ, რომ სახელმძღვანელოში არის საინტერესო მინიშნებები საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევეცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის არქიტექტონიკა, სტრუქტურა. აქცენტების დასმა. ხომ არა შეიცავს ეს მინიშნებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე?

საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მათი შეხედულებების შესწავლა მიზანშეწონილი იქნებოდა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხისადმი დამოკიდებულების გარკვევით დაზინყოთ.

მიუხედავად, ჩვენს ხელთ არსებული ძუნწი ინფორმაციისა, ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გამოგვერკვია ეს საკითხი და უფრო მეტი ნათელი მოგვეფინა მისთვის.

* * *

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხი ერთ-ერთი რთულია. აღნიშნულ პრობლემაზე ისტორიკოსთა შორის ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა და გამოთქმულია ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შეხედულებები.

ისტორიკოსთა ერთი დიდი ნაწილი (ფ. მინიე, ა. ტიერი, ა. სორელი, ჟ. და კ. ვილარები, ა. სობული და სხვ.) ფიქრობენ, რომ

ნაპოლეონის მმართველობა წარმოადგენდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაგრძელებას და, მათი ღრმა რწმენით, რევოლუცია დასრულდა 1814 წელს. მათ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდად ესახებოდათ 1789-1814 წლები. ეს იყო ერთი ხედვა. არის სხვა თვალსაზრისიც.

ზოგიერთ ისტორიკოსს (ა. ოლარი, ფ. სანიაკი) მცირე კორექტივები შეაქვს ამ პერიოდიზაციაში და ამტკიცებდნენ, რომ ნაპოლეონის იმპერია არ შეიძლება მივიჩნიოთ რევოლუციის ხანად, მაგრამ კონსულობის პერიოდი კი ესახებათ რევოლუციის გაგრძელებად და რევოლუციას 1804 წელს ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევით ასრულებენ. მათი თვალსაზრისით, საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაა 1789-1804 წლები. ეს მეორე ხედვა იყო.

ისტორიკოსთა მესამე ჯგუფი კი ფიქრობს, რომ საფრანგეთის რევოლუცია სრულდება 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებით. ამ მოსაზრების მომხრეა ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი პიერ შონიუ. იგი ფიქრობს, რომ „ეს ათი წელი ყველაზე უფრო საშინელი იყო ჩვენს ისტორიაში“. აქ ის, რა თქმა უნდა, 1789-1799 წლებს გულისხმობდა.

სრულიად განსხვავებული პოზიცია ამ საკითხში დაიკავა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. მათი ღრმა რწმენით, საფრანგეთის დიდი რევოლუცია უნდა დავასრულოთ 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისი) სახელმწიფო გადატრიალებით. მათ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია ასე ესახებათ 1789-1794 წლები. 9 თერმიდორის სახელმწიფო გადატრიალებით რევოლუციის დასრულება ნაადრევი უნდა იყოს და გარკვეულ უკმარობის გრძნობას გვიჩენს. [3]. ახლა შევეცდებით გამოვარკვიოთ როგორი შეიძლება ყოფილიყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხისადმი ავტორების მიდგომა. რომელ ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენი ავტორები?

* * *

პირველ ყოვლისა პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოს ავტორების თვალსაზრისს, თუ რა მიმართება არსებობდა საფრანგეთის რევოლუციას და ნაპოლეონის ეპოქას შორის. ამის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე დიდადა დამოკიდებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხში მათ მიერ დაკავებული პოზიცია. რა პოზიცია უკავიათ ამ პრინციპულ საკითხში სახელმძღვანელოს ავტორებს? სად გადის, მათი აზრით, სადემარკაციო ხაზი საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ნაპოლეონის ეპოქას შორის. ანდაც, მათი აზრით, ამ პერიოდს შორის ზღვარი არ არსებობდა და ეს რევოლუციის ხანა იყო, როგორც ამას ფიქრობდა ბევრი ისტორიკოსი?

ორი ვერსია იკვეთება. შესაძლოა, ისინი ფიქრობდნენ რომ სადემარკაციო ხაზი საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ნაპოლეონის რეჟიმს შორის გადიოდა 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებაზე. (ეს ერთი ვერსიაა). შეიძლება ისინი ამას აღიქვამენ როგორც მნიშვნელოვან ზღვარს საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიგნით. (ეს მეორე ვერსიაა). ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ხანის მკვეთრი გამიჯვნის მცდელობასთან. მეორეში კი არა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ შემთხვევაში საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაცია ქრონოლოგიურად მოიცავს 1789-1799 წლებს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი არა. ის ასე გამოიყურება 1789-1814 წლები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენმა შეხედულებებმა გარკვეული ევოლუცია განიცადა და მასში სერიოზული კორექტივების შეტანა მოგვიხდა. თავდაპირველად ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობდით და მიგვაჩნდა, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად ესახებოდათ 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალება და საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდად აღიქვამდნენ 1789-1799 წლებს. [4]. სასურველი შესაძლებლად მივიღეთ. ეს არ იყო სწორი.

შემდგომში სრულიად განსხვავებული აზრი გაგვიჩნდა და მოგვინია ამ შეხედულების გადასინჯვა. [5.386]. ამ მეორე ვერსიას ჩვენ არ გამოვრიცხავდით, მაგრამ უპირატესობას უფრო პირველს ვანიჭებდით.

მაშ ასე, სახელმძღვანელოს ავტორების თვალსაზრისით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდია 1789-1799 წლები, როგორც ჩვენ ეს თავდაპირველად გვესახებოდა, თუ 1789-1814 წლები, როგორც ეს სინამდვილეში შეიძლება იყოს? არის ერთი გარემოება, რომელმაც პირველი ვერსიის მიმართ სკეპტიკურად განგვანყო. თუ ისინი ფიქრობდნენ, რომ სადემარკაციო ხაზი საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის პერიოდს შორის 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებაზე გადის, მაშინ ეს უნდა გაეკეთებინათ მკაფიოდ, გამჭვირვალედ და საყოყმანო არაფერი არ იქნებოდა, მაგრამ ისინი ასე არ იქცევიან, რაც გვაფიქრებინებს, რომ 1799 წლის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებას, ასეთ დატვირთვას, ალბათ, არ ანიჭებდნენ. სახელმძღვანელოს ავტორებს, ეტყობა, ეს ესახებოდათ, როგორც მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიგნით. მათი ღრმა რწმენით, რევოლუცია კი არ დასრულდა, არამედ გრძელდება. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამ საკითხისადმი მათი მიდგომა ასეთი შეიძლება ყოფილიყო. ჩვენ, მეტად ფრთხილად, უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ისინი ნაპოლეონის მოღვაწეობას საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაგრძელებად აღიქვამდნენ. თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება საფრანგეთის დიდი რევოლუციის საზღვრებად მივიჩნიოთ, არა 1789-1799 წლები, როგორც ეს თავდაპირველად გვეჩვენებოდა, არამედ 1789-1814 წლები. დ. უზნაძე და ი. გველესიანი იმ ისტორიკოსების ჯგუფში უნდა მოვიზაროთ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საფრანგეთის რევოლუციის ხანა იყო 1789-1814 წლები.

ამრიგად, ავტორებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქრონოლოგიურ ჩარჩოებად 1789-1814 წლები შეიძლება ესახებოდეთ.

ასეთ მიდგომას ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს და გააჩნია არსებობის უფლება. ეს იყო, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი გავრცელებული და მისაღები პერიოდიზაცია, რომელიც, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს.

საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის მმართველობას შორის გენეტიკური კავშირი, უეჭველად, არსებობს და ამაში, სახელმძღვანელოს ავტორები, სავსებით მართალი იყვნენ. ეს მათი შეხედულების პლუსია. მაგრამ საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის გაიგივება, ალბათ, მანც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ნაპოლეონს ყოველთვის უყვარდა თქმა, რომ ის „საფრანგეთის რევოლუციის შვილობილია“. საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის ეპოქას შორის არის მსგავსება, მაგრამ პრინციპული განსხვავება არსებობს და ამაზე თვალის დახუჭვა უმართებულო იქნებოდა. რევოლუციის დროს არსებული ნგრევა, ქაოსი თანდათანობით ჩაანაცვლა სტაბილურობამ. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი იყო, რომელსაც გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. [6. 7.]. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსის ვ. კლუჩევსკის თქმით „ნაპოლეონი საფრანგეთის რევოლუციის რეაქციულ ეპილოგში მოხარხარე მეფისტოფელის როლს ასრულებდა“.

არის საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის სხვა ვარიანტი, რომელიც უფრო მისაღები გვგონია. საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის ხანას შორის სადემარკაციო ხაზი 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალებაზე გადის. ამიტომ, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდად მივიჩნიოთ 1789-1799 წლები. [8]. ეს მონაკვეთი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქა – 1789-1815 წლები პირობით ორ ქვეპერიოდად იყოფა. საფრანგეთის დიდი რევოლუცია (1789-1799) და ნაპოლეონის მმართველობა (1799-1815).

როდის დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია? ეს საკითხი არანაკლებ საინტერესოა და ისტორიკოსთა შორის კამათს იწვევს. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (ა. მათიეზი, ჟ. ლეფევერი, ჟ. გოდშო) საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1787 წელს ნოტაბლეების კრების მოწვევით იწყებს. [9. 10. 11.]. აქედან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყება ნაადრევი უნდა ჩანდეს და ისტორიკოსთა დიდი ნაწილის მიერ, სავსებით სამართლიანად, არ იქნა გაზიარებული. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი (ა. ოლარი, ე. ტარლე) საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისად მიიჩნევს გენერალური შტატების მოწვევას 1789 წლის 5 მაისს. [12. 13.]. ისტორიკოსთან მესამე ჯგუფი (ა. მანფრედი) რევოლუციის დასაწყისად ასახელებს 1789 წლის 14 ივლისს, ბასტილიის აღებას. [14. როგორც ჩანს, სახელმძღვანელოს ავტორები, უფრო იმ აზრისაკენ იხრებიან, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია დაიწყო 1789 წლის 5 მაისს გენერალური შტატების გახსნით. ისინი საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის თხრობას სწორედ, აქედან იწყებენ. [2.84-86]. ეს უნდა იყოს სწორი მიდგომა. ამ სამი თარიღიდან, გენერალური შტატების გახსნით, 1789 წლის 5 მაისს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის დაწყება, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი უნდა იყოს.

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ვცადოთ გამოვარკვიოთ ავტორების მიმართება საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიდა პერიოდიზაციისადმი. რამდენ ეტაპად ყოფდნენ ისინი საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ამ პერიოდების შიგნით რა ქვეპერიოდებს გამოყოფდნენ?

თუ ყურადღებით ვიქნებით, აუცილებლად დავინახავთ, რალაც მინიშნებას იმის თაობაზე თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ავტორები საფრანგეთის დიდ რევოლუციას, შესაძლოა, ორ პერიოდად ყოფდნენ: 1. კონსტიტუციური მონარქიის დამყარება საფრანგეთში 1789-1792 წლები. და 2. პირველი რესპუბლიკა 1792-1799 წლებში. ასეთი მიდგომა სწორი უნდა იყოს და მისაღე-

ბია. აქ აქცენტი კეთდება რესპუბლიკას და კონსულობის ხანას შორის მიჯნაზე. ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი, თუმცა უკმარობის გრძნობა მაინც რჩება. ვგულისხმობთ იმას, რომ რესპუბლიკის ერთი მონაკვეთი კონსულობაში აღმოჩნდა. აქ საქმე გვაქვს, საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის (1792-1804) რთულ ბუნებასთან. რესპუბლიკა მხოლოდ ფორმალურად განაგრძობს არსებობას. რეალურად ეს ნაპოლეონის ეპოქაა. ამიტომ ასეთ დაყოფას გააჩნია თავისი სიმართლე.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ყველაზე გამჭვირვალე სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი პერიოდის, კონსტიტუციური მონარქიისადმი (1789-1792 წლები) დამოკიდებულება ჩანს. მას მკვეთრად გამოკვეთილი მიჯნა გააჩნია და ორ ქვეპერიოდად იყოფა. ამ ეპოქის შიგნით, ცხადია, მნიშვნელოვანი ნიშანსვებია საკანონმდებლო კრების მონვევა 1791 წლის 1 ოქტომბერს. 1. გენერალური შტატების გახსნიდან 1789 წლის 5 მაისი დამფუძნებელი კრების დახურვამდე 1791 წლის 30 სექტემბრამდე. 2. საკანონმდებლო კრების გახსნიდან 1791 წლის 1 ოქტომბერი, 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებამდე. [2. 84-97 და 97-100]. აქ ყველაფერი გამჭვირვალეა და ცხადია.

გაცილებით უფრო რთულია სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეორე პერიოდის რესპუბლიკის 1792-1799 წლების შიდა პერიოდიზაციის გამორკვევა. ამ მონაკვეთს სახელმძღვანელოს ავტორები პირობით ორ პერიოდად შეიძლება ყოფდნენ: 1. ეროვნული კონვენტი (1792-1795 წწ.) და 2. დირექტორია (1795-1799 წწ.). პირველი მონაკვეთის შიდა პერიოდიზაცია ასეთი შეიძლება ყოფილიყო და მას წმინდა პოლიტიკური ისტორია ედო საფუძვლად. 1. ჟირონდისტული კონვენტი 1792 წლის 22 სექტემბერი-1793 წლის 31 მაისი-2 ივნისი. 2. იაკობინთა კონვენტი-1793 წლის 31 მაისი-2 ივნისი 1794 წლის 9 თერმიდორი (27 ივლისი), 3. თერმიდორიანული კონვენტი 1794 წლის 9 თერმიდორი (27 ივლისი) – 1795 წლის 26 ოქტომბერი. ჩვენს ამ

ვარაუდს ამყარებს კიდევ ერთი გარემოება. სხვა გზა, რომლითაც ისინი შეიძლება წასულიყვნენ, უბრალოდ არ ჩანს. ამიტომ შეიძლება ვენდოთ ამ ვერსიას.

დირექტორიის ეპოქის შიგნით სახელმძღვანელოს ავტორები რაიმე სერიოზული მიჯნის არსებობაზე მინიშნებას არ იძლევიან და რაიმეს ვარაუდი ძნელი იქნებოდა.

ფაქტობრივად, ამით მთავრდება საფრანგეთის დიდი რევოლუცია და იწყება ნაპოლეონის ეპოქა. ეს სულ სხვა პერიოდია და მას, ბუნებრივია, თავისი პერიოდიზაცია გააჩნია, [15] მაგრამ ეს უკვე აღარაა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია.

ეს ნაპოლეონის ეპოქის პერიოდიზაციაა. ეს სხვა თემაა.

საფიქრელია, რომ ამ მონაკვეთს ისინი, ორ პერიოდად შეიძლება ყოფდნენ. 1. კონსულობის ხანა (1799-1804) და მეორე იმპერია (1804-1815). კონსულობის ეპოქის შიგნით, სახელმძღვანელოს ავტორები, მკვეთრ აქცენტებს არ სვამენ და რაიმე ვარაუდების გამოთქმა ძალიან ჭირს. რაც შეეხება იმპერიას, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მათი მიდგომა ასეთი შეიძლება ყოფილიყო. ისინი იმპერიის ეპოქას, შესაძლოა, ორ პერიოდად ყოფდნენ. იმპერიის აღზევება 1805-1811 წლები და იმპერიის აღსასრულის დასაწყისი და მისი აგონია 1812-1815 წლები. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება, მაგრამ მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. [15].

* * *

დასკვნის სახით: დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო შეიცავს გარკვეულ მინიშნებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის შესახებ. ასეთად მიგვაჩნია სახელმძღვანელოს სტრუქტურა, არქიტექტონიკა. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოს გეგმა: 1. ძველი რეჟი-

მი, 2. რესპუბლიკა, 3. დირექტორია, 4. ნაპოლეონი. დააკვირდით, ნაპოლეონის ხანა ცალკე კი არაა გამოყოფილი, არამედ რევოლუციის გაგრძელებად მოიაზრება. ალბათ, ეს რალაცას უნდა ნიშნავდეს.

ჩვენ შეგვეძლო ამ საკითხისათვის საერთოდ გვერდი აგვევლო და არც კი წამოგვეჭრა, მაგრამ ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ და შევეცადეთ გამოგვერკვია თუ როგორი შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციისადმი მათი დამოკიდებულება. ვფიქრობთ, ეს მიდგომა გაცილებით საინტერესო უნდა იყოს. საფრანგეთის დიდი რევოლუციაზე მათი შეხედულებების განხილვა სრული არ იქნებოდა თუ არ შევეხებით პერიოდიზაციის საკითხს. ეს ამ პრობლემაზე მათი შეხედულებების შესახებ უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნის.

აქ წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელიც გარკვეულ სკეფსის წარმოშობს და ამიტომ მასზე პასუხის გაცემა მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ის ეხება აქ გამოთქმულ ვარაუდებს, ჰიპოთეზებს, რამდენად სანდოა ისინი? ვარაუდების სიმრავლემ არ უნდა შეგვაშინოს და პესიმისტური განწყობის საფუძველს ნაკლებად იძლევა. „მეცნიერება ჰიპოთეზების სასაფლაოა“. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი რომანის გმირის ფრანგი გეოგრაფის ჟან პაგანელის თქმით „ჰიპოთეზებს მივყავართ მეცნიერებამდე“. ამიტომ მათი სრული უგულებელყოფა, იგნორირება, ალბათ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე სახელმძღვანელოს ავტორების მსჯელობის მთავარ პლუსად საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციისადმი სწორი მეცნიერული მიდგომა მიგვაჩნია. ასეთი პოზიცია, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, სახელდობრ, პროფ. პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს გამოცხილია.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ საფრანგეთის დიდ რევოლუციურ-პერიოდიზაციაზე მათი მოსაზრება ასეთი შეიძლება ყოფილიყო.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, სახელმძღვანელოს ავტორები, შეიძლება ნაპოლეონის მმართველობას რევოლუციის ხანად მიიჩნევდნენ და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქად ესახებოდათ 1789-1814 წლები. გასათვალისწინებელი, რომ მაშინ XX საუკუნის დასაწყისში ასე ძალიან ბევრი ფიქრობდა. ეტყობა, მათ შორის იყვნენ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი.

როგორც ჩანს, ისინი მკაფიოდ არ გამოიყვანდნენ საფრანგეთის რევოლუციას და ნაპოლეონის ხანას და მას რევოლუციის პერიოდად აღიქვამდნენ. ეს იყო ერთ-ერთი სწორი მიდგომა, რომელსაც ბევრი მომხრეები ყავდა როგორც მაშინ ისე დღეს და ძალზე გავრცელებულია ლიბერალურ ისტორიოგრაფიაში. არსებობს საფრანგეთის რევოლუციის სხვა პერიოდიზაცია. სავსებით ვეთანხმებით ფრანგ ისტორიკოს პიერ შონიუს, როდესაც საფრანგეთის რევოლუციის ხანად აღიქვამს 1789-1799 წლებს. ალბათ, ასე უფრო უპრიანი იქნებოდა.

დასასრულს შევეხებით კიდევ ერთ საინტერესო თემას სახელმძღვანელოს ავტორებმა მოგვცეს არა მარტო ახალი ისტორიის სწორი პერიოდიზაცია, არამედ სცადეს სწორი აქცენტები დაესვათ მსოფლიო ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების პერიოდიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციისადმი მათი დამოკიდებულების რეკონსტრუქციის მცდელობა.

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციაზე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის მეოთხე ყოველწლიური კონფერენციის მასალები, თბ., 2011.
2. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია. (XVIII-XIX საუკუნე), თბ., 1919.
3. მ. კალანდაძე, ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9-10, 2015.
4. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე – საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 12, თბ., 2013.
5. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე – „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული 17. თბ., 2015.
6. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ნიგნი მეორე. იმპერატორი, თბ., 1997.
7. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
8. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში თავდაპირველად სწორი პოზიცია ეკავა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას. გრ. ნათაძე, კაპიტალიზმის ისტორია, თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია, თბ., 1931. შემდგომში ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით ქართულ ისტორიოგრაფიას თავს მოახვიეს სულ სხვა პერიოდიზაცია. 9 თერმიდორის გადატრიალებით საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასრულებას ქართულმა ისტორიოგრაფიამ იმთავითვე ეჭვის თვალით შეხედა. გ. კიდურაძე, 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.

107. თბ., 1964. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1970. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია – „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“ 1. 1989. ეს პერიოდიზაცია გვხვდება უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, ნაკვეთი 2. თბ., 1999.
9. А. Матъез, Французская революция. Т. 1. Москва-Ленинград, 1925.
 10. С. Lefebuyer, La Revolution Fransais. Paris, 1952.
 11. J. Cadechot, Le Revolution Fransais. Chronologie, comentaree, 1787-1799. Paris. 1988. В. Погосян, Французская революция, коментированная хронология, Париж. 1988 год. – «Новая и новейшая история», №6. 1989.
 12. А. Оларь, Политическая история французской революции, М., 1938.
 13. Французская буржуазная революция 1789-1794 гг. под. ред. Э. Тарле и В. Волгина, М., 1941.
 14. А. Манфред, Великая французская революция, М., 1956.
 15. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ნაპოლეონ ბონაპარტეს ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. IV. თბ., 2015.

თავი II

დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციას

საფრანგეთის დიდი რევოლუციამ ღრმა კვალი დატოვა მსოფლიოს ისტორიაში. ამ რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის შედეგად ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მისი ისტორიული მნიშვნელობა, რასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ ბევრნი, ჟაკ მალე დიუ პანიდან დაწყებული, ფრანსუა ფიურეთი დამთავრებული სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება.

საფრანგეთის დიდ რევოლუციას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება ექცევა დ. უზნაძის და ი. გველესიანის სასკოლო სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია“ [1. 84-117]. სამწუხაროდ, ამ მხრივ სხვა უფრო ხელშესახები მასალა არ მოგვეპოვება. ეს მწირი ინფორმაცია საინტერესოა და მისი შეუფასებლობა არ ივარგებდა.

ავტორები საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში საკმაოდ ჩახედული ჩანან და ამ თემაზე მათი მსჯელობა, ძირითადად, ემპირული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნას ემყარება, რაც მათი მსჯელობის მთავარ ღირსებად გვევლინება. სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, ფაქტების გროვას. მას გააჩნია ანალიტიკური მუხტი; სახელმძღვანელოს გარდა წმინდა შემეცნებითი დატვირთვისა, მეცნიერული მნიშვნე-

ლობა გააჩნია და ამ საკითხის შეფასების მცდელობად გვევლინება. ეს ამ თემაზე მსჯელობას ისტორიოგრაფიულ მუხტს სძენს. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა.

დღევანდელი გადასახედიდან ამ თემაზე მათი მსჯელობის განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. სახელმძღვანელოში ამ თემის განხილვა მეტად მოკრძალებულ მიზანს ისახავდა და შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ, შეიძლება ითქვას, ურიგოდ როდი გაართვეს თავი. სახელმძღვანელოში ამ თემაზე მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, კარგად დააკვალანებდა და საფრანგეთის დიდ რევოლუციზაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაში დაეხმარებოდა. მისი მნიშვნელობაც, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის შეფასების დროს სამეცნიერო ლიტერატურაში ერთსულოვნება არ სუფევს. ერთნი სკეპტიკურად ეკიდებიან მის მნიშვნელობას. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, პიერ შონიუს თქმით: „ეს ათი წელი ყველაზე უფრო საშინელი იყო საფრანგეთის ისტორიაში“. აქ მუქი ფერები დომინირებს. პრაქტიკულად, იგი საფრანგეთის რევოლუციაში ვერაფერ დადებითს ვერ ხედავს. ეს არის ერთი მიდგომა. არსებობს სულ სხვა თვალსაზრისიც. სრულიად საპირისპირო აზრისაა მეორე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ჟიულ მიშლე: „საფრანგეთი ორჯერ იქნა გადარჩენილი, ერთხელ ჟანა დარკის დროს, მეორეჯერ რევოლუციის მიერ“ – წერს ის. საინტერესოა, რომელ ბანაკში შეიძლება მოვიაზროთ დ. უზნაძე? პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ დ. უზნაძეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა და მისი ადგილი მსოფლიო ისტორიაში. მას აღიქვამდა როგორც კანონზომიერ, ისტორიულად პროგრესულ მოვლენას, თუმცა, მიშლესაგან განსხვავებით არ აიდვალებდა მას და, პიერ შონიუს მსგავსად, მიწასთან არ ასწორებდა. ის ცდილობს რაღაც საშუალებო გზა გამოიხსოს. ეს სწორი მიდგომა

იყო. რევოლუციაში დ. უზნაძე, უწინარესად, ხედავს „ადამიანის, როგორც უკეთილშობილესი, ისე უმდაბლესი ბუნების გამოვლინებას“ [1. 100]. ფრანგი ისტორიკოსის, ჟან ჟორესის თქმით „რევოლუცია არის პროგრესის ბარბაროსული ფორმა“.

დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მათი კონცეფციის გარკვევას. ეს ხელში ჩაგვიდებს აღნიშნულ საკითხზე მათი შეხედულებების გასაღებს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს ისინი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგანან. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792 წწ.), კონსტიტუციური მონარქიისადმი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობისადმი. რევოლუციის შემდგომ მსვლელობას ისინი არ თანაუგრძნობენ. ამგვარი განწყობილების კულმინაციად, მწვერვალად, იაკობინთა დიქტატურისადმი დამოკიდებულება გვევლინება. მათი სახით საქმე გვაქვს 1789 წლის პრინციპების მომხრესთან, ხოლო 1793 წლის პრინციპებს, რბილად რომ ვთქვათ, თავშეკავებით ეკიდება. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ისინი მიესალმებიან „რევოლუციას ზემოდან“, როდესაც ხორციელდება ლიბერალური, ზომიერი გარდაქმნები, რეფორმები, რომლებიც სავსებით შეესატყვისება მათ პოლიტიკურ მრწამსს. მათთვის სავსებით მისაღები უნდა ყოფილიყო პრინციპი „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრეოთ“. „რევოლუციას ქვემოდან“, მისთვის დამახასიათებელი რადიკალური ექსცესებით ისინი, ცხადია, არ თანაუგრძნობენ. რევოლუცია არ წარმოადგენს ლიბერალური წრეების მონოპოლიას. რევოლუციის მიღწევებს ისინი აფასებენ ლიბერალიზმის მიხედვით, რომელსაც მიიჩნევენ დემოკრატიის სანიმუშო მოდელად. ამგვარი მიდგომა სავსებით შეესატყვისება იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა მაშინაც და ჰყავს დღესაც. ის, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, გააჩნია არსებობის უფლება და აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. სა-

ფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის, სახელდობრ, პროფ. პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია. რით იყო გამონეული მათი არჩევანი? ასეთი ნაბიჯი სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია და უპირატესად იმით აიხსნება, რომ რუსი ისტორიკოსის ლიბერალური შეხედულებები შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. მათი შეხედულებები ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ჩვენ ამ მსჯელობას მისეულად აღვიქვამთ.

* * *

დ. უზნაძისა და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის გაშუქებას, ბუნებრივია, ყურადღება ეთმობა და ერთ-ერთი საუკეთესოა. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ამ თემას ზედმეტი ყურადღება ექცევა, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. ასეთი ყურადღება ლოგიკურად გამომდინარეობდა ამ თემის მნიშვნელობიდან და სავსებით გამართლებული უნდა ჩანდეს.

სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის თემა ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: 1. ძველი რეჟიმი, 2. რესპუბლიკა, 3. დირექტორია, 4. ნაპოლეონი. ფაქტობრივად, ეს არის გეგმა. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მიზანშეწონილი იქნება, დაიყოს არა ოთხ, არამედ ხუთ ნაწილად. ძველი რეჟიმიდან რესპუბლიკაზე გადასვლა უცნაური გვეჩვენება და, ჩვენი აზრით, მათი გეგმის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. რევოლუციის დასაწყისი, მისი პირველი პერიოდი, კონსტიტუციური მონარქიის ხანა (1789-1792) გეგმაში, ვფიქრობთ, სათანადოდ უნდა ყოფილიყო ასახული. ეს კი ასე არ ხდება. გეგმა ასეთ სახეს მიიღებდა: ძველი რეჟიმი, რევოლუციის დასაწყისი, რესპუბლიკა, დირექტორია, ნაპოლეონი. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა.

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის არქიტექტონიკის, სტრუქტურის, შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის თხრობა ცოტათი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც იმით გამოიხატება, რომ დანაწევრებული დაქუცმაცებულია. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა მასალის უფრო კომპაქტურად დალაგება დიდ თემებად დაყოფა. ეს კიდევ უფრო გაუადვილებდა მონაწევებს პრობლემის მთლიანობაში აღქმას. ამ შემთხვევაში ისინი კვალში მიყვებიან ცნობილი რუსი ისტორიკოსის პროფ. პავლე ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის თხრობას ისინი პირდაპირ კი არ იწყებენ გენერალური შტატების გახსნით, არამედ ჯერ „ძველ რეჟიმს“ განიხილავენ. ამას აქვს მნიშვნელობა. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ თხრობას ისინი შორიდან იწყებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია სპონტანურად, სტიქიურად, კი არ წარმოშობილა, არამედ, „ძველი რეჟიმის“ ლოგიკური შედეგი იყო. ეს სწორი მიდგომა უნდა იყოს. „ძველი რეჟიმისადმი“ მათი დამოკიდებულება რეალისტურია. ეს აღნიშნულ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი დადებითი მომენტი.

სახელმძღვანელოში ავტორები ეხებიან შემდეგ თემებს: ძველი წეს-წყობილების სიმწვავე საფრანგეთში, ჯონ ლოუ, ლუდოვიკ XV, ლუდოვიკ XVI, ტიურგო და მისი გეგმები [1. 76-82]. აქ წამოიჭრება მხოლოდ ერთი საკითხი. სად უნდა მივუჩინოთ ადგილი ფრანგულ განმანათლებლობას – ძველ რეჟიმში თუ ცალკე განვიხილოთ, როგორც ამას ავტორები აკეთებენ. ამ თემას წინ წამოწვევენ მონაკვეთში „ფილოსოფია და მეცნიერება, რაციონალიზმი“ [1. 47-63] მიგვაჩნია, რომ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ამ თემის განხილვა ძველ რეჟიმში. ამ შემთხვევაში უფრო კარგად წარმოჩნდებოდა განმანათლებელთა როლი რევოლუციის იდეოლოგიური მომზადების საქმეში. სხვათა შორის, ეს თემა,

სწორედ, ამ კონტექსტშია მოაზრებული ახალი ისტორიის თანამედროვე სასკოლო სახელმძღვანელოში [3. 84-85].

ისინი წინ წამოწევენ საფრანგეთის საშინაო პოლიტიკას რევოლუციის წინ, ხოლო საგარეო პოლიტიკას დუმილით უვლიან გვერდს. აღსანიშნავია, რომ რევოლუციის წინ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ისეთივე წარუმატებელი იყო, როგორც საშინაო [1. 80-84]. „ამრიგად, სახელმწიფოს მეტი აღარ ჰქონდა მტკიცე პოლიტიკა, არ იყო მეტი წესრიგი ფინანსებში. საფრანგეთმა დაკარგა გავლენა ევროპაში. ინგლისი განუყოფლად ბატონობდა ზღვებზე და დაუბრკოლებლად დაიკავა ორივე ინდოეთი. ჩრდილოეთის სახელმწიფოებმა გაინაწილეს პოლონეთი. წონასწორობა ევროპაში, რომელიც დამყარდა ვესტფალიის ზავის შემდეგ, დარღვეული იქნა. საფრანგეთის მონარქია მეტი აღარ იყო პირველხარისხოვანი სახელმწიფო“. გულისტკივილით დაძენდა ამ მოვლენების თანამედროვე გრაფი სეგიური. [2. 210].

აქტუალური იყო საკითხი თუ როგორ ჩატარდებოდა კენჭისყრა. წოდებრივად, თუ პიროვნულად. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ შემთხვევაში მესამე წოდებას წარმატების შანსი ნაკლებად ექნებოდა. „იმ შემთხვევაში, თუ თითოეული წოდება ცალკე გამართავდა კრებებს, მესამე წოდება, იმის მიუხედავად, რომ დეპუტატების მთელი რიცხვის ნახევარი მას ეკუთვნოდა მაინც უმცირესობაში დარჩებოდა, რადგან ხმის მიცემის დროს მას მხოლოდ ერთი ხმა ექნებოდა. (უეჭველი იყო, რომ სამღველოება და აზნაურობა ერთი მეორეს დაუჭერდა მხარს პროგრესული მესამე წოდების წინააღმდეგ). ამიტომ მესამე წოდებისთვის საერთო სხდომები იყო სასურველი, რადგან ამ შემთხვევაში ის უმრავლესობას შექმნიდა სხვა წოდების დეპუტატებთან ერთად. რომელნიც მის შეხედულებებს იზიარებდნენ და, უეჭველია, მას შეუერთდებოდნენ“. [1. 85-86]. სწორი მსჯელობაა.

სახელმძღვანელოში, როგორც აღვნიშნეთ, მკაფიოდ არაა გავლებული ზღვარი „ძველ რეჟიმსა“ და რევოლუციის დასაწყისს შორის. [1. 84]. ამგვარი მიდგომა გამართლებული არ უნდა ჩანდეს

და გარკვეული უკმარისობის გრძნობას გვიჩენს. საკითხის ასეთი გადანწყვეტა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ის კვალში მიჰყვება რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს. ამ ორ ეპოქას – „ძველ რეჟიმსა“ და რევოლუციის დასაწყისს – შორის თვისებრივი განსხვავება არსებობს და ეს გამჭვირვალე უნდა იყოს. საფრანგეთის რევოლუციის პირველი ეტაპი (1789-1792), ჩვენი აზრით, ცალკე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი.

აქ განხილული საკითხების ჩამონათვალი ასეთია: გენერალური შტატების მონვევა, დამფუძნებელი კრების გამოცხადება, ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია, „მუნიციპალური რევოლუცია“, „დიდი შიშიანობა“, 4-11 აგვისტოს დეკრეტები, „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, 5-6 ოქტომბრის მოვლენები, ვარენის კრიზისი, 1791 წლის კონსტიტუცია, რევოლუციის გამოძახილი ევროპაში, საკანონმდებლო კრება. [1. 84-100]

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი საინტერესოდაა განხილული და ეს მონაკვეთი ერთ-ერთი საუკეთესოა. აქ აისახება სავსებით რეალური ვითარება. მათი სახით საქმე გვაქვს 1789 წლის პრინციპების მომხრესთან. ისინი მიესალმებიან რევოლუციას ზემოდან. რევოლუციის მსვლელობა სავსებით შეესატყვისება მათ პოლიტიკურ იდეალს. იგი ზომიერებით გამოიჩინება და კონსტიტუციურ-მონარქიის ჩარჩოებში თავსდება.

ბასტილიის აღებას ცალკე არ გამოყოფენ და ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაციასთან ერთად განიხილავენ. [1. 87]. სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანის მინორული, მელანქოლიური, ტონი ბასტილიის აღების ფორმითაა გამოწვეული და არა შინაარსით. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ისინი აქცენტს აკეთებენ ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაციაზე და არა ბასტილიის აღებაზე. მათ, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული ბასტილიის აღების ისტორიული მნიშვნელობა. „ბასტილია ძველი წესწყობილების ერთგვარ

განსახიერებას წარმოადგენდა, მისი დაცემა საზოგადოდ ძველი მმართველობის დაცემის მომასწავებელი იყო. მოძრაობა ყველგან დაიწყო, და განსაკუთრებით სოფლებში მიიღო მან მრისხანე ხასიათი: გლეხები არბევდნენ და სწვავდნენ კოშკებს. ზოგიერთ შემთხვევაში ჟღერდნენ მემამულეებს და მათ მოურავებს“. [1. 87-88] ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა აქცენტირება ბასტილიის დაცემაზე და ქვესათაურად მისი გამოტანა და არა „ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია“. ეს ბასტილიის აღების შედეგი იყო, რასაც, სხვათა შორის, სახელმძღვანელოს ავტორებიც აღიარებენ, „ამ საზოგადო აჯანყებამ თვით ნაციონალურ კრებაზეც დიდი გავლენა იქონია“ [1. 88.]. აღსანიშნავია, რომ 4 აგვისტოს დეკრეტები ამის ლოგიკურ შედეგად ესახებათ. ბასტილიის დაცემამ თანამედროვეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ხოდოვეცკიმ ამომავალი მზის სხივებზე გამოხატა ბასტილიის ნანგრევები. ისინი მიესალმებოდნენ დესპოტიზმის სიმბოლოს დაცემას. ისტორიკოსმა მიულერმა ბასტილიის დაცემის შესახებ თქვა „ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უბრწყინვალესი დღე“. [4].

დამფუძნებელი კრების აგრარული კანონმდებლობის დადებითი შეფასება საფრანგეთის რევოლუციაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია; ძველი სენიორალური რეჟიმის ლიკვიდაციის გზას პირველი დიდი ნაბიჯი, სწორედ დაფუძნებულმა კრებამ გადადგა. 1789 წლის 4-11 აგვისტოს დეკრეტების დროს სენიორალური უფლებების სრულ და საბოლოო მოსპობაზე საუბარი ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ნაადრევი ჩანს. აი რა წერია სახელმძღვანელოში: „4 აგვისტოს საღამოს სხდომაზე, გაუქმებული იქნა გამოუსყიდავად ყოველგვარი ფეოდალური ვალდებულება, უპირატესობა, პრივილეგია, მონოპოლიები, რითაც ასე მდიდარი იყო ძველი რეჟიმი“. [1. 88.]. აქ საუბარია მხოლოდ „პირადი უფლებების“ გაუქმებაზე. აგრარული საკითხის კომპეტენტური რუსი მკვლევრის, კიევის უნივერსიტეტის პროფესორის, ივ. ლუჩიცკის თქმით, „4 და 11 აგვისტოს გაუქმებუ-

ლი სენიორალური რეჟიმი მთელი თავისი არსებით კვლავ ძალაში დარჩა და, ამდენად, მისი მოსპობა მხოლოდ ქალაქებში მოხდა“.

[5. 91.].

ძალზე სქემატურად, ზოგადადაა, განხილული და გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ გარჩევამ. [1. 88-90]. აქ, ვგულისხმობთ, იმას, რომ მეტი კონკრეტულობა იყო საჭირო. ძალიან გადატვირთულია ზოგადი მსჯელობით.

როგორც ჩანს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწეებიდან დიმიტრი უზნაძე ყველაზე დიდ პატივს გრაფ ონორე მირაბოს (1749-1791) მიაგებდა. [6]. შეიძლება ითქვას, რომ მირაბო მისი საყვარელი გმირია, რომელსაც რევოლუციის მოღვაწეებს შორის ბადალი არ ჰყავს. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ დ. უზნაძე თავის სახელმძღვანელოში საგანგებოდ ჩერდება მირაბოს მოღვაწეობაზე და მთელ გვერდს უთმობს მას. გრაფი მირაბო [1. 93-94]. უნდა ითქვას, რომ რევოლუციის არცერთ მოღვაწეს ასეთი პატივი არ რგებია და ეს, ალბათ, რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

ისინი წინ წამოწევენ მირაბოს საქმიანობის დადებით მომენტებს და, შესაძლოა, შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენდნენ მის მოღვაწეობას. მირაბოს დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს, მაგრამ მისი განდიდება, ცხადია, არ ღირს. [6]. მირაბოს მოღვაწეობისადმი ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად, იმით აიხნება, რომ მირაბოს პოლიტიკა სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. მირაბოს შეფასებისას ისინი პროგრესულ-ლიბერალურ თვალსაზრისს იზიარებენ. „საქმის მდგომარეობა ნათლად მარტო ერთს სახელმწიფოებრივად განწყობილ პირს ჰქონდა წარმოდგენილი. ეს სამხრეთელი დეპუტატი გრაფი მირაბო იყო. მან ძველი წესწყობილების დამხობაში თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღო და პოლიტიკურ თავისუფლებასა და საზოგადოებრივ რეფორმებს

მხურვალედ თანაუგრძნობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ფართო რეფორმების განხორციელება მხოლოდ ძლიერ ნაციონალურ მთავრობას შეეძლო, და ამგვარი მთავრობის საფუძველს იგი საფრანგეთის ძველ ნაციონალურ მონარქიაში ჰპოვებდა“. [1. 93.]

„მირაბოს არა მარტო გარკვეული პროგრამა ჰქონდა, მას მისი შესრულების საშუალებაც მოეპოვებოდა; როგორც გამოჩენილი ორატორი, იგი კრებაზე დიდი გავლენით სარგებლობდა, ხოლო სასახლესთან საიდუმლო დაახლოება მოახერხა და მეფის ერთ-ერთ მრჩეველად შეიქმნა. მაგრამ საქმის სათანადოდ დაყენება მან მაინც ვერ შეძლო. კრება ეჭვის თვალით უცქეროდა მის პატივმოყვარეობას და გამჭრიახობას. მეფის შინაკაცებს კი ვერაფრით ეპატიებინათ მირაბოსათვის მისი რევოლუციური წარსული, ავანტურისტად თვლიდნენ მას. და რაც უმთავრესია ვერ შეეგნოთ ის იდეა, რომელსაც მირაბო ემსახურებოდა, ეს იყო მიზეზი იმ არაჩვეულებრივი მოღვაწის მთელი საქმიანობა მარტო პლანების შედგენით კერძო საკითხების დამუშავებით, ლამაზი სიტყვებით შემოიფარგლებოდა“. [1. 93-94].

ჩვენი აზრით, შემდეგი მონაკვეთი – საკანონმდებლო კრება – ცოტათი მოიკოჭლებს და გარკვეული უკმარობის გრძნობას გვიტოვებს. მისი მთავარი თავისებურება, ვფიქრობთ, ის არის, რომ მეტად მკრთალად, სუსტადაა გაშუქებული რევოლუციის და საკანონმდებლო კრების საქმიანობის ყველაზე უფრო მტკივნეული და აქტუალური პრობლემა – ევროპასთან ომის საკითხი. [1. 97-100]. სასურველი იყო მითითებული ყოფილიყო საფრანგეთის მიერ ომის გამოცხადების თარიღი 1792 წლის 20 აპრილი.

სახელმძღვანელოში ვრცლად არის განხილული 1791 წლის 3 სექტემბრის კონსტიტუცია. ხაზგასმულია მისი ისტორიული მნიშვნელობა. დამაჯერებლად უჩვენს, რომ კონსტიტუცია ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული და მას საფუძვლად ედო ფრანგი განმანათლებლის შარლ ლუი მონტესკიეს (1689-1755) შეხედულებები. აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის

მთავარი ამოსავალი წერტილი იყო, მონტესკიეს იდეა, ხელისუფლების დანაწილების შესახებ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო. მეფეს და მინისტრებს რჩებოდათ მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება. საკანონმდებლო ხელისუფლებას კი განასახიერებდა საკანონმდებლო კრება. ძველი რეჟიმის შემდეგ ეს გრანდიოზული მნიშვნელობის თვისებრივი სიახლე იყო, რომლის კლასობრივ შეზღუდულობაზე აპელირება, რაც ასე ძალიან უყვარდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ძველი რეჟიმი ჩანაცვლა კონსტიტუციურმა მონარქიამ. ეს თვისებრივად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სახელმძღვანელოში 1791 წლის კონსტიტუციის მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერი იყო და ამისი მიზეზები, პირველ ყოვლისა, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე: 1. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა კიდევ უფრო მკაფიოდ, ხაზგასმით, თქმულიყო იმ გენეტიკურ კავშირზე, რომელიც არსებობდა „აღამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“ და 1791 წლის კონსტიტუციას შორის. ერთგან მკრთალი მინიშნება ამაზე არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს. [1. 92.]. 2. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა მოქალაქეების პასიურებად და აქტიურებად დაყოფაზე საუბარი ყოფილიყო არა დეკლარაციის განხილვისას, არამედ 1791 წლის კონსტიტუციის გაშუქების დროს. [1. 90.].

სახელმძღვანელოში საუბარია საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოძახილზე ევროპაში. ამ საკითხის წინ წამოწევა საინტერესოა. მათ დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ევროპის მონარქისტული წრეები უარყოფითად შეხვდნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ეშურებოდნენ მის ჩახშობას. აღნიშნულია ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალა მათი ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მათი, მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ყურადღებას მივაპყ-

რობთ ორ გარემოებას: ჯერ ერთი, არაფერია ნათქვამი პრუსიის პოზიციაზე, რომელიც ამ საქმეში აქტიურად იყო ჩაბმული.

ევროპის რეაქცია საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე არ იყო ცალსახად უარყოფითი. ევროპის მოწინავე ინტელიგენცია მიესალმებოდა რევოლუციის დასაწყისს. იქნებ ამაზეც თქმულიყო ორიოდ სიტყვა. ეს შინაარსობრივად გაამდიდრებდა ამ თემაზე მათ მსჯელობას.

საფრანგეთის რევოლუციაზე მათი მსჯელობის მთავარ პლუსად მიგვაჩნია რევოლუციის დასაწყისის, პირველი ეტაპის, კონსტიტუციური მონარქიის, (1789-1792) დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობის მაღალი შეფასება. ეს სწორი მიდგომა იყო: საქმე ისაა, რომ დამფუძნებელმა კრებამ 1789-1791 წლებში გაატარა უნიკალური რეფორმები, ავტორიტარულ-ადმინისტრაციული სისტემა აბსოლუტური მონარქია ჩაანაცვლა ახალმა სახელმწიფოებრიობამ. მას საფუძვლად ედო არა წოდებრივი პრივილეგიები, არამედ არჩევითობის პრინციპი. ეს პირველი მნიშვნელოვანი სიახლე იყო. მეორე ეს არის ადამიანის და მოქალაქის უფლებები. თანდათან იკიდებს ფეხს სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება. შეკრებების თავისუფლება. ხელისუფლების საჯარო კრიტიკა. 1791 3 სექტემბერს საფრანგეთის ისტორიაში პირველი კონსტიტუცია მიიღეს. წოდებრივი პრივილეგიები ჩაანაცვლა კანონის უზენაესობამ. საფრანგეთის რევოლუციამ სათავე დაუდო სამოქალაქო თანასწორობის იდეას. იკვეთება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კონტურები. აბსოლუტისტური რეჟიმის შემდეგ ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის თვისებრივი სიახლე, წინგადადგმული ნაბიჯი და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩადიოდა, მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს. დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების საქმიანობისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რომელიც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია.

1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. აქ განხილული საკითხების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ომი კოალიციასთან, სექტემბრის დღეები, კონვენტი, მეფის გასამართლება, ბრძოლა ჟირონდისტებსა და მონტანიარებს შორის. [1. 105-106]. რევოლუციის კულმინაციად, მწვერვალად, დ. უზნაძეს და ი. გველესიანს როგორც ლიბერალებს 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება ენახებოდათ, მაგრამ სახელმძღვანელოში ამ ფაქტზე მხოლოდ გაკვრით, სასხვათაშორისოდ, არიან საუბარი [1100-101]. რაც საკმარისი არ უნდა იყო და 10 აგვისტოს გადატრიალების ისტორიულ მნიშვნელობაზე სრულყოფილ ამონაწერულ წარმოდგენას როდი გვიქმნის.

სექტემბრის მოვლენებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. ძალმომრეობის, ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება მათთვის სრულიად მიუღებელია და ამაში ისინი სავსებით მართალი არიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასობრივი ფსიქოზის გამოვლინების განსჯაში დ. უზნაძე როგორც ისტორიკოსი და დ. უზნაძე როგორც ფსიქოლოგი სრულ თანხვედრაში არიან. ის სავსებით სამართლიანად გმობს 1792 წლის 2-5 სექტემბრის მასობრივ მკვლევლობებს ციხეებში და მასში უმთავრესად მასობრივი ფსიქოზის გამოვლინებას ხედავს. [1. 102]. როგორც ცხადყოფენ პ. კროპოტკინის და პ. კარონის გამოკვლევები 2-5 სექტემბრის მოვლენები სპორტანურ ხასიათს ატარებდა და გამონვეული იყო ორი გარემოებით: 1. ინტერვენციის საფრთხე 2. მთავრობის მერყეობა. ხალხს არ სჯეროდა, რომ მთავრობას შეეძლო წინ აღდგომოდა კონტრრევოლუციას.

აღბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ისინი აშკარად თანაუგრძობენ და სიმპათიებით არიან განწყობილი ჟირონდისტების მიმართ. ეს ადვილი გასაგებიცაა: მისი გასაღები მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ჟირონდისტების შეხედულებები სავსებით შეესატყვისება მათ პოლიტიკურ იდეალს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მათი მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს. მათ განსაკუთრებით მოსწონთ

ჟირონდისტების მისწრაფება, შეაჩერონ რევოლუციის შემდგომი მსვლელობა. ჟირონდისტებისადმი სიმპათიების კულმინაციად, პიკად, მარატის მკვლელის შარლოტა კორდესადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მიგვაჩნია. [1. 105]. ჟირონდისტების მოღვაწეობის შეფასება ცოტა გადაჭარბებული ხომ არ იყო? ხომ არ აიდეალებდნენ ისინი ჟირონდას? ასეთი ალბათობა არსებობს. ჟირონდისტების პარტიის განდიდება გამოკვეთილად იგრძნობა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში. მისი მთავარი ტონის მიმცემი ცნობილი ფრანგი პოეტი, პოლიტიკოსი და ისტორიკოსი ალფონს ლამარტინია. მისი მონუმენტური რვა ტომიანი ნაშრომი „ჟირონდისტების ისტორია“ ამ პარტიის საქმიანობის პანეგერიკია.

ჟირონდისტებმა მიუტყვებელი შეცდომა დაუშვეს და იაკობინების წინააღმდეგ ბრძოლაში კავშირი შეკრეს შიდა კონტრრევოლუციასთან და ინტერვენტებთან, რაც ფაქტობრივად, სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო. ამიტომ იაკობინების ბრალდება სამშობლოს ღალატში სულაც არ გამოიყურებოდა ისე დაუსაბუთებლად, როგორც ეს ჟირონდისტების თაყვანისმცემელ ისტორიკოსებს, მათ შორის, შესაძლოა, სახელმძღვანელოს ავტორებსაც, ესახებოდათ. „რაკი ჟირონდისტები მომხრეებს პროვინციებში ეძებდნენ, მონტანიარებმა მათ ბრალად წაუყენეს, საფრანგეთის მთლიანობის დარღვევა ეწადათ და ამიტომ სამშობლოს მტრებად უნდა ჩავთვალოთ“. [1. 104].

ჟირონდისტებს და იაკობინებს შორის კონფლიქტი მხოლოდ იმით არ იყო გამოწვეული, რომ იაკობინები აქცენტს აკეთებდნენ ცენტრზე, ხოლო ჟირონდა პროვინციებზე. ამ მოსაზრებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში და მისი მთავარი ტონის მიმცემი, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ალფონს ოლარია. ამ მოსაზრების გამოძახილი გვხვდება დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში. „ჟირონდისტებიც იძულებული შეიქმნენ საბრძოლო იარაღზე ეფიქრათ და დახმარებას პროვინციალურ საზოგადოებაში ეძებდნენ. მაგ-

რამ პარიზში პარიზის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან ძნელი იყო“.
[1. 104]. ეს თვალსაზრისი სავსებით შეესატყვისებოდა იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს და ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა. ეტყობა, მათ შორის იყვნენ დ. უზნაძე და ი. გველესიანი. ამგვარი მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ჟირონდისტებს და იაკობინებს შორის დაპირისპირება პრინციპულ ხასიათს ატარებდა და საკმაოდ ღრმა ფესვები ჰქონდა. უწინარესად, ის ასოცირდებოდა რევოლუციის სვე-ბედთან. წინ წავიდოდა რევოლუცია თუ შეჩერდებოდა.

ვინ იყო კონფლიქტის ესკალაციაში დამნაშავე? ეს საკითხი ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იწვევს. ერთნი, ა. ოლარი და მის სკოლა, ყველაფერში ბრალს დებს იაკობინებს. მეორენი, ა. მათიეზი და საბჭოთა ისტორიოგრაფია კი პირიქით ჟირონდისტებს ადანაშაულებს. რომელ ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენი ავტორები, ისინი პირველ ჯგუფში უნდა მოვიაროთ. ყველაფერში იაკობინებს დებენ ბრალს და ამართლებენ ჟირონდას. [1. 104]. ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია. როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს. კონფლიქტის ესკალაციაში დამნაშავე იყო ორივე მხარე. პირადი სიძულვილი გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა საერთო ინტერესებზე. უნდა დავეთანხმოთ ფრანგ ისტორიკოსს ჟიულ მიშლეს, რომ „ეს იყო დემოკრატიული ბანაკის სერიოზული წარუმატებლობა“.

დ. უზნაძე არ იყო რევოლუციის შემდგომი გაღრმავების მომხრე და მიაჩნდა, რომ რევოლუცია უნდა შეჩერებულიყო. ამაში დ. უზნაძე სრულიად მართალი იყო, მაგრამ სად უნდა შეჩერებულიყო? დ. უზნაძეს როგორც ლიბერალს 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ რევოლუციის გაღრმავება მიზანშეწონილად არ ესახებოდა. ასეთი მიდგომა კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობილებას. რეალობა სულ სხვა იყო და გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია. საქმე ის არის, რომ რევოლუციის შემდგომი გაღრმავების

რესურსი ამონურული არ გახლავთ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ისტორიული ალტერნატივა ჟირონდისტები თუ იაკობინები, სწორედ, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყდა. [7].

აღბათ, საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია კიდევ დიდხანს იქნებოდა, თუ არა საგარეო პოლიტიკური გართულებები – ომი ევროპასთან. ამან კიდევ უფრო მეტად გააძიშვლა რევოლუციური ბანაკის შიგნით არსებული წინააღმდეგობები. [8. 100]. დ. უზნაძისათვის სასურველი ძალთა ბალანსი დაირღვა. რევოლუცია გასცდა კონსტიტუციური მონარქიის ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი დემოკრატიული ხასიათი მიიღო. ის აღარ პასუხობდა მათ პოლიტიკურ იდეალს. საფრანგეთის რევოლუციის შემდგომი მსვლელობისადმი მათი თავშეკავებული დამოკიდებულების გასაღები სწორედ მათი მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ.

აღბათ, სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დემოკრატიზაციით გამონეწეული დ. უზნაძის იმედგაცრუება თავის აპოგეას, პიკს, სწორედ იაკობინთა დიქტატურისადმი დამოკიდებულებაში პოულობს. იაკობინთა დიქტატურა არის რევოლუციის ისტორიის ერთ-ერთი რთული და თავსატეხი საკითხი, რომელიც ისტორიკოსთა შორის ცხარე კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. აღბათ, ეს კამათი კიდევ დიდხანს გასტანს და არ დასრულდება. XX საუკუნის ჰოლანდიელი ისტორიკოსის, პიტერ ჰეილის თქმით, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ამიტომ, აღბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გამოვარკვიოთ თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება იაკობინთა დიქტატურის და იაკობინთა ბელადებისადმი. დავინწყით იაკობინთა დიქტატურით.

იაკობინთა დიქტატურისადმი მათი მიდგომა მეცნიერულია და, უპირატესად, აქცენტი კეთდება პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული იაკობინთა დიქტატურის სუსტი

მხარეები: ტერორი, ძალადობა, განუკითხაობა, მკაცრი ცენტრალიზაცია. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იაკობინთა პოლიტიკაში ნეგატივი დომინირებდა პოზიტივზე. წინ წამოწიეს „იაკობინელი დამანგრეველი“ ამ თემაზე მსჯელობის დროს სახელმძღვანელოში, უმთავრესად, აქცენტი კეთდება იაკობინთა დიქტატურის რეპრესიულ ხასიათზე. [1. 102-109]. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. ეს არის მედლის ერთი მხარე, რომელიც მათ კარგად გაიცნობიერეს. მედალს გააჩნია მეორე მხარე. რამდენად ჰქონდათ მათ ის გაცხადებული? ხედავდნენ თუ არა რაიმე დადებით მომენტს იაკობინთა დიქტატურაში? ფრიად ნიშანდობლივია, რომ იაკობინთა დიქტატურის ამ მხარეზე ისინი დუმილს ამჯობინებენ და კრინტს არ ძრავენ. იაკობინთა დიქტატურისადმი მიდგომის კულმინაციადა, იაკობინთა აგრარული პოლიტიკისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულება მიგვაჩნია. [9. 37]. დ. უზნაძე როგორც ლიბერალი ხომ არ ამუქებდა საქმის ვითარებას?

ახლა, ძალიან მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვით, გადავავლოთ თვალი მათ დამოკიდებულებას იაკობინთა ბელადებისადმი: ჟორჟ ჟაკ დანტონი (1759-1794), მაქსიმილიან რობესპიერი (1758-1794), ლუი-ანტუან სენ-ჟიუსტი (1767-1794), ჟან პოლ მარატი (1743-1793). იაკობინთა ლიდერებისადმი მათი დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილ უარყოფით ხასიათს ატარებდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ იაკობინების პოლიტიკა არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს.

ყველაზე მკაცრი დანტონისადმი მათი დამოკიდებულება უნდა ჩანდეს. დანტონის მოღვაწეობის უარყოფითი შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებელი ვერაა. მისი სახელი მარტო ძალადობასთან და ტერორთან როდი ასოცირდება. ამიტომ დანტონისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ამ თემაზე მათი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება სიმართლეს მოკლებული არ გახლავთ და ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ის კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობილბას, მაგრამ, ამგვარი სწორხაზოვანი მიდგომა აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილი, ამომწურავ, წარმოდგენას რამდენად გვიქმნის?

მარატის, ებერის, „ცოფიანების“, მემარცხენე იაკობინების, ბაბეფის უარყოფითი შეფასება გაცილებით უფრო ანგარიშგასანვივი უნდა ჩანდეს და ამ საკითხზე მათი მსჯელობის პლუსია. [10].

მაშ ასე, ლიბერალი დ. უზნაძისათვის იაკობინთა დიქტატურა და მათი ლიდერების მოღვაწეობა მიუღებელი იყო და არ შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ იდეალს. ის 1789 წლის პრინციპების ერთგული რჩება.

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის პლუსად მიგვაჩნია რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული და აქტუალური პრობლემის, რელიგიური საკითხის წინ წამოწევა და გაშუქება. ამ თემაზე მათი მსჯელობა საინტერესოა. ისინი საკითხს საკმაოდ რეალისტურად მიუდგნენ. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მათთვის სრულიად უცხო და მიუღებელია რევოლუციის დროს რელიგიის სფეროში გატარებული ღონისძიებებისადმი აპოლოგეტური დამოკიდებულება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში. იგი არც რევოლუციის მიწასთან გასწორებას ცდილობს, თუმცა რელიგიის სფეროში ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს კრიტიკულად ეკიდება. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამგვარი განწყობილება თავის კულმინაციას სწორედ იაკობინთა რელიგიური პოლიტიკის შეფასების დროს აღწევს: „სდევნიდნენ არა მარტო ფიცმიულებელ სამღვდელო პირებს, არამედ საერთოდ ყველას, ვინც ქრისტეს საწინააღმდეგობას აღიარებდა. მათ გონების კულტი შემოიღეს და მისი სახელით პარიზის ღვთისმშობლის საკრებულო ტაძარში ორგიებს მართავდნენ“. [1. 108]. აქ, ცხადია,

რობესპიერის მიერ 1794 წლის 7 მაისს შემოღებული „უმაღლესი არსების“ კულტი იგულისხმება. დ. უზნაძის კრიტიკული პათოსი, უეჭველია, შეიცავს ჯანსაღ აზრს და ამ თემაზე მისი მსჯელობის პოზიტიურ მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

რევოლუციური ტერორისადმი დ. უზნაძის დამოკიდებულება ემოციური მუხტითაა გაჯერებული და ძალიან კარგად გამოხატავს ლიბერალური ნრეების განწყობილებას. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციური ტერორისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია, „ტერორის ხანა ყოველმხრივ აღმაშფოთებელი იყო“ [1. 109]. რევოლუციური ტერორისადმი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება, რასაც საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნის ფრანგმა ისტორიკოსმა მორტიმერ-ტერნომ თავის წიგნში „ტერორი“, მეტად სწორხაზოვანი ჩანს და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. საჭიროა ტერორისადმი უფრო დიფერენცირებული, დაბალანსებული მიდგომა, რაც საშუალებას მოგვცემს, თავისი ადგილი მივუჩინოთ როგორც შუქს, ისე ჩრდილს. სხვათა შორის, სწორედ ამგვარი მიდგომა შეინიშნება თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. „ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რაც გამოწვეული იყო ეროვნული ინტერესებით სამშობლოს გადარჩენის მიზნით, განსაკუთრებით 1793 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე და რის გარეშეც ადვილად შეიძლებოდა ფონს გასვლა, განსაკუთრებით 1794 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე“. საინტერესოა, ამ რაკურსით შევხედოთ დ. უზნაძის მსჯელობას. ის წმინდა ინტუიციურად რეალობასთან ახლოს უნდა ტრიალებდეს. ამ თვალსაზრისით ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ ის თავის აღშფოთებას გამოხატავს უმთავრესად 1794 წლის ტერორის მიმართ და შედარებით ნაკლებად 1793 წლის ტერორისადმი. „მართალია ტერორის ხანა, ყოველმხრივ აღმაშფოთებელი იყო, მაგრამ, ერთი მხრივ, მან მაინც დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთს, ასე თუ ისე მან ხელი შეუწყო მტკიცე მთავრობის შექმნას და ამან საფრანგეთს საშუალება მისცა, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ

ბრძოლა წარმატებით ეწარმოება“ [1.109] აქ ის 1793 წლის მეორე ნახევრის ამბებს უნდა გულისხმობდეს. ეს დადებითი ნოტები არ სცილდება ლიბერალიზმის ფარგლებს და ამ თემაზე დ. უზნაძის მსჯელობის პოზიტიურ მარცვალს წარმოადგენს. რევოლუციური ტერიტორიისადმი ნეგატიური განწყობილების კულმინაციად, მწვერვალად, მეფის სიკვდილით დასჯა, გვევლინება. ისეთ დიდ ჰუმანისტ როგორც აკად. დიმიტრი უზნაძე იყო, ცხადია, არ შეეძლო შეგუებოდა ძალადობას, ძალმომრეობას, სიკვდილით დასჯას. მას მეფის გასამართლება კანონიერად არ მიაჩნია (გვ. 2. 1. 02-103). მისი თვალსაზრისი კარგად გამოხატავდა ლიბერალური ინტელიგენციის განწყობილებას. მის მთავარ ლაიტმოტივად მიგვაჩნია: მეფის ლუი XVI – დადებითი შეფასება, ჟირონდისტებისადმი სიმპათია, იაკობინებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. აქ მისი პოლიტიკური სიმპათია, ანტიპათია, საკმაოდ გამჭვირვალეა და ძალიან რელიეფურად ჩანს. ხომ არ შეინიშნება ლუი XVI განდიდება? თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია მაშინ დავძენთ ლუი XVI მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და კონსტიტუციური მონარქიისადმი სიმპათიებით აიხსნება.

ამ ფონზე ცოტა უცნაურად გვეჩვენება მარატის მკვლელის შარლოტა კორდესადმი დამოკიდებულება. მარატისადმი სიძულილი განა ამართლებს შარლოტა კორდეს ქმედებას? რევოლუციური ტერორის ზნეობრივი პოზიციებიდან განსჯა რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი.

ვფიქრობთ, სახელმძღვანელოში სათანადოდ უნდა ყოფილიყო ხაზგასმული 1793 წლის 31 მაისის და 1794 წლის 9 თერმოდოსის (27 ივლისის) გადატრიალებების მნიშვნელობა, მაგრამ ავტორები ასე არ იქცევიან; გაკვრით ახსენებს ამ ამბებს, რაც, ფაქტობრივად, მისი იგნორირების ტოლფასია;

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, განხილულია 1793-1794 წწ-ის ომები. ამ თემის წინ წამოწევა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მარტო პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გავლენით არ აიხსნება. მასში ამავე დროს 1918-1921 წლებში სუვერენულ საქართველოში არსებული პატრიოტული აღტკინების გამოძახილი უნდა დავინახოთ. სწორედ, ეს იყო ქართული ინტელიგენციის სურვილი, რომ საქართველოსაც ისეთივე წარმატებით მოეგერიებინა გარეშე მტერი, როგორც ეს გააკეთა საფრანგეთმა 1793-1794 წლებში. [1. 109-111].

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზების საქმეში იაკობინების დამსახურება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ მათი ღვანლი შედარებით უკანა პლანზეა გადატანილი და ეს საქმე უმთავრესად „გამარჯვების ორგანიზატორის“ ლაზარ კარნოს დამსახურებადაა წარმოჩენილი. [1. 105]. რა თქმა უნდა, ამ საქმეში ლაზარ კარნოს წვლილს არავინ უარყოფს და ავტორები ამაში სავსებით მართალი არიან. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს იაკობიანთა ბელადების, განსაკუთრებით სენ-ჟიუსტის, ძალისხმევა. ეს დაგვეხმარება აღნიშნულ საკითხზე უფრო სრულყოფილი წარმოდგენის შექმნაში. აღსანიშნავია, რომ კარნოს მოადგილე სწორედ სენ-ჟიუსტი გახლდათ.

საინტერესოა, როგორ ხსნიდნენ ავტორები რევოლუციური არმიის გამარჯვებას ან, როგორც თანამედროვეებს უყვარდათ თქმა, „სასწაულებრივ წარმატებებს“. როგორც ჩანს, ამის მიზეზად, პირველ ყოვლისა, მათ ის ცვლილებები ესახებოდათ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამხედრო საქმეში და უმთავრესად ლაზარ კარნოს სახელთან ასოცირდება, „რევოლუციურ არმიაში განსაკუთრებული სტრატეგია შემუშავდა. იგი სწრაფ გადასვლა-გადმოსვლას ემყარებოდა“ [1. 110]. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული იმ სიახლეების მნიშვნელობა, რომელიც მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ომის წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიაში. ეს მათი მსჯელობის დადებითი მხარეა. გარდა ამისა, შეიძლება

ითქვას, რომ მათ რევოლუციური არმიის წარმატების მიზეზად ესახებათ ნიჭიერ გენერალთა აღზევება, რომელთა შორის, რატომღაც – არ ასახელებენ ნაპოლეონ ბონაპარტს და კრინტს არ ძრავენ 1793 წლის დეკემბერში ტულონის აღებაზე და პოლონეთის საკითხი. „გარდა ამისა საფრანგეთის გამარჯვებას არანაკლებ შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ პრუსიისა და ავსტრიის მთავარი ძალები პოლონეთის საკითხით იყვნენ შებოჭვილნი“. [1. 110]. ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც გვრჩება, თითქოსდა რაღაც კიდევ უნდა ჰქონდეთ სათქმელი. რა? პირველ ყოვლისა, ესაა იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა. ამ თემაზე, დუმილი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და იაკობინთა დიქტატურისადმი გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად გვევლინება. საქმე ისაა, რომ, მამულის მფლობელი გლეხობა დიდი ენთუზიაზმით ეწერებოდა არმიაში და დგებოდა სამშობლოს და რევოლუციის სოციალური მონაპოვრის დამცველთა რიგებში. აი, რა იყო რევოლუციური არმიის „სასწაულებრივი წარმატებების“ კიდევ ერთი მიზეზი. [11].

თერმოდორიანული კონვენტი და დირექტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასკვნით აკორდად გვევლინება. თუმცა სახელმძღვანელოს ავტორები ასე არ ფიქრობენ.

სახელმძღვანელოს ავტორები საფრანგეთის დიდი რევოლუციის ამ პერიოდს, 1794-1799 წლებს, ორ ნაწილად ყოფენ: თერმოდორიანული კონვენტი 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალებიდან – 1795 წლის 25 ოქტომბრამდე; მეორე – დირექტორია, 1795 წლის 26 ოქტომბერი – 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალება. [1. 111-117].

თერმოდორიანული კონვენტის საქმიანობის დაბალი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს. ისინი სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში „რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა. [1. 112]. განიხილავენ 1795 წლის კონსტიტუციას. „კონვენტმა ე. წ. III წლის (რესპუბლიკის მესამე

წლის ე. ი. 1795 წლის – მ. კ.) კონსტიტუცია შეიმუშავა, რომელიც ახალ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას საფუძვლად უნდა დადებოდა“. [1. 112]. ეს კონსტიტუცია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში წინგადადგმულ ნაბიჯად არ ესახებათ. საუბრობენ თერმიდორიანული კონვენტის ფინანსურ პოლიტიკაზე, რომელმაც ქვეყანა გაკოტრების პირას მიიყვანა [1. 114]. არაფერს ამბობენ თერმიდორიანული კონვენტის საგარეო პოლიტიკაზე. 1795 წლის იანვარში ბელგიის ტერიტორიაზე შეიქმნა ბატავიის რესპუბლიკა. რეპრესიების პოლიტიკა ჩაანაცვლა უფრო გონივრულმა კომპრომისულმა მიდგომამ და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. თერმიდორიანული კონვენტის პოლიტიკის დადებითი ასპექტები რამდენად მოხვდა მათი თვალთახედვის არეალში? საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის რეორგანიზაციას, პარიზის კომუნის დათხოვას, 22 პრერიალის კანონების გაუქმებას ტერორის გამკაცრების შესახებ, მაქსიმუმის გაუქმებას. რეაქციის გაძლიერებაზე მათი მსჯელობის გამყარების მიზნით, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა აღნიშნულიყო 1794 წლის 12 ნოემბერს იაკობინთა კლუბის დახურვა. ეს შინაარსობრივად უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს და მომგებიანი იქნებოდა.

დირექტორიის ისტორიის განხილვის დროს ისინი ეხებიან ორ თემას: „მესამე წლის კონსტიტუცია“ და „1796-1799 წლების ომები“. აქ 1795 წლის კონსტიტუციასთან ერთად განხილულია დირექტორიის საშინაო პოლიტიკა. ამიტომ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა მონაკვეთისათვის სწორედ ასე გვეწოდებინა და არა „მესამე წლის კონსტიტუცია“. ეს ძალზე კონკრეტულია, მშრალია.

მეორე მონაკვეთი ძირითადად დირექტორიის საგარეო პოლიტიკას ეხება და ძალიან მოკლედ არის საუბარი ნაპოლეონის ლაშქრობაზე იტალიაში 1796-1797 წლებში, ეგვიპტის ექსპედიციაზე 1798-1799 წწ-ში, 1799 წელს სუვოროვის შეჭრაზე იტალიაში და მის წარმატებებზე. „დირექტორიის შემოსავლის ერთს მთავარ წყაროს დაკავებული ქვეყნებიდან აღებული კონტრიბუციე-

ბი შეადგენდნენ: საფრანგეთის დაცარიელებული კასის შევსება პოლანდიას, გერმანიას და იტალიას უხდებოდა“. [1. 114].

აღნიშნავენ სამხედრო წარმატებების ეკონომიკური ასპექტების. ეს იყო დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინის შევსების ერთ-ერთი რეალური საშუალება. [1. 114]. ამიტომ დირექტორია სულ უფრო მეტად ექცევა გენერლების გავლენის ქვეშ, რაც საფრთხის შემცველი იყო. ეს მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ სავსებით დაადასტურა. ამან გარკვეულწილად ხელი შეუწყო დირექტორიის რეჟიმის აგონიას. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ დირექტორიის დაცემა განაპირობა შემდგომმა ფაქტორებმა: ხანგრძლივმა ომებმა, ეკონომიკურმა ნგრევამ, რელიგიურმა უნესრიგობამ. ფრანგი ისტორიკოსის, აკად. ალბერ სორელის თქმით, „დირექტორია ისტორიის სცენიდან ისევე შეუმჩნევლად და უსახელოდ ჩამოვიდა, როგორც ავიდა მასზე“. როიალისტი პუბლიცისტის ლა რივალორის თქმით, „ყველა რევოლუცია მთავრდება ხმლით“. 1799 წლის დეკემბრის დეკლარაციაში ჩანერილი ფრაზები ლიტონი სიტყვები არ იყო. აქ აისახა სავსებით რეალური სიტუაცია. საფრანგეთის რევოლუცია დასრულდა, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, სახელმძღვანელოს ავტორები შეიძლება სულ სხვაგვარად ფიქრობენ და ნაპოლეონის მმართველობა რევოლუციის ხანის გაგრძელებად ესახებათ.

ჩვენ კი ამ თემაზე საუბრის დასრულებას სწორედ, აქ ვაპირებთ, რადგან ვფიქრობთ, რომ რევოლუციას ნერტილი დაესვა 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალების შემდეგ. რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩოები უნდა განვსაზღვროთ 1789-1799 წლებით.

საფრანგეთის რევოლუციაზე სახელმძღვანელოს ავტორების მსჯელობაში პრიორიტეტი ენიჭება პოლიტიკური ისტორიის გადმოცემას, ხოლო სოციალური და ეკონომიკური ისტორია გაშუქებულია შედარებით მკრთალად. ეს ადვილი გასაგებია. სოციალ-ეკონომიკური ისტორია იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო შესწავლილი და დამუშავებული.

ამგვარი მიდგომა სავსებით შეესაბამება იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. ისინი კვალში მიჰყვებიან რუსი ისტორიკოსის, პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს რაც მათი შეხედულებების თანხვედრით აიხსნება.

გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ დიმიტრი უზნაძეს სურდა სახელმძღვანელოში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მისი შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, მაგრამ დროის იმ მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელშიც აღმოჩნდნენ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები, როგორც ჩანს, მან ამის გაკეთება ვეღარ მოასწრო. მაინც რა ცვლილებები შეიძლებოდა შეეტანა დ. უზნაძეს სახელმძღვანელოში? საფიქრელია, ეს ცვლილებები კონცეპტუალური ხასიათის არ იქნებოდა და ძირითადად, ალბათ, მაინც დეტალებს უფრო შეეხებოდა. ვფიქრობთ, ესეც საინტერესო იქნებოდა.

დაბოლოს, შევეხებით ორ საკითხს, რომელიც სცილდება ისტორიოგრაფიის ჩარჩოებს და უფრო ისტორიის სწავლების მეთოდის სფეროს მიეკუთვნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელო გადატვირთული არაა ფაქტებით. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. დ. უზნაძე აშუქებს მნიშვნელოვან ბრძოლებს, ისტორიულ მოვლენებს; მაგრამ თარიღებს არ მიუთითებს ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა თარიღების მითითება. ერთი უკიდურესობიდან მეორეში ხომ არ აღმოვჩნდით?

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს არ აქვს მეთოდური აპარატი, შეკითხვები. ამას აქვს მნიშვნელობა და მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. კითხვების საშუალებით მასწავლებელი გამოარკვევს თუ როგორ აითვისეს მონაფეხებმა ახალი მასალა. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მხოლოდ პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გავლენით არ იყო გამოწვეუ-

ლი. ამავე დროს მასში საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდის გარიჟრაჟზე შექმნილი ვითარების გამოძახილი უნდა დავინახოთ. (იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ მონაკვეთზე, რომელიც ნაპოლეონის მოღვაწეობას შეეხება).

სახელმძღვანელოს, დაბალი პოლიგრაფიული დონე ადვილი გასაგებია და იმჟამინდელი საქართველოს რესპუბლიკის დუხჭირი ეკონომიკური ყოფის გამოძახილია.

* * *

ამრიგად, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მცირე მოცულობის საინტერესო ისტორიული ნარკვევის შექმნის მცდელობასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, ნარმატივულად შეიძლება მივიჩნიოთ და მას, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

აკად. დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაენია საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ საკითხის შესწავლის საქმეში მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

საკითხებისადმი მიდგომა მეცნიერულია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს აკად. დიმიტრი უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგას. ისინი მიესალმებიან რევოლუციას ზემოდან. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება მისი სიმპათიები საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისისადმი, საფრანგეთის რევოლუციის პირველი ეტაპისადმი, კონსტიტუციური მონარქიისადმი (1789-1792). რევოლუციის აპოგეად მას 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება ესახებოდა, რევოლუციის შემდგომ მსვლელობას, განსაკუთრებით კი, იაკობინთა დიქტატურას ის არ თანაუგრძნობს. საფრანგეთის რევოლუციისადმი ამგვარი მიდგომა სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. ფ. შატობრიანის თქმით, საფრანგეთის რევოლუცია „პატრიციებმა დაიწყეს და პლებეებმა დაამთავრეს“. ლიბერალი დ. უზნაძისათვის საფრან-

გეთის რევოლუციის ამგვარი მსვლელობა მიუღებელი აღმოჩნდა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მსვლელობით გამოწვეული იმედგაცრუების მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. რევოლუცია ქვემოდან მისთვის მიუღებელი იყო.

საქართველოში 1918-1921 წლებში საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაინტერესებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებაზე იყო ორიენტირებული. ეს თვისებრივი, ხარისხობრივი, სიახლე იყო და ამის წაყრუება სწორი არ იქნება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სუვერენულ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია. ეს იყო ევროპული მიდგომა. იკვეთება საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი სერიოზული მიდგომის კონტურები, ნანამძღვრები, პირველი სიმპტომები. პირველი ნაბიჯები შეიძლება ითქვას კარგად გათვალეს. ეს მათი წარმატება იყო.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინა, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა პერიოდში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საერთოდ მსოფლიო ისტორიის და სახელდობრ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის აკვანი, სწორედ, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში (1918-1921) დაირწა. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია, (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
2. Новая История, под ред., В. Бирукевича, Б. Поршнева, и С. Сказкина, часть 1. М., 1951.
3. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.
4. История Франции, т. 2. М., 1973. J. Godechot, La prise de la Bastille, Paris, 1966. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ., 77, თბ., 1959.
5. Ив. Лучицкий, Состояние земледельческих классов во Франции накануне революции и аграрная реформа 1789-1793 гг. Киев, 1912.
6. А. Манфред, Три портрета, Эпохи великой французской революции, М., 1978.
7. Е. Черняк, 1794 год: Некоторые актуальные проблемы исследования великой французской революции – «Новая и новейшая история», №1. 1989.
8. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
9. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
10. Н. Молчанов, Монтаняры, М., 1989.
11. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963. გ. კილურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბ., 1982.

თავი III

დიმიტრი უზნაძე იაკობინათა დიქტატურაზე

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში იაკობინთა დიქტატურა, ალბათ, ერთ-ერთ რთულ და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს არსებული აზრთა სხვადასხვაობა თავის კულმინაციას სწორედ იაკობინთა დიქტატურისადმი დამოკიდებულების დროს აღწევს. გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. ისინი პირობითად ორ ჯგუფად იყოფიან: „იაკობინოცენტრისტები“ და „ანტიიაკობინოცენტრისტები“. პირველები, ცხადია, უსაშველოდ განადიდებენ და ქებას აღუვლენენ იაკობინთა დიქტატურას, ხოლო მეორენი კი, პირიქით, საპირისპირო პოზიციაზე დგანან. მას მიიჩნევენ სწორი გზიდან გადახვევად „რევოლუციის დამუხრუჭებად“. მათ შორის კონსერვატორული მიდრეკილება ადვილი საქმე არ იქნება და ეს დავა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს. „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იაკობინთა დიქტატურისადმი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქის, აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება.

იგი „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელიც ი. გველესიანთან ერთად დაწერა, ბუნებრივია, შეეხება საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიას და განიხილავს იაკობინთა დიქტატურას. [1.101-112]. საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაშუქების დროს დ. უზნაძე კვალში მიჰყვება რუსი ისტორიკო-

სის, პავლე ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ [2] სახელმძღვანელოს. ასეთი არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად სწორედ იმით აიხსნება, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის გააზრების დროს პ. ვინოგრადოვი, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ეს ძალიან კარგად მიესადაგებოდა დ. უზნაძის შეხედულებებს. ფაქტობრივად, მათი შეხედულებები დაემთხვა ერთმანეთს. ამიტომ ჩვენ ამ მსჯელობას მისეულად აღვიქვამთ.

* * *

ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ დ. უზნაძე კარგად იცნობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის, კონკრეტულად კი იაკობინთა ეპოქის ფაქტოლოგიურ მასალას და ამ ეპოქის ისტორიაში საკმარისად ჩახედულებას ამჟღავნებს. ამავე დროს მას წმინდა შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად მეცნიერული დატვირთვა გააჩნია და იაკობინთა დიქტატურის შეფასების მცდელობად გვევლინება. ეს მათ მსჯელობას ისტორიოგრაფიულ მუხტს სძენს. ეს საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება იაკობინთა დიქტატურისადმი.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს, როგორც დავინახეთ, ისინი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგანან. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება მათი სიმპათია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792), როდესაც საფრანგეთში შეიქმნა კონსტიტუციური მონარქია. რევოლუციის შემდგომ მსვლელობას, პირველ რიგში კი, იაკობინთა დიქტატურას, ისინი სკეპტიკურად უყურებენ. შეიძლება ითქვას, რომ 1793 წლის პრინციპებს ისინი არ თანაუგრძნობდნენ. [1.101-112]. ეს ადვილად გასაგებია. იაკობინთა ბრძოლის პლებეური მეთოდები, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ძალმომრეობა, ტერორი არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. მათი პოზიცია, უდაოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და კარგად გამოხატავს ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის შეხედ-

ულებებს. მას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. დ. უზნაძისათვის იაკობინთა დიქტატურა მიუღებელი იყო ისტორიულად, პოლიტიკურად და რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ დ. უზნაძის ისტორიული და ფსიქოლოგიური ძიებების კვეთა ხდება და ისინი ერთმანეთს ემთხვევა. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს მასობრივი ფსიქოზის განსჯა, ოხლოკრატიის ბატონობის დაგმობა.

დ. უზნაძის, როგორც სახელმძღვანელოს ავტორის წინაშე, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მოკრძალებული ამოცანა იდგა. მან ქართულ საზოგადოებას პირველ რიგში კი, მოსწავლე-ახალგაზრდობას, იაკობინთა დიქტატურაზე საერთო წარმოდგენა უნდა ჩამოუყალიბოს. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო. დ. უზნაძის მსჯელობის მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს.

მათთვის როგორც ლიბერალებისათვის, სადემარკაციო ხაზი ჟირონდისტებზე გადის. ყველაფერი, რაც მარცხნივ იყო არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს და მიუღებელი იყო.

საინტერესოა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის არქიტექტონიკა, კომპოზიცია. მასში ჩადებულია იაკობინთა დიქტატურისადმი მათი დამოკიდებულებების გასაღები. ის კვალში მიყვება რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს, რაც მათი შეხედულებების თანხვედრით აიხსნება. ორივეს ლიბერალური ღირებულებები ასაზრდოვებდა. დ. უზნაძე უმთავრესად აქცენტს აკეთებს ტეროროზე, [1. 105-109], 1793-1794 წლების ომზე. [1. 109-111]. და ტერორის დასასრულზე. [1. 111-112]. როგორც ხედავთ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ იაკობინთა დიქტატურის რეპრესიულ ხასიათზე. მეტისმეტ ცენტრალიზაციაზე, ძალადობრივ აქტებზე. დომინანტი ნეგატივს ენიჭება. ასეთი არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს. „მონტანიარები ცენტრისტები იყვნენ და ამას გარდა რევოლუციურ პრაქტიკას, მონინააღმდე-

გეებზე ძალადობას და საზოგადოების დაშინებას აღიარებდნენ“.
[1, 102].

იაკობინთა პარტია არ იყო ერთგვაროვანი. ის სხვადასხვა მიმართულებებისაგან შედგებოდა, რომელთა მიმართ სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება უარყოფითია. მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა, ალბათ, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და აღნიშნულ პრობლემაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. იაკობინები არ იყვნენ მხოლოდ ცენტრისტიები. ეს სწორი იქნებოდა რობესპიერისტიების მიმართ, მაგრამ რა ვუყოთ დანტონისტიებს, მარატს, მემარცხენე იაკობინებს. ისინი ამ სქემაში ვერ თავსდებიან. ამიტომ ამგვარი მიდგომა სწორხაზოვნად მიგვაჩნია.

იაკობინთა დიქტატურისადმი მათი დამოკიდებულების ძლიერ მხარედ ბრბოს ბატონობის, „ოხლოკრატიისადმი“ უარყოფითი მიდგომა გვევლინება, რომელიც იაკობინთა დიქტატურის დროს არსებული ძალმომრეობის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოს ავტორები სავსებით მართალი არიან. [1. 101-102, 102, 105-109].

ამ ძალადობის მწვერვალად, რა თქმა უნდა, ესახებოდათ იაკობინთა ტერორი. მისდამი ავტორების დამოკიდებულება ნეგატიურია. „ტერორის ხანა ყოველმხრივ აღმამფოთებელი იყო“. [1. 109]. აი, ასეთი განაჩენი გამოუტანეს მათ ტერორს. იაკობინური ტერორის ასეთი ემოციური შეფასება სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება, მაგრამ დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. რევოლუციური ტერორი იყო უაღრესად რთული, მრავალნაზნაგოვანი, მოვლენა და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება საკმარისი არ უნდა ჩანდეს. და აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ წარმოდგენას როდი გვიქმნის. ეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული თანამედროვე ისტორიოგრაფიას. „ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რაც გამონვეული

იყო ეროვნული ინტერესებით, სამშობლოს გადარჩენის მიზნით, განსაკუთრებით 1793 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე და რის გარეშეც ადვილად შეიძლებოდა ფონს გასვლა. განსაკუთრებით 1794 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე“. [3. 118. 4. 8. 5. 13.] ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ ისინი თავის აღშფოთებას გამოხატავენ უმთავრესად 1794 წლის ტერორის მიმართ და შედარებით ნაკლებად 1793 წლის ტერორისადმი. „მართალია ტერორის ხანა, ყოველმხრივ აღმაშფოთებელი იყო, მაგრამ, ერთი მხრივ, მან მაინც დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთს. ასე თუ ისე, მან ხელი შეუწყო მტკიცე მთავრობის შექმნას და ამან საფრანგეთს საშუალება მისცა, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით ეწარმოებინა“. [1, 109] აქ ისინი 1793 წლის ტერორს უნდა გულისხმობდნენ. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. აქ ის ფაქტობრივად ხაზს უსვამს იაკობინთა დამსახურებას საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზებისა და გადარჩენის საქმეში. ეს იყო სავსებით სწორი მიდგომა, მაგრამ ავტორები ამას უმთავრესად „გამარჯვების ორგანიზატორის“ ლაზარ კარნოს დამსახურებად მიიჩნევენ და რბილად რომ ვთქვათ, დანტონის, რობესპიერისა და სენ-ჟიუსტის წვლილს გულგრილად ეკიდებიან.

იაკობინთა დიქტატურისადმი მათი უარყოფითი დამოკიდებულების კიდევ ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მათთვის, მიუღებელი იყო ერთპიროვნული მმართველობა, დიქტატურა, ტირანია, დესპოტიზმი, თუმცა რობესპიერის გამოცხადება დიქტატორად, დესპოტად, ტირანად, მონსტრად, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ თანამედროვეები და მოგვიანებით არაერთი ისტორიკოსი, ალბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვს. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ თვალსაზრისთან, შესაძლოა, ახლოს იდგნენ სახელმძღვანელოს ავტორები. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. „რა თქმა უნდა, რობესპიერი არ ყოფილა დიქტატორი, მაგრამ ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსს საქმე ერთპიროვნული მმართველობის დამ-

ყარებისკენ მიყავდა. ამ თვალსაზრისით, ფრიად ნიშანდობლივია 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალება. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არც ერთი თანამედროვე დიქტატორი არ დაუშვებდა იმას, რომ მისი ბედი გადაეწყვიტა საპარლამენტო დებატებს – 9 თერმიდორს ეს სწორედ ასე მოხდა“. [6, 7].

რა თქმა უნდა, იაკობინთა დიქტატურა არ ემყარება მარტო ტერორს. ასეთი წარმოდგენა მეტად სწორხაზოვანი უნდა ჩანდეს. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე იაკობინებმა გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლის გვერდის ავლა ალბათ მიზანშეწონილი არ იქნებოდა და იაკობინთა დიქტატურაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი შეგვიქმნის.

იაკობინთა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე 1793 წლის 24 ივნისს მიიღეს საფრანგეთის რესპუბლიკის დემოკრატიული კონსტიტუცია. ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, რომელიც საფრანგეთში შეიქმნა, ერთი მხრივ, შიდა კონტრრევოლუციის და მეორე მხრივ, ინტერვენციის შედეგად, მისი პრაქტიკული განხორციელება ვერ მოხერხდა, მაგრამ ეს არ აკნინებს 1793 წლის კონსტიტუციის მნიშვნელობას. მიუხედავად მისი ღირსება-ნაკლოვანებებისა, შეიძლება ითქვას, რომ 1793 წლის კონსტიტუციამ საბოლოოდ აქცია ზურგი ძველ საფრანგეთს. ამიტომ 1793 წლის კონსტიტუციისადმი მათი სკეპტიკური დამოკიდებულება მკაცრი ჩანს და იაკობინთა დიქტატურისადმი მათი ნეგატიური განწყობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. „მონტანიარების მიერ 1793 წელს ნაჩქარევად შედგენილ კონსტიტუციაში პიროვნებისა და კავშირების თავისუფლებაზე ბევრი იყო ნალაპარაკევი, მაგრამ ეს კონსტიტუცია მხოლოდ ქალაქებზე დარჩა; სინამდვილეში კი კვლავ ცენტრალიზაცია და მთავრობის თვითნებობა ბატონობდა. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ წინედ ასეთ შემთხვევებში თავის გასასამართლებლად „ძალაუფლების ღვთიურობას“ იმონებდნენ, ახლა კი „ხალხის უალრესუფლებიანობას“. [1. 106-107]. სასურველი იქნებოდა, ხაზგასმული ყოფილიყო კონსტიტუციის

შედგენის საქმეში რუსოს გავლენა. ეს შინაარსობრივად გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს.

საფიქრელია, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს იაკობინთა სოციალური ღონისძიებები გაცილებით უფრო მკრთალად, სუსტად შეიძლება ჰქონოდათ გაცნობიერებული. პირველ ყოვლისა, ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ იაკობინებისადმი მათი უარყოფითი განწყობილება აქ თავის პიკს აღწევს. [8. 37].

იაკობინთა ხელისუფლების სერიოზული წარმატება იყო აგრარული კანონმდებლობა, რომლის თანახმად ყველა ფეოდალური ვალდებულება უსასყიდლოდ უქმდებოდა. სათემო მიწები გლეხთა საკუთრებაში გადადიოდა. ემიგრანტთა მამულები და საეკლესიო ქონება განვადებით წვრილ-წვრილ ნაკვეთებად უნდა გაყიდულიყო. ასე ჩაეყარა საფუძველი წვრილ გლეხურ მეურნეობას, რომელიც დღესაც შენარჩუნებულია საფრანგეთში. ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა. [9. გვ. 225-229, 98].

სახელმძღვანელოში გაშუქებულია 1793-1794 წლის რევოლუციური ომები. ხაზგასმულია საფრანგეთის არმიის ტრიუმფალური წარმატებები. [1. 109-111]. სახელმძღვანელოში ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მასში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს და დემოკრატიული საქართველოს რთული საგარეო პოლიტიკური ყოფის ანარეკლი უნდა დავინახოთ. მათ მოსწონდა საფრანგეთის არმიის წარმატებები გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ისინი ხაზს უსვამენ იმ თვისებრივ სიახლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხედრო საქმეში საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. „რევოლუციურ არმიაში განსაკუთრებული სტრატეგია შემუშავდა. იგი დიდს მასიურ მოქმედებას და სწრაფ გადასვლა-გადმოსვლას ემყარებოდა“. [1. 110]. სავსებით მართალია, როდესაც ამ ახალი სტრატეგიის და ტაქტიკის მთავარ სულის ჩამდგმელად ლაზარ კარნოს ასახე-

ლებენ, რომელიც მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ „საფრანგეთის ჯარების დაუღალავი ორგანიზატორი იყო“. [1. 105]. შესაძლოა, მათ მსჯელობაში შეიმჩნევა კარნოს როლის გაზვიადება, მაგრამ მისი მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მისაღებია და სწორი უნდა იყოს. სხვათა შორის, კარნოს გაიდილება ძალუმად იგრძნობა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში. ის თავის პიკს აღწევს სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის მარსელ რეინარის წიგნში „კარნო დიდი“. [10] მათ მოსწონთ არმიაში ნიჭიერი მხედართმთავრების გამოჩენა და ასახელებენ გოშს, მოროს, პიშეგრიუს. [1. 110]. აქ, ალბათ, საკვირველი ისაა, რომ არ ასახელებენ ნაპოლეონს და კრინტს არ ძრავენ ტულონის აღებაზე 1793 წლის 17-19 დეკემბერს. ჩვენი აზრით, მათ დამაჯერებლად ვერ გვიჩვენეს, თუ რით იყო გამოწვეული, როგორც თანამედროვეებს უყვარდათ თქმა, საფრანგეთის არმიის „სასწაულებრივი წარმატებები“. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევით და ის, უპირველეს ყოვლისა, იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. ფრანგმა გლეხმა მიიღო მინა, ნაკვეთი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხობა სიხარულით დგებოდა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ის იცავდა სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს. არმიის პატრიოტული ალტკინების მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. [11. 12. 13].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონვენტის მიერ, 1794 წლის 4 თებერვალს მიღებულ აქტს კოლონიებში მონობის გაუქმების შესახებ. ისინი ამაზე ხმას არ იღებენ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და მასში იაკობინთა სოციალური ღონისძიებებისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულების ანარეკლს ვხედავთ.

დ. უზნაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იაკობინთა დიქტატურის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი პერმანენტული ტერორი იყო, განსაკუთრებით 1794 წელს. [1. 109]. ეს მართლაც იწვევდა ბევრის უკმაყოფილებას და ამაში დ. უზნაძე სავსებით მართალია. ამავე დროს იყო ამის გამომწვევი სხვა სერიოზული ფაქტორები,

რომლის გვერდის ავლა უმართებულო იქნებოდა და აღნიშნული საკითხების შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

იაკობინთა მკაცრი პოლიტიკა, სახელმწიფოს ჩარევა, აფერხებდა თავისუფალი მენარმეობის განვითარებას და განაპირობებდა საფრანგეთის შეძლებული ფენის უკმაყოფილებას. ამ განწყობილების ლოგიკური დაგვირგვინება იყო 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალება. [14. 15. 16. 17].

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ სახელმძღვანელოში იაკობინთა სოციალ-ეკონომიკურ პოლიტიკას ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა „ვანტოზის დეკრეტისადმი“ დამოკიდებულება. სახელმძღვანელოში გაკვრით არის მინიშნება „ვანტოზის დეკრეტებზე“, [1. 108] რომელიც 1794 წელს რობესპიერისტთა ერთ-ერთი სერიოზული სოციალური ღონისძიება იყო. [18].

ავტორების მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებას წარმოადგენს იაკობინთა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებების სწორი შეფასება. უწინარესად ასეთია 1792 წლის 2-5 სექტემბერს ციხეებში მკვლელობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. [1. 101-102]. ისინი გამობენ 1793 წლის 17 სექტემბრის კანონს „ექვმიტანილთა“ შესახებ. [1. 107] ყოველგვარი ძალადობა მათთვის მიუღებელია. წარუმატებლად ესახებათ რობესპიერის მცდელობა, 1794 წლის მაისში შემოელო ახალი სარწმუნოება. [1. 108].

1793 წლის 31 მაისის გადატრიალებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და რევოლუციის მსვლელობით დ. უზნაძის იმედგაცრუების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. მას ის საესებით სამართლიანად ესახება ბრბოს ძალადობის გამოვლინებად, მაგრამ ეს არ ამართლებს ამ მოვლენის გვერდის ავლას. მასზე შეჩერება აუცილებელი იყო. ის ცალკე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი, როგორც 1792 წლის 10 აგვისტოს და 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალება. ალბათ, ასე უფრო უმჯობესი იქნებოდა.

იაკობინთა დიქტატურისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანის მკაცრი, ხისტი დამოკიდებულება, მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ აქცენტს აკეთებენ არა იაკობინთა პოლიტიკის ანტიფეოდალურ ხასიათზე, არამედ მისი განხორციელების ფორმაზე, რომელიც მათთვის, როგორც ლიბერალებისათვის, მიუღებელი იყო. ასეთ მიდგომას აქვს თავისი რეზონი, აზრი. მას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იაკობინთა პოლიტიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები, ცხადია, ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა და განპირობებული იყო არა მათი პათოლოგიური სისასტიკით, როგორც ამას ხშირად უსვამდნენ ხაზს, მათ შორის, შესაძლოა, ჩვენ სახელმძღვანელოს ავტორებიც. არამედ მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალებით. აბსტრაქტული, უტოპიური ხასიათი, იაკობინების საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალებისა და პროგრამისა იაკობინიზმის დამახასიათებელ შტრიხს წარმოადგენდა. [19. 20]

რობესპიერისტების პოლიტიკა 1794 წლის ზამთარში და გაზაფხულზე „ეთიკური უტოპიის“ განხორციელების მცდელობად გვევლინება, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური პრობლემების დაძლევის განათლების, ზნეობის, ახალი ტიპის ადამიანის აღზრდის გზით. ესთეტიკურ აღზრდაში ხედავდნენ საზოგადოების იდეალის მიღწევის საშუალებას. რობესპიერისტების ამგვარი მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ლოგიკურად გამომდინარეობდა განმანათლებელთა შეხედულებებიდან. სოციალური პრობლემების გადაწყვეტა პოლიტიკის სფეროდან გადაჰქონდათ მორალისა და ეთიკის ქრილში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პანაცეა სოციალური წინააღმდეგობების გადაწყვეტის დროს. [19]. იაკობინებმა, არა იმდენად სუბიექტურად, რამდენადაც ობიექტურად, ტოტალური ომის პირობებში, ვერ მოახერხეს გამოეძებნათ ის შუალედური ხაზი, რომელიც განაპირობებდა კერძო და საერთო ინტერესების ჰარმონიას, რაც საფუძვლად ედო სამოქალაქო საზოგადოებას. იაკობინთა მოაზრებულ საზო-

გადოებაში კერძო ინტერესები ექვემდებარება საზოგადოებრივს. დაპროგრამებული აღმოჩნდა არა რევოლუციური მთავრობის კონკრეტული ღონისძიებები, არამედ მთლიანად იაკობინთა დიქტატურა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ასეთი იყო იაკობინიზმის ილუზიები და რეალობა. [19. 20. 21]. „ძალადობის, ძალმომრეობის ერთ-ერთ წყაროდ გვევლინებოდა ის რომ პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა უაღრესად რთულ პირობებში, ექსტრემალურ ვითარებაში, როდესაც არ არსებობდა მისი მოპოვების ნორმალური სამართლებრივი გზა, ხოლო ახალი ხელისუფლების სტრუქტურებს აკლდათ ლეგიტიმურობა და სტაბილურობა. ამ ბრძოლას უჩვეულო სიმწვავეს მატებს კიდევ ის ფაქტი, რომ საკითხი იდგა ასე – ძალაუფლება ან სიკვდილი“. „ამ ახალი ზნეობის დაბადება მტკივნეულ ხასიათს ატარებდა და პრაქტიკაში ხორციელდებოდა იძულების საშუალებით. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს რეპრესიები. ახალი საზოგადოების მშენებლობის პროგრამა იაკობინთა თხზულებებში ატარებდა აბსტრაქტულ მჭვრეტელობით ხასიათს. არსაიდან არ ჩანს, რომ მათ იცოდნენ ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი. იაკობინებმა ვერ გამოძებნეს ის გზა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ თავი დაეღწიათ რევოლუციური უტოპიისათვის და დაბრუნდებოდნენ წესრიგს, როდესაც მოქმედებს კანონი და შეიძლება ხელისუფლების ნორმალურად ფუნქციონირება“. [19. 20. 22. 23].

როგორ დავაღწიოთ თავი ტერორს, ამ კითხვაზე პასუხი მათ ნაწერებში ღიად რჩებოდა. იაკობინთა მიერ ახალი ცხოვრების მონყობის პროექტში ცენტრალური ადგილი ეჭირა კერძო ინტერესების დაქვემდებარებას საზოგადოებისათვის. ფრანგებს ძალიან ჩვეოდათ თავიანთი კერძო მისწრაფებების საერთო-ეროვნულ საბურველში გახვევა. ანგლო-ამერიკული საზოგადოებისათვის კი პრიორიტეტული იყო კერძო ინტერესების პრიმატობა. კერძო ინტერესების დაცვის გარანტიად მათ ესახებოდათ მორალი და ახალი ზნეობა, მაგრამ აქამდე ჯერ შორს იყო. რა გამოსავა-

ლი მონახეს იაკობინებმა ამ რთული ვითარებიდან? „პრაქტიკაში მათი ჩანაფიქრი ხორციელდებოდა ძალდატანების საშუალებით, რომელსაც მათ შეხედულებებში დიდი ყურადღება ექცეოდა. ფაქტობრივად, ეს იყო დომინანტი ყველგან და ყველაფერში. იქნებოდა ეს ბედნიერება, მეგობრობა, ძმობა თუ სხვა რამე“. [22. 217-399]. ყველაზე მთავარი და ცუდი კი მაინც ის იყო, რომ იაკობინებმა შეაჩვიეს საზოგადოება სოციალური კონფლიქტების რევოლუციური გზით გადანყვიტას და არა მშვიდობიანი ევოლუციური საშუალებით მოგვარებას. [23] სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საბოლოოდ პრიორიტეტი, მაინც, ამ მეორე გზამ მოიპოვა. „ფრანგი რევოლუციონერები საკმაოდ რთული დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. თეორიულად ისინი აღიარებდნენ თავისუფლებას „ადამიანის უფლებად“, მაგრამ თავიანთ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ისინი სრულიად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ, ეცნოთ ეს უფლება თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ“. [24].

მათ ძალიან კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული მედლის ერთი მხარე, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მომენტად მიგვაჩნია.

იაკობინურ-დემოკრატიული ტრადიცია არ შეიძლება დავიყვანოთ დიქტატურაზე, როგორც ამას ფიქრობდა არაერთი გამოჩენილი ისტორიკოსი, მათ შორის, შესაძლოა, დ. უზნაძეც მოვი-აზროთ.

თავის მთავარ ამოცანას, რევოლუციის მონაპოვარის დაცვას, შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. მათ შეიძლეს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და გამორიცხეს ძველი რეჟიმისაკენ დაბრუნება. და რაც მთავარია, ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა და გალატაკებას გადაურჩა. იაკობინთა პერიოდში სამოქალაქო თანასწორობის პრაქტიკამ მყარად მოიკიდა ფეხი. იურიდიული თანასწორობა, რომელსაც მიაღწიეს ფრანგებმა, მიუხედავად მე-19 საუკუნის პოლიტიკური კატაკლიზმებისა, უცვლელი დარჩა. ლიბერალური დოქტრინა მკაცრ ზღვარს

ავლებდა სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის, ხოლო დემოკრატიული დოქტრინა აქცენტს აკეთებდა მათ ერთიანობაზე. იაკობინთა ძალისხმევით ახალი დროის კულტურაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ტრადიციამ, რომლის მიხედვითაც პოლიტიკაში მონაწილეობა წარაადგენდა მათი პოლიტიკური თავისუფლების წინაპირობას. საკმაოდ მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ საბოლოოდ ორივე ტრადიციის ლიბერალურის და იაკობინურ-დემოკრატიულის მემკვიდრეობის ასახვა მოხდა მესამე რესპუბლიკის ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემაში. [23]. იაკობინებმა გამოაცხადეს „ხალხის ხსნა არის უმაღლესი კანონი“. მათ შეიმუშავეს დოქტრინა არსებობის უფლებაზე და შეეცადნენ, რომ ღარიბების დაცვა გაეხადათ კონსტიტუციურ ნორმად. არსებობის უფლება აღიარებული იქნა მნიშვნელოვან პოლიტიკურ რეალობად და საზოგადოების ზნეობრივ მოვალეობად. [23]. დიდი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს თქმით „ეს იყო ყველაზე დიდი სიტყვა, რომელიც ითქვა მთელი რევოლუციის განმავლობაში“. [25. 5]. ამიტომ იაკობინთა დიქტატურის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. იაკობინთა დიქტატურაზე მათი მსჯელობის გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, გაგიჩნდება კითხვები, რომელზე პასუხის გაცემას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და დაგვეხმარება აღნიშნულ თემაზე კიდევ უფრო სრულყოფილი და ამომწურავი, წარმოდგენა შევიქმნათ.

დ. უზნაძე როგორც ლიბერალი ხომ არ ამუქებდა საქმის ვითარებას? რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული იაკობინთა პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი? რა პოზიტიურ ელემენტებს ხედავდნენ იაკობინთა პოლიტიკაში? „იაკობინელმა დამანგრეველმა ხომ არ გადაფარა ყველაფერი დანარჩენი? ამ კითხვებზე პასუხი სახელმძღვანელოში ფაქტობრივად ღიად რჩება. ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი იაკობინთა პოლიტიკის პოზიტიურ ასპექტებზე ხმას არ იღებენ. დუმილს ამჯობინებენ. ეს, ალბათ,

რალაცას უნდა ნიშნავდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული მედლის ერთი მხარე, იაკობინთა დიქტატურის რეპრესიული ბუნება. ამას ვერ ვიტყვით მედლის მეორე მხარეზე. ერთნი გაიზიარებენ ამ თვალსაზრისს მეორენი კი არა. ყველაფერი ისტორიკოსის მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული. პირადად ჩვენ იაკობინთა დიქტატურისადმი ამგვარი დამოკიდებულება საკამათოდ მიგვაჩნია.

რევოლუციის მსვლელობაში ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და უმთავრესად რამდენიმე გარემოებით იყო გამოწვეული. უწინარესად, ხაზი უნდა გაუსვათ საფრანგეთის ისტორიული განვითარების თავისებურებას, სადაც სენიორალური რეჟიმი კლასიკური ფორმით არსებობდა და მისმა დანგრევამ, ბუნებრივად, ფრანგი რევოლუციონერებისაგან დიდი ძალისხმევა მოითხოვა. რომ არა ომი ევროპასთან 1792 წლის 20 აპრილი, დ. უზნაძისათვის სასურველი ძალთა ბალანსი არ დაირღვეოდა და, ალბათ, კონსტიტუციური მონარქია გააგრძელებდა ფუნქციონირებას. და ბოლოს, ალბათ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რევოლუციის დემოკრატიული პოტენციალი ჯერ კიდევ არ იყო ამონურული. ფრიად სიმპტომატრი უნდა იყო, რომ ისტორიული ალტერნატივა ჟირონდისტები თუ იაკობინები, სწორედ, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყდა. ამიტომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომი მსვლელობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და კარგად გამოხატავდა, ლიბერალური წრეების განწყობილებას.

ვფიქრობთ, საინტერესოა იცნობდა თუ არა აკად. დ. უზნაძე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის იპოლიტ ტენის პამფლეტს „იაკობინების ფსიქოლოგია“, [26] სადაც იაკობინების უშვერი ლანძღვა-გინება, აუგად მოხსენება, თავის ზენიტს აღწევს. მათი სიძულვილით დაბრმავებულმა ი. ტენმა იმდენად შორს შეტოვა, რომ იაკობინები ფსიქოლოგიურად არასრულფასოვნებად გამოაცხადა. ეს მეტისმეტი იყო. იაკობინთა დიქტატურისადმი დ. უზნა-

ძის დამოკიდებულება გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის იპოლიტ ტენის გავლენით ხომ არ იყო განპირობებული? ამ კუთხით საკითხი დ. უზნაძეს როგორც ფსიქოლოგს და ისტორიკოსს, ალბათ, ერთნაირად დააინტერესებდა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა, რომ დ. უზნაძე იცნობდა ი. ტენის ბროშურას, რა თქმა უნდა, არ გაგვაჩნია და იძულებული ვართ ჰიპოთეზის სფეროთი შემოვიფარგლოთ. ი. ტენის წიგნი 1906 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე და საკმაოდ ადვილად ხელმისაწვდომი გახლდათ. იყო უნივერსიტეტის და საჯარო ბიბლიოთეკაში. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, რომ ის იცნობდა ი. ტენის ბროშურას. არ გამოვრიცხავთ, რომ მან გარკვეული გავლენა შეიძლება მოახდინა ამ თემაზე დ. უზნაძის შეხედულებების ფორმირებაზე. ამის ალბათობა არსებობს. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია და მეტი არაფერი.

დ. უზნაძეს, როგორც ფსიქოლოგს, ამ კუთხით ხომ არ აინტერესებდა ეს თემა და აპირებდა თუ არა ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვას? ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის პირობებში ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია და ისევ ვარაუდებს თუ დაფუძნებულს. ადვილი შესაძლებელია, მას მართლაც ჰქონოდა ამგვარი ჩანაფიქრი, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ ცაიტნოტში, რომელშიც მიმდინარეობდა დამოუკიდებელ საქართველოში მსოფლიო ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების დანერა, მან უბრალოდ ვერ მოასწრო მისი განხორციელება, ხოლო შემდგომში ამ იდეამ შედარებით უკანა პლანზე გადაინა და მან მისთვის ველარ მოიცალა. საბჭოთა რეალობაში გახურებული „იაკობინოცენტრიზმის“ პირობებში ამის გაკეთებამ აზრი დაკარგა.

იაკობინთა დიქტატურის შეფასების დროს, პირველ ყოვლისა, უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ორივე უკიდურესობა: იაკობინების უშვერი ლანძღვა-გინება, მიწასთან გასწორება, განქიქება, როგორც ამას აკეთებდა ი. ტენი და მისი მიმდევრები და მათი მოღვაწეობის უსაზღვრო განდიდება, როგორც ამას ჩადი-

ოდნენ ა. მათიეზი და საბჭოთა ისტორიოგრაფია აკად. დიმიტრი უზნაძე პირველ ბანაკში უნდა მოვიაზროთ. ის არ თანაუგრძნობს იაკობინებს. იაკობინთა დიქტატურისადმი მისი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. ეს იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული თვალსაზრისი. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ აკად. დიმიტრი უზნაძის მიკუთვნება „ანტიიაკობინისტური“ ბანაკისადმი, ვფიქრობთ, სწორი არ იქნებოდა. მიუხედავად იაკობინებისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულებისა, მისი მსჯელობა განონასწორებულია. აკადემიური ტონი არ ირღვევა და ეს არაა უბრალო ლანძღვა-გინება. იაკობინებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არ გადაიზრდება პათოლოგიურ სიძულვილში. ზოგიერთმა ისტორიკოსმა იმდენად შორს შეტოპა, რომ იაკობინები ფსიქოლოგიურად არასრულფასოვან და კრიმინალურ ელემენტებად წარმოაჩინა. ეს, ცხადია მეტისმეტია და მიუღებლად მიგვაჩნია. უახლოესი გამოკვლევები დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ იაკობინთა დიქტატურა იყო უაღრესად რთული და მრავალნახნაგოვანი მოვლენა და მისი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ან დადებითად შეფასება საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ, სრულყოფილ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. საჭიროა საკითხისადმი უფრო დაბალანსებული მიდგომა. [27].

გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძე აპირებდა სახელმძღვანელოს შემდგომ დახვეწას, სრულყოფას, მაგრამ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ამ ჩანაფიქრის განხორციელება, ეტყობა, ვერ მოასწრო. სავარაუდოა, რომ იაკობინთა დიქტატურისადმი მისი დამოკიდებულება არ შეიცვლებოდა.

* * *

ამრიგად, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იაკობინთა დიქტატურაზე აკად. დიმიტრი უზნაძის შეხედულებისადმი სწორ-ხაზოვანი მიდგომა, რომლის თანახმად დ. უზნაძის მოსაზრება სწორი ან მცდარი იყო, საკმარისი არ უნდა ჩანდეს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. საკითხი არის რთული და საინტერესო და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება, ვფიქრობთ, ძალიან ძნელი იქნებოდა. დ. უზნაძის შეხედულებებისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასოდეს არ იქნება. ერთნი გაიზიარებენ მას, ხოლო მეორენი კი საკამათოდ მიიჩნევენ. მესამენი საერთოდ დაგმობენ. მათ შორის კონსესუსის მიღწევა ადვილი საქმე არ იქნება. ეს დავა, ალბათ, დიდხანს გასტანს და არ დასრულდება. რას იზამ „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა“.

რევოლუცია ქვემოდან მათთვის როგორც ლიბერალებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიმდინარეობით გამოწვეული მთი უკმაყოფილება. იაკობინთა დიქტატურისადმი დამოკიდებულება ამის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება.

იაკობინთა დიქტატურისადმი მათი დამოკიდებულება მეცნიერული იყო. იაკობინთა დიქტატურის შეფასებისას ისინი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგანან, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი მიდგომა, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს და ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა როგორც მაშინ, ისე დღეს. მათ მთავარ ტონის მიმცემად ცნობილი ფრანგი ისტორიკოსები ფრანსუა ფიურე და დენი რიშე გვევლინებიან.

როგორც ვხედავთ, იაკობინთა დიქტატურისადმი მათი დამოკიდებულება ნეგატიური იყო. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე

მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რაც მათ კარგად გაიცნობიერეს. რამდენად ჰქონდათ გასიგრძეგანებული მედლის მეორე მხარე, იაკობინთა პოლიტიკის პოზიტიური ასპექტები, ძნელი სათქმელია. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს მხარე შეიძლება მათი თვალსაწიერის მიღმა აღმოჩნდა. იმ ექსტრემალურ სიტუაციაში, რომელიც განპირობებული იყო ერთი მხრივ ფედერალისტური, ამბოხით და მეორე მხრივ კონტრრევოლუციის და ინტერვენტების მოქმედებით იაკობინები მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდნენ და შეძლეს საფანგეთის გადარჩენა. ამის უგულებელყოფა, იგნორირება, ალბათ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

იკობინთა დიქტატურის დროს, ცხადია, ნეგატივი დომინირებდა პოზიტივზე და ამაში სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი სავსებით სწორი არიან. მათ კარგად აქვთ გააცნობიერებული იაკობინთა დიქტატურის სუსტი წერტილები, რეპრესიული ხასიათი. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. იაკობინთა პოლიტიკის დადებითი ელემენტებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, ამ საკითხზე მათი შეხედულების აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. საფიქრელია, რომ მათ ჯეროვნად არ უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული იაკობინთა პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი. იაკობინთა დიქტატურისადმი სახელმძღვანელოს ავტორების ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება სწორხაზოვნად მიგვაჩნია და იაკობინთა პოლიტიკის წინააღმდეგობრივ ხასიათზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. საკითხი არის რთული და მრავლანაზხნაგოვანი.

იაკობინთა სახით, სახელმძღვანელოს ავტორებს, სურდათ ქართული საზოგადოებისთვის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლეებისათვის დაეხატათ უარყოფითი პოლიტიკოსის ტიპი, ერვენებინათ თუ როგორი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი. ამ ამოცანას მათ შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია. სულ სხვა საკითხია მეცნიერულად რამდენად სწორი იყო ამგვარი მიდგომა. ეს უკვე მეცნიერული განსჯის საგანია, ასეთი იყო ლიბერალური მიდგომა.

ქართულ ისტორიოგრაფიას იაკობინთა დიქტატურის შეფასების დროს მეცნიერული გზა უნდა ჰქონოდა არჩეული და, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე აკეთებდა აქცენტს. ეს იყო საკითხისადმი ერთ-ერთი სწორი დამოკიდებულება, რომელსაც ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიაში. იაკობინთა დიქტატურისადმი ქართველი მეცნიერების ამგვარი მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ევროპული, პირველ რიგში კი, რატომღაც, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ იაკობინთა დიქტატურის შეფასების დროს ქართულ ისტორიოგრაფიას სწორი კურსი უნდა ჰქონოდა დასახული და მეცნიერული გზით მიდიოდა. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საფიქრელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იაკობინთა დიქტატურისადმი ქართული ისტორიოგრაფიის დამოუკიდებულებამ საინტერესო მეტამორფოზი განიცადა და მკვეთრად გამოკვეთილი „იაკობინოცენტრისტული“ ხასიათი შეიძინა. ეს, წინ გადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია, (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
2. П. Виноградов, учебник всеобщей истории часть 3. Новая История, СПб, 1913.
3. В. Ревуненков, Очерки по истории великой французской революции, Якобинская Республика и его крушение, Л., 1983.

4. Е. Черняк, 1794 год: некоторые актуальные проблемы исследования великой французской революции – «Новая и новейшая история». №1. 1989.
5. А. Нарочницкий, Юбилей французской революции: поиски и проблемы – «Новая и новейшая история», №3. 1989.
6. Н. Молчанов, Монтаньяры, М., 1989.
7. J. Massin, Robespierre, Paris, 1988.
8. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
9. „Archives parlementaires“, 1 serie, t. 66, t. 69.
10. M. Reinhard, Le grand Carnot, t. 1-2. Paris, 1950-1952.
11. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963. გ. კილურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე, (1789-1792), თბ., 1982.
12. А. Дживелегов, Армия великой французской революции и его вожди, Москва-Петроград, 1923.
13. А. Матьез, Как побеждала великая французская революция, М., 1928.
14. А. Матьез, Борьба дороговизной и социальное движение в эпоху террора, М-Л., 1928.
15. Н. Лукин, Борьба классов во французской деревне и продовольственная политика конвента в период действие второго и третьего максимума – Изб. труды, т. 1. М. 1960.
16. П. Добролюбский, Термидор, М., 1949.
17. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
18. გ. კილურაძე „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან) – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, თბ., 1958.
19. А. Гордон, Иллюзии – реалии якобинизма – წიგნში Луи Антуан Сен-Жюст, Речи – трактаты, М., 1995.
20. Т. Черноверская, Личность и судьба – წიგნში Луа Антуан Сен-Жюст, Речи – трактаты, М., 1995. Т. Черноверская, К вопросу об

эволюции мировоззрение Сен-жюста – «Французский Ежегодник 1986». М., 1989.

21. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ისტორიკოსები რობესპიერზე – კრებული მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი, VI, თბ., 2007. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, რობესპიერი ქართულ ისტორიოგრაფიაში – კრებული „ხელისუფლება და საზოგადოება“, 2, თბ., 2008;
22. Луа Антуан Сен-Жюст, Речи – трактаты, М., 1995.
23. Якобинство в исторических итогах великой французской революции – «Новая и новейшая история», №5. 1996.
24. Л. Пименова, Идея свободы во французской революции XVIII в. – «Новая и новейшая история», №1. 1992.
25. Г. Гейне, Полн. собр. соч. т. 7. М.-Л. 1936.
26. И. Тен, Психология якобинца, СПб., 1906.
27. П. Генифе, Политика революционного террора 1793-1794. М., 2003. П. Генифе, Французская революция и террор – «Французский ежегодник – 2000». М., 2000. П. Генифе, Террор: случайность или неизбежный результат революций? Из уроков французской революции XVIII. „Новая и Новейшая историй“, №3, 2003. ეს არის ერთი თვალსაზრისი. არსებობს სხვა მიდგომაც. А. Чудинов, На облаке утопии, жизнь и мечты Жоржа Кутона – Ж. Кутон, Избранные произведения: 1793-1794. М., 1994, А. В. Чудинов, Утопии века просвещения, М., 2000. Д. Бовыкин, Революционный террор во Франции XVIII века: новейшие интерпретации – «Вопросы истории», №6, 2002. С. Блюменау, Французский историк о механизмах террора во время революции – «Новая и новейшая история». №3. 2006.

თავი IV

დიმიტრი უზნაძე იაკობინთა ბელადეზა

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთ რთულ პრობლემას იაკობინთა ბელადებისადმი დამოკიდებულება წარმოადგენს. იაკობინთა ბელადებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში თავისი კვალი დატოვეს. ის არ იყო მხოლოდ ნეგატიური ან მხოლოდ დადებითი. ამიტომ მათი მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასება ძალიან ძნელია. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც აღნიშნულ საკითხზე არსებობს ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში. გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. უშვერი ლანძღვა გინებით დაწყებული და უსაზღვრო ხოტბით დასრულებული. ეს დავა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს და არ დასრულდება. ეს გასაგებია, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

ქართული საზოგადოება ამ თემას, საბჭოთა იდეოლოგიის წყალობით, დიდი ხნის განმავლობაში ვარდისფერი სათვალით უმზერდა. ვარდისფერი სათვალე უნდა მოვიხსნათ და ამ საკითხს რეალისტურად შევხედოთ. ამავე დროს ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა საქმეს არ წაადგება და სასიკეთო არასოდეს ყოფილა. ახლა დავინწყით მათი განქიქება, მიწასთან გასწორება, სწორი არ იქნებოდა. საჭიროა დაბალანსებული მიდგომა. უფრო განონასწორებული შეფასებები.

ვეფქრობთ, საინტერესოა სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება იაკობინთა ბელადების ჟორჟ ჟაკ დანტონის (1759-1794), მაქსიმილიან რობესპიერის (1758-1794), ლუი-ანტუ-

ან სენ-ჟიუსტის (1767-1794), ჟან პოლ მარატის (1743-1793) მოღვაწეობისადმი. საკითხი არის პრინციპული, აქტუალური.

დ. უზნაძე თავის სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია“, რომელიც მან ი. გველესიანთან ერთად დაწერა, განიხილავს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიას და, ბუნებრივია, ეხება იაკობინთა ბელადების მოღვაწეობას.

იაკობინთა ბელადებისადმი მათი დამოკიდებულება არ ატარებდა აღწერით, თხრობით, ხასიათს და მიზნად არ ისახავდა მათი ბიოგრაფიის გადმოცემას. საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაშუქების დროს იკვეთება მათი დამოკიდებულება იაკობინთა ბელადებისადმი. მას შემეცნებითი დატვირთვა ჰქონდა და ანალიტიკური მუხტი გააჩნია, რომელიც ქართულ რეალობაში მათი მოღვაწეობის შეფასების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ამას აქვს მნიშვნელობა და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება იაკობინთა ბელადებისადმი. მისი შემეცნებითი და მეცნიერული მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული. იაკობინთა ბელადების მოღვაწეობის შეფასების დროს ისინი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგანან. ეს იყო საკითხისადმი სწორი მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ევროპული, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსული, სახელდობრ, პროფ. პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის (1) სასკოლო სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი, სიახლე, იყო და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, როგორც ეს საბჭოთა წლებში ხდებოდა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამ თემაზე ქართულ ენაზე არაფერი არ იყო დაწერილი.

იაკობინთა ბელადებისადმი მათი დამოკიდებულების გასაღები, იაკობინთა დიქტატურისადმი მიდგომაშია. ისინი არ თანაუ-

გრძნობენ იაკობინთა დიქტატურას, 1793 წლის პრინციპებს და იაკობინთა ლიდერების მოღვაწეობისადმი, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ რობესპიერის, სენ-ჟიუსტის და მარატისადმი მათი დამოკიდებულება მოულოდნელი არ ყოფილა. დანტონისადმი მიდგომა მოულოდნელი იყო და გაგვიკვირდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. დ. უზნაძის და ი. გველესიანისათვის სადემარკაციო ხაზი ჟირონდაზე გადის, ყველაფერი, რაც ჟირონდის მარცხნივაა არ შეესაბამება მათ პოლიტიკურ იდეალს და მიუღებელია. მათი ღრმა რწმენით, რევოლუციის კულმინაცია იყო 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება. ასეთი იყო ლიბერალური მიდგომა.

* * *

არსებობს დიდი ალბათობა, რომ იაკობინთა ბელადებისადმი მათი დამოკიდებულებათ ასეთი შეიძლება ყოფილიყო.

დაეინყოთ ჟან პოლ მარატით. იაკობინთა ბელადებზე აკად. დ. უზნაძის მსჯელობის ძლიერ მხარედ ჟ. პ. მარატის მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება მიგვაჩნია. ის იაკობინთა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი იყო. ისტორიკოსთა უმრავლესობა მარატს რევოლუციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ოდიოზურ ფიგურად მოიაზრებს და მისი საქმიანობისადმი მკვეთრად გამოკვეთილ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მარატის განდიდება ძალზე გაზვიადებული, პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. მარატი უკიდურესი მემარცხენე იყო და მხარს უჭერდა ტერორს, ძალადობას, რადიკალიზმს, ექსტრემიზმს. ძალადობა, შიში, ტერორი დ. უზნაძისათვის, ცხადია, მიუღებელი იყო. მარატის მოღვაწეობისადმი აკად. დიმიტრი უზნაძის აშკარად ნეგატიური დამოკიდებულება სავსებით მისაღები უნდა ჩანდეს. დ. უზნაძე უარყოფით უპითეტებს არ იშურებს მარატის მიმართ, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, „ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის პოლიტიკას

იცავდა“. [2. 105]. მარატისადმი დ. უზნაძის უარყოფითი დამოკიდებულების გასაღები სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. მარატის პოლიტიკური კურსი არ შეესატყვისება დ. უზნაძის იდეალს და ვერ თავსდება ლიბერალური ღირებულებების ჩარჩოებში. იაკობინთა ტრიუმვირატიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მიუღებელი უნდა პოლ მარატი ჩანს.

მარატისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მწვერვალად შარლოტა კორდესადმი სიმპათია მიგვაჩნია „ახალგაზრდა ქალმა შარლოტა კორდემ, რომელიც ჟირონდისტების იდეალების აღფრთოვანებული თავყანისმცემელი იყო მარატის მოკვლა მოახერხა. იმ მარატის, რომელიც თავის ჟურნალში „ხალხის მეგობარი“ განსაკუთრებული ენერგიით ძარცვა-გლეჯის და ძალადობით პოლიტიკას იცავდა“. [2. 105]. შარლოტა კორდეს საქციელს არანაირი გამართლება არ გააჩნია და მას მარატისადმი სიძულვილი და ჟირონდისტებისადმი სიმპათიები ედო საფუძვლად. შარლოტა კორდეს განდიდება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. [3]. აქ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ისინი სასტიკად გამობდნენ რევოლუციურ ტერორს, მაგრამ მარატის მკვლელის შარლოტა კორდესადმი კეთილგანწყობილი უნდა ჩანდნენ. ამგვარი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი ხომ არაა?

ჟორჟ ჟაკ დანტონი მემარჯვენე იაკობინების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და აღიარებული ლიდერი იყო. შესანიშნავი ორატორი. [4]. მან საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში თავისი წონიანი სიტყვა თქვა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დ. უზნაძემ შეძლო თავიდან აეცილებინა დანტონის განდიდება, რომელიც ძალუმაღ იგრძნობოდა იმდროინდელ ლიბერალურ ისტორიოგრაფიაში და რომლის მთავარი ტონისმიმცემი სახელმძღვანელო ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ალფონს ოლარი იყო. [5. 516-517]. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სულ სხვა უკიდურესობაში ვარდება. დ. უზნაძის მიერ დანტონის მოღვაწეობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება იაკობინთა ბელადებზე

მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ის დანტონს მეტად ლაკონურად და ძალზე უარყოფითად ახასიათებდა, „ნიჭიერი და უზნეო დანტონი“. [2. 98]. რით იყო გამონწვეული ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება? ვფიქრობთ, სიმპტომატური უნდა იყოს, რომ ის დანტონის მოღვაწეობის ისეთ მომენტებს წამოსწევს წინ, რომელიც დანტონს დადებითად არ წარმოადგენს. დ. უზნაძე მას ძალმომრეობაში, ძალადობაში, დებს ბრალს და 1792 წლის 2-5 სექტემბრის მკვლელობაში დანტონს მიიჩნევს დამნაშავედ. [2. 101-102]. „მამულიშვილური გრძნობებით გატაცების გვერდით სხვა გრძნობებმაც იჩინა თავი. ეჭვმა რევოლუციისაგან დაზარალებულთა წინააღმდეგ. დაბალი კლასების სიძულვილმა მალაღმადმი და შურისძიების და გამდიდრების სურვილმა. დანტონი საჭიროდ თვლიდა ყველა ამგვარი გრძნობების გაღვივებას“. [2. 101]. მაგრამ მკვლელები დანტონმა შემდეგი სიტყვებით გაამართლა, ხალხს სურს შური იძიოს. [2. 102]. სექტემბრის მკვლელობებში, რა თქმა უნდა, იყო დანტონის ბრალეულობა და დ. უზნაძე ამაში სავსებით მართალია. მაგრამ, მოდით, ნუ გადავაცქევთ დანტონს განტევების ვაცად. დანტონის განქიქება, მიწასთან გასწორება, როგორც ამას გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოს ალბერ მათიეზი ჩადიოდა, ტენდენციური იყო. [6]. დანტონის პოლიტიკის სუსტ მხარეებზე აქცენტირება, ცხადია, საკმარისი არ უნდა ჩანდეს და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში მის როლზე სრულყოფილ წარმოდგენას როდის გვიქმნის. ხომ არ ამუქებდა დ. უზნაძე საქმის რეალურ ვითარებას და რევოლუციის წინაშე დანტონის დამსახურებას გულგრილად ეკიდებოდა! აღსანიშნავია, რომ 1792 წლის სექტემბერში საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზების საქმეში დანტონის ღვაწლს ეხება გაკვრით, რაც საკმარისი არ იყო. [2. 100-101] დანტონის ბიოგრაფების აზრით, ეს იყო მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მწვერვალი. „საჭიროა სიმამაცე, სიმამაცე და კიდევ სიმამაცე და საფრანგეთი გადარჩენილი იქნება“. სახელმძღვანელოს ავტორები ამაზე დუმიან.

იაკობინთა დიქტატურა დ. უზნაძისათვის მიუღებელი იყო. იაკობინთა ბელადებისადმი მიდგომა ამის ლოგიკური შედეგია. ცხადია, ასევე მიუღებლად ესახება მას იაკობინთა პარტია. ის არ ყოფილა ერთგვაროვანი, მის შიგნით არსებობდა სხვადასხვა დაჯგუფებები. დანტონი იაკობინთა პარტიის ზომიერი ფრთის წარმომადგენელი იყო. ის მემარჯვენე იაკობინელია. დანტონის პოლიტიკური პლატფორმა ყველაზე უფრო მისაღები ჩანდა. ის გამოირჩეოდა ზომიერებით. დანტონს უყვარდა თქმა: „განა ჩვენს შორის კინკლაობას შეუძლია თუნდაც ერთი პრუსიელი მოკლას“. 1794 წელს დანტონის პოლიტიკური კურსი ყველაზე უფრო რეალისტური ჩანდა. ის ითვალისწინებდა ზავის დადებას, ტერორის შემსუბუქებას. [7].

დანტონის მოღვაწეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ცოტა უცნაური ჩანს და ამოვარდნილი დ. უზნაძის ლიბერალური პოლიტიკური მრწამსიდან, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ყოველგვარი ძალმომრეობა დ. უზნაძისათვის მიუღებელი იყო. ამაში ის სავსებით მართალია, მაგრამ დანტონის მოღვაწეობის უარყოფით მხარეებზე ყურადღების გამახვილება, ცალმხრივია. დანტონის სახელი მარტო ძალადობასთან არ ასოცირდება. იყო პოზიტივი, რომელიც, ჩვენი აზრით, დ. უზნაძის მსოფლმხედველობასთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს. სავარაუდოა, რომ ძალადობამ დაჩრდილა მის თვალში სხვა დადებითი მომენტები. იაკობინთა ლიდერებიდან შედარებით ყველაზე უფრო მისაღები პიროვნება, სწორედ, ჟორჟ ჟაკ დანტონი უნდა იყოს. ამიტომ, დანტონის მოღვაწეობისადმი დ. უზნაძის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება მოულოდნელია და მიუღებლად მიგვაჩნია.

მაქსიმილიან რობესპიერი და ლუი ანტუან სენ-ჟიუსტი იაკობინთა პარტიის ცენტრის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძე მათზე მაინცდამაინც მაღალი აზრის არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში რობესპიერი რამდენჯერმე

მოიხსენიება და ყოველთვის უარყოფით კონტექსტში. ამჯერად სახელმძღვანელოდან ერთ ამონარიდს მოვიყვანთ, სადაც ყველაზე რელიეფურად ჩანს თუ როგორი იყო სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება რობესპიერისა და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობისადმი და რომელიც აღნიშნული თემისადმი მათი მიდგომის თავისებურ რეზიუმედ მიგვაჩნია. აი, რას წერდნენ ისინი: „რობესპიერი, გაბატონებული მიმართულებების უმთავრესი წარმომადგენელი, მშრალი, სისტემური გონებისა და ვინრო მსოფლმხედველობის კაცი იყო, მედიდური პედანტი, რომელიც თავისი გეგმების მიხედვით, მთელი საფრანგეთის საქმეების მონყობას ლამობდა და ყველას, ვინც მის აზრს არ იზიარებდა, გულწრფელად კაცობრიობის მტრად თვლიდა. რობესპიერთან ყველაზე უფრო ახლო იდგა სენ-ჟიუსტი, რომლის მიზანსაც საფრანგეთში იმგვარი წესწყობილების შექმნა შეადგენდა, რომელსაც სპარტასა და რუსოს სახელმწიფოს შორის საშუალო ადგილი უნდა დაეჭირა“. [2. 106]. რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობის ამგვარი შეფასება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მძლავრი ემოციური მუხტითაა გაჯერებული, რომელსაც, უპირატესად, რევოლუციური ტერორისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ედო სარჩულად. რობესპიერს მან, „მკაცრი ფანატიკოსი“ უწოდა. [2. 98].

რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მემარცხენე-რადიკალური შეხედულებები აშკარად არ თავსდებოდა დ. უზნაძის პოლიტიკური იდეალების ჩარჩოებში, რომელიც უმთავრესად ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობისადმი კრიტიკული მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და დ. უზნაძის მსჯელობის პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ მან კარგად გაიცნობიერა რობესპიერისა და სენ-ჟიუსტის პოლიტიკის სუსტი მხარეები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა – ტერორი.

ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელიც დ. უზნაძეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. მედალს აქვს მეორე მხარე.

რამდენად ჰქონდა ის დ. უზნაძეს გაცნობიერებული? ხედავდა თუ არა ის, რობესპიერის პოლიტიკის დადებით მომენტებს? სავარაუდოა, რომ დ. უზნაძეს როგორც ლიბერალს რობესპიერის ტიპის საქმიანობის ეს მხარე სათანადოთ არ უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული. მრავლისმეტყველია, რომ ის პოზიტივზე კრინტს არ ძრავს. შესაძლოა, დ. უზნაძის თვალში, ტერორმა, ძალადობამ, შიშმა, განუკითხაობამ დაჩრდილა სხვა პოზიტიური მომენტები და ცალმხრივი სურათი მივიღეთ.

რობესპიერს არ შემოუღია ტერორი, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა მისი განხორციელების მიზანშეწონილობაში. რობესპიერის ტიპი არ წარმოადგენდნენ რადიკალური სოციალური და ტერორისტული პოლიტიკის შემოქმედს, მაგრამ მის თანმიმდევრულად გატარებაზე უარს როდის ამბობდნენ. ამაში დ. უზნაძე სავსებით მართალი იყო. ალბათ, დამეთანხმებით, რომ რევოლუციური ტერორის შემოქმედად ბილო ვარენის გამოცხადება უხერხული იქნებოდა. „ტერორის მთავარი ორგანიზატორი და კომიტეტის მოქმედი ხელმძღვანელი ბილო ვარენი იყო. დიდი თეორიებით ის თავს არ ინუხებდა, მაგრამ ტერორის უაღრესობაში მტკიცედ იყო დარწმუნებული და მას ცხოვრებაში შეურყევლად ატარებდა“. [2. 106]. როგორც ხედავთ, ბილო ვარენზე ავტორები მეტად დაბალი აზრის არიან და ეს სავსებით სწორია.

ტერორისათვის მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება რობესპიერისათვის, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ფრანგი ისტორიკოსები დანყებული ჟორჟ ლეფევერიდან მიშელ ვოველით დამთავრებული ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტერორი წარმოიშვა „ქვემოდან“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტერორმა კანონის ძალა მიიღო 1793 წლის 31 მაისი-2 ივნისის სახელმწიფო გადატრიალებამდე ე. ი. იაკობინების ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდი ხნით ადრე და აიხსნებოდა იმ ექსტრემალური ვითარებით, რომელიც შეიქმნა 1793 წლის ზამთარში და გაზაფხულზე ერთი მხრივ, ეს იყო აჯანყება ვანდეაში, ხოლო მეორე მხრივ, გენერალ დემურის ლალატი. [8. გვ. 301].

დ. უზნაძე ხაზს უსვამს იაკობინების დამსახურებას საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზების საქმეში, მაგრამ მას უმთავრესად „გამარჯვების ორგანიზატორის“ ლაზარ კარნოს სახელს უკავშირებს. [2. 105. 9] ეს სავსებით სწორია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ რობესპიერის და განსაკუთრებით სენ-ჟიუსტის როლი. გავიხსენოთ რობესპიერის ძმის ოგიუსტის წვლილი ახალგაზრდა ნაპოლეონ ბონაპარტეს დანიინაურების საქმეში ტულონთან, რომლის აღებაზე 1793 წლის 17-19 დეკემბერს, დ. უზნაძე თავის სახელმძღვანელოში, რატომღაც, კრინტს არ ძრავს. ანდაც სენ-ჟიუსტის მისია რაინის არმიაში. [10].

რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ან დადებითად შეფასება საკმარისი არ უნდა ჩანდეს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. სასურველია უფრო დაბალანსებული მიდგომა. ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა. [11. 12].

უწინარესად მიზანშეწონილია მკაფიოდ იქნას ხაზგასმული როდის უწყობდა ხელს რობესპიერისტების პოლიტიკა რევოლუციური პროცესის წინსვლას, განსაკუთრებით 1793 წლის მეორე ნახევარში და როდესაც ის ასეთ ხასიათს აღარ ატარებდა, განსაკუთრებით 1794 წლის პირველ ნახევარში. [13]. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ დ. უზნაძის კრიტიკული პათოსი, უმთავრესად, შეეხება, სწორედ, 1794 წლის ზამთარსა და გაზაფხულს და შედარებით ნაკლებად, 1793 წლის ზაფხულსა და შემოდგომას. [2. 106-109]. ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1793 წლის მიწურულს საფრანგეთის არმიის ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა გადაფარა სხვა პრობლემები. რობესპიერისტებისადმი დ. უზნაძის უარყოფითი დამოკიდებულების კულმინაცია, ჩვენი აზრით, იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი გულგრილი დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ. ის, ფაქტობრივად, გვერდს უვლის რევოლუციის წინაშე მათ ერთ-ერთ დამსახურებას.

ჩვენ შორსა ვართ რობესპიერის გაიდეალებისაგან, როგორც ამას ალბერ მატეიზი და მის კვალდაკვალ საბჭოთა ისტორიოგრა-

ფია ჩადიოდა. ეს სწორი არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, რობესპიერი ანგელოზი არ იყო, მაგრამ ის არც ურჩხული, არც მონსტრი არ ყოფილა. [14]. რობესპიერი იყო რევოლუციონერი. ეს თავის თავში შეიცავს გმირობასაც და დანაშაულსაც. მოდი რობესპიერისტებს ნურც ერთს დავეუკარგავთ და ნურც მეორეს. რობესპიერისტების პოლიტიკა იყო უაღრესად წინააღმდეგობრივი, რთული და მრავალნახნაგოვანი. „რობესპიერისტებმა თავიანთი წინააღმდეგობრივი პოლიტიკის გამო სიცოცხლით აგეს პასუხი“. [15. 155-156].

რობესპიერისა და სენ-ჟიუსტისადმი დ. უზნაძის ნეგატიური დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სავსებით კანონზომიერი იყო და ძალიან კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობას. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ ექსტრემალურ სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა საფრანგეთში 1793 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, რობესპიერის და სენ-ჟიუსტის წვლილის უსაშველოდ გაზვიადებისაგან, როგორც ამას ჩადაინ რობესპიერის და სენ-ჟიუსტის თაყვანისმცემელი ისტორიკოსები, პირველ რიგში კი, ლუი ბლანი, ერნსტ ამელი და ალბერ მათიეზი მაგრამ მათი როლის სრული იგნორირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებელი არ უნდა იყოს. იაკობინებს ჰქონდათ გარკვეული წარმატებები და ამის გვერდის ავლა ალბათ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

რობესპიერისტების მოღვაწეობისადმი დ. უზნაძის ნეგატიური დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მისთვის მიუღებელი იყო ტერორი, ძალადობა, შიში, განუკითხაობა და ამან მის თვალში, როგორც ეტყობა, დაჩრდილა რობესპიერისტების პოლიტიკის დადებითი მომენტები – აგრარული კანონმდებლობა, საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზება, ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება, კონტრრევოლუციასთან წარმატებული ბრძოლა. რობესპიერისა და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობის შეფასების დროს აკად. დ. უზნაძეს მეცნიერული პოზიცია უკავია, რომელიც ძირითადად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული და გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

რობესპიერისტებისადმი ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომი მსვლელობისადმი მათი უარყოფითი დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. ასეთი იყო ლიბერალური მიდგომა.

მათ დამაჯერებლად გვიჩვენეს რობესპიერისტების პოლიტიკის სუსტი მხარეები, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია. ეს არის მედლის ერთი მხარე, რომელიც მათ, ვფიქრობთ, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. მედალს აქვს მეორე მხარე. რამდენად ჰქონდათ მათ გაცნობიერებული რობესპიერისტების პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი? უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე პასუხი სახელმძღვანელოში ღიად რჩება, რაც, ჩვენი აზრით, ამ თემაზე მათი მსჯელობის მინუსად შეიძლება მივიჩნიოთ. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ამ მხარეზე სახელმძღვანელოში ისინი კრინტს არ ძრავენ. იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი გულგრილი დამოკიდებულება ამგვარი მიდგომის კულმინაციად, აპოგეად, მიგვაჩნია. დომინანტი კვლავ ნეგატივი იყო და ამაში სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი სავსებით სწორი არიან, მაგრამ რალაც პოზიტივიც ხომ იყო?

აღნიშნულ პრობლემაზე აკად. დიმიტრი უზნაძის შეხედულებების მნიშვნელობა შემდგომში მდგომარეობს. ორივე უკიდურესობა მისი აპოლოგეტური შეფასება ან შეუფასებლობა მიუღებელია და უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა. მისი მსჯელობის მეცნიერული წონადობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ორმა გარემოებამ:

1. ამ თემის გაშუქებას ჰქონდა შემეცნებითი დატვირთვა, ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში დ. უზნაძე ქართველ მკითხველს უხატავდა არა სანიშნურო იდეალს, არამედ პირიქით. უჩვენებდა თუ როგორი არ უნდა იყოს, მისი აზრით, პოლიტიკოსი. შეიძლება ითქვას, რომ მან კარგად გამოხატა ლიბერალური ინტელიგენციის განწყობილება, რომელსაც ჰქონდა თავისი პლუსები და მინუსები.

2. ამ საკითხების განხილვას ისტორიოგრაფიული დატვირთვა აქვს, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს მის მეცნიერულ მნიშვნელობას. ის ცდილობს იაკობინთა ლიდერების მოღვაწეობის შეფასებას. ფაქტობრივად, ეს იყო, ქართულ სინამდვილეში, აღნიშნული საკითხის შეფასების პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი სერიოზული მცდელობა. რომელსაც ისტორიოგრაფიული მუხტი გააჩნია, რომელმაც განსაზღვრა მისი შემეცნებითი და მეცნიერული მნიშვნელობა.

* * *

ამრიგად, აღნიშნულ საკითხზე დ. უზნაძის შეხედულებების გაცნობის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივდივართ. ეს მიაბიჭური მარტივი მსჯელობა ქართულ სინამდვილეში იაკობინთა ბელადების შეფასების პირველი თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობაა და მას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. მისი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობს. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იაკობინთა ბელადებისადმი დ. უზნაძის მიდგომას, ცხადია, საფუძვლად ედო იაკობინთა დიქტატურისადმი დამოკიდებულება. იაკობინთა დიქტატურა ლიბერალი დ. უზნაძისათვის მიუღებელია. იაკობინთა ბელადებისადმი მათი მიდგომა ამის ლოგიკური შედეგი იყო.

1. იაკობინთა ბელადებიდან ყველაზე უფრო მიუღებლად დანტონისადმი დ. უზნაძის დამოკიდებულება მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, დანტონის მოღვაწეობის შეფასებისას დ. უზნაძე მეტად მკაცრი იყო და შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის წინაშე მის დამსახურებას ის გულგრილად ეკიდება. დანტონის მოღვაწეობის უარყოფით მხარეებზე აქცენტირება ცალმხრივია. მიუხედავად ყველაფრისა, დანტონის პოლიტიკაში პოზიტივი მაინც ქარბობდა ნეგატივს და ამის დაუნახაობა, ალბათ, არ ივარგებდა.

2. რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობის შეფასების დროს ისინი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგანან. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნე-

ბრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობის უარყოფითი შეფასება, უეჭველად, შეიცავს ქვეშაირების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული რობესპიერისტების პოლიტიკის სუსტი მხარეები, რეპრესიული ბუნება. ამ შეხედულებას ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს და სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ეს იყო მედლის ერთი მხარე. მედალს გააჩნია მეორე მხარე. ფრიად ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ რობესპიერისტების პოლიტიკის დადებით ელემენტებზე ისინი კრინტს არ ძრავენ. რამდენად გვიქმნის ამგვარი მიდგომა მათ პოლიტიკაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას? ნუთუ ვერაფერი დადებითი ვერ დაინახეს? რამდენად ჰქონდათ მათი გაცნობიერებული რობესპიერისტების პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი? ისინი როგორც ლიბერალები ხომ არ ამუქებდნენ საქმის ვითარებას? რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური შეფასება სწორხაზოვნად მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. ნეგატივის გვერდით, მართალია ძალიან მცირე დოზით, მაგრამ მაინც არის დადებითიც, რაც, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან.

3. ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მისაღები უნდა ჩანდეს ფ. პ. მარატისადმი დ. უზნაძის მიდგომა. დ. უზნაძის მიერ მარატის მოღვაწეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ის მხურვალედ უჭერდა მხარს ტერორის გამკაცრებას, აქეზებდა ძალმომრეობას. მას აშკარად მემარცხენე, რადიკალური ელფერი დაკრავდა. ძალადობა, დაშინება, ტერორი დ. უზნაძისათვის, ცხადია, მიუღებელი იყო და ამაში ის სავსებით სწორია.

4. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ებერის, მემარცხენე იაკობინელების და „ცოფიანებისადმი“ დ. უზნაძის დამოკიდებულება დადებითი ვერ იქნებოდა. ეს იყო სწორი მიდგომა. ისინი, განსაკუთრებით ებერი, მოითხოვდნენ ტერორის გამკაცრებას. ეს

კი დ. უზნაძისათვის მიუღებელი იყო. მრავლისმეტყველია, რომ თავის სახელმძღვანელოში ის ამ დაჯგუფებების საქმიანობაზე დუმს. ჩანს, ის ამას უმნიშვნელო ეპიზოდად მიიჩნევდა და მასზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ არ ცნო.

5. დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო საკითხი. სახელმძღვანელოში დ. უზნაძე კრინტს არ ძრავს ბაბეფის მოღვაწეობაზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და მასში, პირველ ყოვლისა, ბაბეფის მოძღვრებისადმი დ. უზნაძის თავშეკავებული დამოკიდებულების ანარეკლი უნდა დავინახოთ. ეს სავსებით სწორი იყო, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ სახელმძღვანელოში ბაბეფის და მისი მომხრეების გამოსვლისათვის გვერდის ავლა გამართლებულად არ მიგვაჩნია. საჭირო იყო მასზე მოკლედ შეჩერებულყოფიერად, ხაზი გაესვა ბაბეფის მოღვაწეობის ძლიერი და სუსტი მხარეებისათვის.

იაკობინთა ბელადებისადმი, სახელმძღვანელოს ავტორთა, მიდგომა მეცნიერულია და, უმთავრესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ იაკობინთა ბელადების მოღვაწეობის შეფასების დროს ქართულ ისტორიოგრაფიას სწორი, მეცნიერული კურსი უნდა ჰქონოდა დასახული და, როგორც უკვე ითქვა, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე აკეთებდა აქცენტს. ის სწორი გზით მიდიოდა. დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულებამ იაკობინთა ბელადებისადმი სერიოზული ფერისცვალება განიცადა და მკვეთრად გამოკვეთილი „იაკობინოცენტრისტული“ დატვირთვა შეიძინა. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ იაკობინთა ბელადების განდიდებას მიჰყო ხელი. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო, რომელიც წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ.

ლიტერატურა:

1. П. Виноградов, учебник всеобщей истории, часть 3, новая история. М., 1913.
2. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.) თბ., 1919.
3. А. Чудинов, Шарлота Корде – «Новая и новейшая история», №5. 1993.
4. А. Олар, Ораторы революции, т. 1-2, СПб., 1907-1908.
5. А. Олар, Политическая история французской революции, М., 1938.
6. А. Матъез, Новое о Дантоне, М., 1928.
7. Н. Молчанов, Монтаньяры, М. 1989.
8. «Проблемы – якобинской диктатуры» – «Французики ежегодник», 1970, М. 1972.
9. N. Reinhard, Le grand Carnot, t. 1-2 Paris, 1950-1952.
10. Н. Чупрун, Сен-жюст и организация обороны Франции – 1793 года – «Научные записки Днепропетровского университета». Т. 56. Выпуск, IV, 1956.
11. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ისტორიკოსები რობესპიერზე – კრებული მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი, VI, თბ., 2007.
12. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, რობესპიერი ქართულ ისტორიოგრაფიაში – კრებული „ხელისუფლება და საზოგადოება“ 2, 2008.
13. Е. Черняк – 1794 год. Некоторые актуальные проблемы исследования великой французской революции – «Новая и новейшая история», №1. 1989.
14. J. Massin, Robespierre. Paris, 1988.
15. А. Собуль. Первая республика, М., 1974.

კარი მესამე

დღივითი უზნაძე ნაკოლაძე

თავი I

დიმიტრი უზნაძე ნაპოლეონა

XX საუკუნის გამოჩენილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯეიმზ ელტონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ ისტორიული პიროვნება შეიძლება გახდეს ჭეშმარიტად დიდი, ის უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს. ან სავსებით უნდა შეესატყვისებოდეს თავისი ეპოქის მოთხოვნებს ანდა ძალიან ბევრით უნდა უსწრებდეს მას. [1.8]. ნაპოლეონი ამ ორივე კრიტერიუმს აკმაყოფილებდა.

როდესაც მოსკოვის მერმა ფ. როსტოპჩინმა ა. სუვოროვს ჰკითხა, თუ ვის თვლიდა ყველა დროის უდიდეს მხედართმთავრებად, ასეთი პასუხი მიიღო: ჰანიბალი, ცეზარი, ნაპოლეონი. აღსანიშნავია, რომ ა. სუვოროვი მხოლოდ ნაპოლეონის პირველ წარმატებებს მოესწრო.

XIX-XX საუკუნეების ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის განდიდება დომინირებს, ის აპოგეას აღწევს ადოლფ ტიერის, ალბერ სორელის, ალბერ ვანდალის და ლუი მადლენის ფუნდამენტურ გამოკვლევებში, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟორჟ ლეფევერი თავის საინტერესო წიგნში „ნაპოლეონი“ ვერ ფარავდა მისი მოღვაწეობით გამოწვეულ აღტაცებას და დასძენდა, რომ „ნაპოლეონი იყო საუკუნის ადამიანი“. ნაპოლეონის განდიდება არ წარმოადგენს მხოლოდ ფრანგი ისტორიკოსების მონოპოლიას. მას მრავლად ყავდა თაყვანისმცემლები საფრანგეთის ფარგლებს გარეთაც. აი

რას წერდა მასზე ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯონ ემერი აკტონი. ის ნაპოლეონს უწოდებს „ყველაზე დიდ გენიას, მათ შორის, რომელიც კი გამოჩენილა დედამიწის ზურგზე“. ნაპოლეონის ქება მარტო ისტორიკოსების საუფლოს არ წარმოადგენდა. მათ მხარი აუბეს ფილოსოფოსებმა, აი რას ფიქრობდა ნაპოლეონზე დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი, „მე ვიხილე იმპერატორი, ეს მსოფლიოს სული, როცა ის ქალაქში შემოვიდა, საკვირველი გრძნობა გვეუფლება კაცს, როცა ხედავ ასეთ არსებას, ერთ წერტილში თავმოყრილს, ცხენზე შემჯდარს და ამავე დროს მთელი ქვეყნიერების მბრძანებელს“. ნაპოლეონის ქების საქმეში ისტორიკოსებს და ფილოსოფოსებს ტოლს არ უდებდნენ გამოჩენილი მწერლები. მათი მთავარი ტონის მიმცემი დიდი გერმანელი მწერალი, ვაიმარელი ბრძენი, იოჰან ვოლფგანგ გოეთე იყო. მისი ღრმა რწმენით, „ნაპოლეონისათვის ძალაუფლება იგივე იყო, რაც დიდი ხელოვანისათვის ინსტრუმენტი“. მათ არც მხატვრები ჩამორჩნენ. დავიდი, გრო, ჟერიკო თავის ფერწერულ ნამუშევრებში ხოტბას ასხამენ ნაპოლეონს. ნაპოლეონის მეხოტბეთა ფერხულს პოლიტიკოსებმაც აუბეს მხარი, აი რას წერდა XIX საუკუნის ინგლისელი პოლიტიკოსი ლორდი როზბერი თავის წიგნში ნაპოლეონზე, რომელიც წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, მართალია მოიკოჭლებს, მაგრამ საფრანგეთის იმპერატორს სათანადო პატივს მიაგებს. „ნაპოლეონმა უსასრულობამდე გადაწია ის, რაც მის გამოჩენამდე ადამიანის შესაძლებლობების ზღვარად იყო მიჩნეული“. ნაპოლეონის თაყვანისმცემელი იყო გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკოსი სერ უინსტონ ჩერჩილი. მისი ღრმა რწმენით, ნაპოლეონს შეეძლო, როგორც ნგრევა, ისევე შენება. მის თვალში ნაპოლეონის სახელი ასოცირდება ძველის, დრომოჭმულის ნგრევასთან და ახლის შენებასთან. აქედან იღებს სათავეს, ჩერჩილის სიმპათიები ნაპოლეონისადმი. ნაპოლეონის თაყვანისმცემელი პოლიტიკოსების ლიდერად კი, მეხუთე რესპუბლიკის დამაარსებელი, საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი გვევლინება. მის ღრმა რწ-

მენით, „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო საქმეში და მმართველობაში“ აქ ნაპოლეონის განდიდება პიკს აღწევს.

ეს ერთი ხედვა იყო. არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ამ აღფრთოვანებას, რა თქმა უნდა, ყველა როდი იზიარებდა. პიერ ლანფრეს აზრით, ნაპოლეონი იყო ტირანი, დესპოტი, რომელმაც სისხლით მორწყა ევროპა. XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსის აკად. ერნსტ ენგელბერგის თანახმად „ნაპოლეონი იყო რევოლუციის არადემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი“. სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ნაპოლეონის აუგად მოხსენიება კულმინაციას, აღწევს ლევ ტოლსტოის რომანში „ომი და მშვიდობა“. ასე იკვეთება ბონაპარტისტული და ანტიბონაპარტისტული ტენდენცია. თუ ერთ შემთხვევაში ვარდისფერები ქარბობს, მეორე შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება მუქ ფერებს. ნაპოლეონის მოღვაწეობის, არც უსაშველო გაიდება და არც მინასთან გასწორება, ცხადია, არ ღირს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია, მაგრამ ამ ოქროს შუალედის გამოძებნა ნაპოლეონისადმი სიმპათიის ან ანტიპათიის გამო სულაც არ იქნება ადვილი საქმე. ბონაპარტისტულ და ანტიბონაპარტისტულ ბანაკს შორის კონსესუსის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება და მათ შორის დავა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს და არც დასრულდება. XX საუკუნის ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ყოველთვის იქნებიან ნაპოლეონის მომხრე და მოწინააღმდეგე ადამიანები. [2] ნაპოლეონს, ვფიქრობთ, კარგად მიესადაგება დიდი გერმანელი ფილოსოფოსის კანტის სიტყვები „დიდ პატივმოყვარეობას ძვლთაგანვე ბევრი გონიერი ადამიანი ჭკუიდან შეუშლია“. ნაპოლეონის გამორული ეპოპეის ტრაგიკული დასასრულის გასაღებიც იქნება სწორედ აქ ძვეს?

* * *

წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს გამოარკვეოს აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი და განსაზღვროს აკად. დ. უზნაძის ადგილი ქართულ ნაპოლეონიანაში.

ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნაპოლეონის მოღვაწეობით დ. უზნაძის დაინტერესება არ იყო გამონეუული წმინდა პრაგმატული მოტივებით და სახელმძღვანელოს დაწერის ჩანაფიქრით არ შემოიფარგლებოდა.

ნაპოლეონის ცხოვრებით და მოღვაწეობით დ. უზნაძის დაინტერესება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა და, ძირითადად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ნაპოლეონი მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი რთული პიროვნება იყო. ამიტომ დ. უზნაძის დაინტერესება მისი ცხოვრებით და მოღვაწეობით სავსებით ბუნებრივი ჩანს. მას აინტერესებდა ისტორიაში პიროვნების როლი, ნაპოლეონი ამ მხრივ მართლაც კარგი კანდიდატი იყო. მეორეც ნაპოლეონის სახელს უკავშირდება გრანდიოზული ხასიათის გარდაქმნები, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო და საფუძვლად დაედო ახლის შენებას. მათ ნაპოლეონი აინტერესებდათ და მოწონდათ, როგორც დიდი პიროვნება, დიდი მხედართმთავარი, რეფორმატორი, კანონმდებელი.

აღნიშნული საკითხის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება და მასზე უნდა ვიმსჯელოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1919 წელს გამოსული „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც მან დაწერა ი. გველესიანთან ერთად (ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ დ. უზნაძეზე, ვგულისხმობთ, ი. გველესიანსაც). სხვა სერიოზული ნაშრომი მას ნაპოლეონზე არ დაუწერია. ამიტომ ამ მცირე მასალას უნდა დავჯერდეთ. ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნებოდა. ასეთი ფუფუნების უფლება არ გვაქვს.

დ. უზნაძისა და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება ექცევა და საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნაპოლეონის მოღვაწეობას და მისი ეპოქის გაშუქებას. [3.117-141]. ეს უწინარესად, ამ პერიოდის მნიშვნელობითაა განპირობებული. ეს მონაკვეთი სახელმძღვანელოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მცირე მოცულობის საინტერესო ისტორიული ნარკვევის შექმნის მცდელობასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ და რომელსაც ღირსებები უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს ავტორები საკმაოდ ცოდნას ამჟღავნებენ ნაპოლეონის ეპოქისა და საერთოდ XIX საუკუნის დასაწყისის ევროპის ისტორიაში. ამ თემაზე მათი მსჯელობა ემყარება ამ ეპოქის ფაქტოლოგიური მასალის ცოდნას. სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მთავარი ღირსება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. სახელმძღვანელოს ეს ნაწილი, არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, ის არაა ფაქტების გროვა. ასეთი სახელმძღვანელო საინტერესო ვერ იქნებოდა. მასში ჩადებულია ანალიტიკური მუხტი. წმინდა შემეცნებით დატვირთვასთან ერთად მას მეცნიერული მნიშვნელობა აქვს და ნაპოლეონის მოღვაწეობის შეფასების მცდელობად გვევლინება. მას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული, სახელდობრ პროფ. პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია.

ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა საქართველოში სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს და, უმთავრესად, ასახვა ჰპოვა საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში. მათ შორის იყო დ. უზნაძის და ი. გველესიანის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის

ფონზე, როდესაც აღნიშნულ თემაზე, ქართულ ენაზე არაფერი არ იყო დაწერილი, ეს სიახლე იყო და წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რომელიც იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იკვეთება ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლის კონტურები, წინამძღვრები, პირველი სიმპტომები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ თემაზე მათი მსჯელობის დღევანდელი გადასახედიდან განსჯა ადვილი. გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ეს მარტივი მსჯელობა ხშირად შეიცავს რაციონალურ მარცვალს და, სწორედ, ეს უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. სახელმძღვანელოში თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია, ფაქტობრივი მასალა, საინტერესოა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლეებს, ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნის. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. მკაცრი მეცნიერული კრიტიკა უმი აქ საზომად არ გამოდგება. მათ წინაშე მეტად მოკრძალებული ამოცანა იდგა და ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ამ კულტურტრეგერულ მიზნას ურიგოდ როდი გაართვეს თავი.

ხშირად ნაპოლეონის ეპოქას საფრანგეთის რევოლუციის ხანად მოიაზრებენ. ეს შეხედულება ერთ-ერთი პირველი რესტავრაციის ეპოქის ფრანგმა ისტორიკოსებმა გამოთქვეს. ისინი რევოლუციის ხანად მიიჩნევენ 1789-1814 წლებს. ნაპოლეონის ხანას რევოლუციის გაგრძელებად ხომ არ მიიჩნევენ სახელმძღვანელოს ავტორები? ამ თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა, სტრუქტურა, სადაც ნაპოლეონის მმართველობა რევოლუციის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. 1. ძველი რეჟიმი, 2. რესპუბლიკა, 3. დირექტორია, 4. ნაპოლეონი. [3. 117]. ამგვარ პერიოდიზაციას აქვს თავისი რეზონი, აზრი, გააჩნია არსებობის უფლება და ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს, მაგრამ ის არ წარ-

მოადგენს უკანასკნელ ქვეშარიტებას. ნაპოლეონის ეპოქის რევოლუციის ხანად გამოცხადება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს.

მათ კარგად გააცნობიერეს, რომ საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ნაპოლეონის ეპოქას შორის გენეტიკური კავშირი არსებობს, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მომენტად მიგვაჩნია. ნაპოლეონის ერა არ შეიძლება გავაიგივოთ რევოლუციასთან და არც სრულიად მოვწყვიტოთ მას. საჭიროა, დავიცვათ ზომიერება.

საინტერესოა, ნაპოლეონის დამოკიდებულება რევოლუციისადმი. ის არ იყო „რევოლუციის მესაფლავე“, როგორც ამას ბევრი ფიქრობდა. მათი ერთ-ერთი მთავარი ტონის მიმცემი ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ალფონსი ოლარი იყო. მისასაღმებელი უნდა იყოს, რომ ამ კონტექსტში საკითხს არც სახელმძღვანელოს ავტორები, დ. უზნაძე და ი. გველესიანი არ განიხილავენ. ეს სწორი მიდგომა იყო. ნაპოლეონმა საფრანგეთის რევოლუციისაგან აიღო ყველაფერი ის, რაც კარგი იყო და დაგმო, ის რაც უარყოფით მხარეს წარმოადგენდა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მან უარი თქვა რევოლუციისათვის დამახასიათებელ უკიდურესობებზე და შეეცადა შეენარჩუნებინა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. ეს სწორი ნაბიჯი იყო. [4. 341-345. 114-115]. გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჟორჟ ლეფევრმა თავის წიგნში ნაპოლეონზე დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ მან შეინარჩუნა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეს იყო რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა, რომლის ძალითაც ფრანგმა გლეხმა შეინარჩუნა რევოლუციის მთავარი მონაპოვარი მიწა. [6]. ამიტომ იყო, რომ ფრანგი გლეხი პირდაპირ აღმერთებდა ნაპოლეონს. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟაკ გოდშო აღნიშნავს, რომ „მიუხედავად ძველი რეჟიმისკენ გადადგმული ნაბიჯების, ნაპოლეონის მმართველობა წარმოიშვა

რევოლუციის მონაპოვარის საფუძველზე“. [7.12]. თანამედროვე ავსტრალიელმა ისტორიკოსმა, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორმა, მარტინ ლაიონსმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონმა იურიდიულად გააფორმა და განამტკიცა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. [8.305]

სახელმძღვანელოში საკითხის ამ კონტექსტში წამოჭრა მისასაღმებელი უნდა იყოს და რუსი ისტორიკოსი პროფ. პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. მათ, ვფიქრობთ, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ნაპოლეონი შეეცადა შეენარჩუნებინა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. ისინი, ამაში ნაპოლეონის მმართველობის დადებით მომენტს ხედავენ, სავსებით სწორი მიდგომაა. „პოლიტიკური მხრივ იგი, (ე. ი. ნაპოლეონი – მ. კ.) მართალია, მტერი იყო რევოლუციის, მაგრამ ამ უკანასკნელის სამოქალაქო პროგრამა მას მაინც სავსებით ჰქონდა შეთვისებული. ... ის მთელი არსებით ახალი წესწყობილების კაცი და რეფორმატორი იყო, რომელიც ყველაფერში და ყველგან გონიერების დებულებებისა და სისტემატიზაციის გატარებას ცდილობდა. ... გარდა ამისა ბონაპარტეს ცდით დასრულებული იქნა ის დიდი, იურიდიული რეფორმები, რომელნიც ეროვნული კრების და კონვენტის დროს დაიწყეს“. [3.120]. აქ ორ გარემოებას მივაპყრობთ ყურადღებას. ამ მიაშიტური მსჯელობის უკან იკითხება მინიშნება ნაპოლეონის სოციალურ პოლიტიკაზე და მკაფიოდ ჩანს ნაპოლეონისადმი მათი კეთილგანწყობილება. მაგრამ ისინი არაფერს არ ამბობენ არსებითზე და მთავარზე – ნაპოლეონმა შეინარჩუნა რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა. ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა. [3.120]. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო იყო და იაკობინთა აგრარული პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია.

გარკვეული უკმარობის გრძნობას გვიტოვებს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის დასაწყისი, რაც, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში გამჭვირვალე არაა მიჯნა

საფრანგეთის რევოლუციას და ნაპოლეონის ეპოქას შორის და ეს უკანასკნელი საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაგრძელებად აღიქმება. ამ შემთხვევაში ის კვალში მიყვება პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს და თხრობას 1799 წლის კონსტიტუციის გარჩევით იწყებს. [ვ. 117-119]

აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი საინტერესო პერიოდი ნაპოლეონის სიჭაბუკე და აღზევება (1769-1799), ფაქტობრივად, კადრს მიღმა აღმოჩნდა. აქ აქცენტს ორ გარემოებაზე გავაკეთებთ. სახელმძღვანელოში სულ ორიოდე სიტყვაა ნათქვამი ნაპოლეონის სიჭაბუკეზე. ეს სულ რამდენიმე სტრიქონია. თან გაითვალისწინეთ, ეს ძუნწი ინფორმაცია ფრჩხილებშია ჩასმული. „ბონოპარტე კორსიკიდან იყო შთამომავლობით. ის 1769 წელს დაიბადა ერთი ღარიბი ვექილის ოჯახში, სწავლობდა ბრიუნის სკოლაში, სადაც მათემატიკურ ნიჭსა და ისტორიისადმი ინტერესს იჩენდა, არტილერიის ოფიცრობა მიიღო და რევოლუციის დროს რობესპიერის პარტიას მიემხრო“. [ვ.113]. აი, ეს არის სულ, რაც, ფაქტობრივად, მისი მოღვაწეობის სანყისი პერიოდის იგნორირების ტოლფასია. აქვე დავძენთ, რომ ეს მწირი ინფორმაცია საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს და განიხილება დირექტორიასთან, [ვ.113]. ისინი კრინტს არ ძრავენ ნაპოლეონის პირველ დიდ წარმატებაზე 1793 წლის 17-19 დეკემბერს ტულონის აღებაზე. ეს ლ. ტოლსტოის თქმით „იყო პირველი ნაბიჯი დიდების გზაზე“.

სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი სასურველი იყო დაგვეწყო მოკლე ცნობით ნაპოლეონის ბიოგრაფიაზე. ამას შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე ახალგაზრდობას ნაპოლეონის მოღვაწეობაზე უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნიდა. ზოგიერთი მოსაზრების შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული, არ უნდა იქნას. პირველ ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია მოსაზრება თითქოს ის „რევოლუციის დროს რობესპიეროს მთავრობას – მიემხრო“ [ვ.113]. ნაპოლეონის მხრიდან ეს იყო წმინდა პრაგ-

მატული ნაბიჯი. ფრანგი ისტორიკოსის არტურ შიუკეს თქმით, „ის არასოდეს ყოფილა რწმენით იაკობინელი“.

სახელმძღვანელოს ღირსებად გვევლინება 1799 წლის კონსტიტუციის განხილვა. მას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი და ორ მონაკვეთადაა გაყოფილი მცირე პრეამბულა. საკანონმდებლო უფლების დანაწილება და ბიუროკრატიული სისტემა. [3.117-120]. სკოლის სახელმძღვანელოში ამ რთული სამართლებრივი საკითხების ასე ვრცლად განხილვა ცოტა გადამეტებული ხომ არაა? ხაზგასმულია, რომ კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკა ფორმალურად შენარჩუნებული იქნა და ის მკაცრ ცენტრალიზაციას ექვემდებარებოდა. [3.119-120].

ნაპოლეონი არ იყო მხოლოდ დიდი მხედართმთავარი. ის არ იყო არც „აიაჩოელი დიოკლეტიანე“ როგორც მას იპოლიტ ტენი უწოდებდა. და არც „ევროპელი ჩინგიზ-ხანი“. როგორც ამას ხაზს უსვამდა პროლეტარიატის დიდი ბელადი ი. სტალინი. ის უაღრესად მრავალმხრივი, ფიგურა იყო. ის რომანტიული შარმი, რომელიც თან ახლდა მას, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. სახელმძღვანელო ნაპოლეონის მოღვაწეობის ასეთ ფართო სპექტრში წარმოჩენის მცდელობად გვევლინება. ეს ამ მონაკვეთის კიდევ ერთი პლუსია.

აქ, ბუნებრივია, განხილულია კონსულობის ხანა 1799-1804 წლები, თუმცა მას ასე არ ქვია, რაც იმით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში ეს თემა კომპაქტურად კი არაა დალაგებული. არამედ დანაწევრებულია. ისინი კვალში მიყვებიან რუსი ისტორიკოსის პავლე ვინოგრადოვის ახალი ისტორიის სასკოლი სახელმძღვანელოს. [3. 117-122]. სახელმძღვანელოში შეინიშნება საშინაო პოლიტიკის პრიმატობა საგარეოზე. თუ პირველს ხუთი გვერდი აქვს დათმობილი, მეორეს მხოლოდ ერთი გვერდი ეძღვნება. [3. 122-123]. ეს, მნიშვნელოვანწილად, იმით აიხსნება, რომ კონსულობის ხანა ნაპოლეონის ბობოქარი ეპოპეის ყველაზე მშვიდობიანი მონაკვეთი აღმოჩნდა. ის კანონმოქმედებითი საქმიანობისათვის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი გამოდგა და ნაპოლეონმა ეს ხელსაყრელი შანსი ძალიან კარგად გამოიყენა.

ნაპოლეონს ეხერხებოდა, არა მარტო ნგრევა, არამედ შენე-
ბა. ამიტომ მისი შედარება ჰიტლერთან და სტალინთან, ალბათ,
მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს.
[9]. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ნაპოლეონის კანონ-
შემოქმედებითი საქმიანობა. კონსულობის ხანა მისი კანონშემო-
ქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალია. საინტერესოა აღინიშნოს,
რომ ნაპოლეონი საკმაოდ მაღალი აზრის იყო თავის კანონშემო-
ქმედებით საქმიანობაზე და მას მის მიერ მოგებულ ბრძოლებ-
ზე მაღლა თუ არა, მათ გვერდით აყენებდა. „ჩემი დიდება იმაში
კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი ბრძოლა... ის რაც
იცოცხლებს მარად, ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები“. [10.
207. 123]. ნაპოლეონი არ ტრაბახობდა. შარლ დე გოლის თქმით
„ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და
მმართველობაში“. [7.2]

დ. უზნაძის და ი. გველესიანის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ
მთავარ ღირსებას ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობა-
ზე ყურადღების გამახვილება წარმოადგენს. ნაპოლეონის ურიცხ-
ვი ბიოგრაფები, როგორც აპოლოგეტები, ისე დაუძინებელი მტრე-
ბი (ა. ტიერი, ფ. მინიე, ჟ. მიშლე, ე. კინე, პ. ლანფრე, ჟ. შარასი,
ა. სორელი, ა. ვანდალი, ედ დრიო, ფ. მასონი, ა. ლევი, ლ. ფონ
რანკე, მ. ლენცი, ვ. სკოტი, ტ. კარლაილი, ჯ. აკტონი, პ. როზა,
ვ. სლონი, ა. დებიდური, ე. მალვარდი, გ. ფერერო, ა. ტრაჩევსკი,
ნ. კარევი, მ. პეტროვი, ლ. მადლენი, ა. კასტელო, დ. ჩენდლერი,
ე. ტარლე, ა. მანფრედი). ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ
„სამხედრო ბონაპარტიზმზე“, ხოლო „ადმინისტრაციულ ბონაპარ-
ტიზმს“ შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა და „სამხედრო
ბონაპარტიზმის“ ჩრდილში აღმოჩნდა. უახლესი ისტორიოგრაფია
ცდილობს გაასწოროს ეს შეუსაბამისობა და საკითხს უფრო და-
ბალანსებულად მიუდგეს. [11]. სახელმძღვანელოში ამ თემატიკის
ნინ წამოწევა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ის,
პირველ ყოვლისა, რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის ახალი

ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია.

პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ მათი მიდგომა არ წარმოადგენს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხოტბას, რაც, სხვათა შორის, შეინიშნება აპოლოგეტურ ლიტერატურაში. სავსებით ვეთანხმებით ავტორებს, როდესაც ხაზს უსვამენ იმას, რომ საკანონდებლო ხელისუფლება უფრო სუსტი იყო. [3. 118]. მათ კარგად ჰქონდათ გაცხადებული „ნაპოლეონის კოდექსების“ ისტორიული მნიშვნელობა, ხაზს უსვამენ მის ისტორიულად პროგრესულ ხასიათს. ეს იყო სწორი მიდგომა. „ნაპოლეონის კოდექსში“ სამოქალაქო უფლება ორ საფუძველზე იყო აშენებული – კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობაზე და ინდივიდუალიზმზე“ [3. 120-121]. ამ მიამიტური მსჯელობის უკან საღი აზრი იმალება, რაც, როგორც უკვე ითქვა, ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ფაქტობრივად, აქ საუბარია იმაზე, რომ ნაპოლეონი შეეცადა შეენარჩუნებინა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. „ამას თან მოჰყვა სისხლის სამართლის კოდექსი და შემდეგ სისხლის სამართლის სამოქალაქო და კომერციული სიმართლის წარმოების კოდექსები, ამ კაპიტალური იურიდიული ნაშრომით სამოქალაქო წყობილებაში საბოლოოდ დაკანონდა ყველაფერი ის, რაც, რევოლუციით იყო მოპოვებული“ [3. 121]. აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა. მათ შეუმჩნეველი არ რჩებათ ის სიახლეები, რომელიც ნაპოლეონმა დანერგა განათლების სფეროში. ხაზს უსვამენ, მის ისტორიულად პროგრესულ ხასიათს. [3. 121] ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. „ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა სახალხო განათლების იმ ორგანიზაციას, რომელიც დღემდე არსებობს სრულიად უცვლელად. მართალია მის დროს დაბალი საფეხურის სკოლები არ ყოფილა, მაგრამ უმაღლესი და საშუალო განათლების დარგში დღემდე არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა“ – დასძენდა აკად. ევგენი ტარლე. [18. გვ. 128].

დაზუსტებას საჭიროებს სახელმძღვანელოს ავტორების მოსაზრება თითქოს „გენერალი ბონაპარტეს იდეალს ის შეადგენდა, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია სრულიად სამხედრო ორგანიზაციისათვის დაემსგავსებინა: მოხელეები მისთვის ოფიცრები იყვნენ, ქვეშევრდომნი კი – სამოქალაქო წყობის ჯარისკაცები“. [3. 120]. ეს ერთი მოსაზრებაა – არსებობს სხვა მოსაზრებაც. ჩვენი აზრით, ამგვარი მსჯელობა წინააღმდეგობრივი შეიძლება ჩანდეს. ერთის მხრივ ისინი საუბრობენ ნაპოლეონზე, როგორც რეფორმატორზე, კანონმდებელზე, ხოლო მეორეს მხრივ ხაზს უსვამენ მისი მმართველობის სამხედრო ხასიათს. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ნაპოლეონის რეჟიმის სამხედრო ხასიათზე აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათი შეიძლება იყოს, ყველამ არ გაიზიაროს. თანამედროვე ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან ტიულარმა, რომელსაც თავგადაკრულ ბონაპარტისტთა რიცხვს ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ, ძალიან კარგად შენიშნა, რომ „ნაპოლეონის რეჟიმი არ წარმოადგენს სამხედრო დიქტატურას. სახელმწიფო ხელისუფლებამ შეინარჩუნა სამოქალაქო ხასიათი. ხშირად სახალხო რეფერენდუმზე განსახილველად გამოჰქონდათ სახელმწიფო გადაწყვეტილებები. ეს იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ და უცხო იყო, როგორც კონსტიტუციური მონარქის, ისე ლიბერალური რესპუბლიკისათვის. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნაპოლეონის რეჟიმს ფართო ლავირების პოლიტიკის საშუალებას უქმნიდა, რასაც ის ახორციელებდა კიდევ“.

მიუხედავად ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობისა შეიძლება ითქვას, პროგრესული მაინც დომინირებს რეაქციულზე, წითელი ჭარბობს შავს, ამიტომ ნაპოლეონი პროგრესული ცეზარიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ. [12. 185-186. 5. 115. 13. 87-94. 14. 284-302]. პროგრესული ცეზარიზმი ხელს უწყობს პროგრესული ძალების წარმატებას, თუმცა რაღაც კომპრომისების ხარჯზე მოპოვებულ გამარჯვებას

ცოტათი ზღუდავს. რეაქციულია ცეზარიზმი იმ შემთხვევაში თუ ის ხელს უწყობს რეაქციული ძალების გამარჯვებას. ნაპოლეონის რეჟიმი ნამდვილად არ იყო ასეთი, ამიტომ ნაპოლეონის გამოცხადება თანამედროვე ტიპის ტოტალიტარული რეჟიმების, მათ შორის ფაშიზმის წინამორბედად, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მთლად დამაჯერებელი ვერაა.

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ყურადღება ეთმობა ნაპოლეონის ომებს. ხაზგასმულია, რომ ნაპოლეონი იყო თავისი დროის უდიდესი მხედართმთავარი, მთავარსარდალი. სავსებით მართალი იყო ა. სუვოროვი, როდესაც ნაპოლეონს, ჰანიბალთან და ცეზართან ერთად ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მხედართმთავრად მოიხსენიებდა. ეტყობა, მას უნებლიეთ გამორჩა ალექსანდრე მაკედონელი. სხვაგვარად ამ ფაქტის ახსნა ძნელია. სახელმძღვანელოს ავტორები ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების გასაღებს სავსებით სამართლიანად ეძებდნენ იმ სიახლეებსა და ნოვაციებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხედრო ხელოვნების ტაქტიკასა და სტრატეგიაში XVIII საუკუნის ბოლოს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს და რომელიც ლაზარ კარნოს სახელთან ასოცირდება. კარგად აქვთ გაცხადებული ისიც, რომ ეს ნოვაციები დაუპირისპირდა ძველ კორდონულ სისტემას, რომლის მთავარი სულისჩამდგმელი პრუსიის მონარქი ფრიდრიხ II (1740-1786) იყო. მათ კარგად დაინახეს, რომ ამ ახალი ტაქტიკის და სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელება ყველაზე უფრო კარგად სწორედ გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს ხელეწიფებოდა. ისინი წერდნენ: „ნაპოლეონი ასეთი ჯარებისათვის სწორედ შესაფერისი სარდალი იყო. დიდი ძალებით მასზე უკეთ არავის შეეძლო სარგებლობა“ [პ. 126-127]. აღნიშნეს, რომ ნაპოლეონმა ახალი სიტყვა თქვა სამხედრო ხელოვნებაში. „თავისი შემადგენლობით საფრანგეთის ჯარებს ძველი ნესწყობილების არისტოკრატიულ არმიებთან, რომლის იდეალსაც ფრიდრიხ დიდის არმია შეადგენდა, საერთო არაფერი ჰქონდათ. ამ უკანასკნელთა შემადგენლობას ავსებდნენ ყმები, სამოქალაქო ცხოვრებისათვის

გამოუსადეგარი ხალხი, უცხოელები და სხვა ამგვარი, და მათგან სასტიკი დისციპლინის ნყალობით, დგებოდა განსაკუთრებული ჯარის კაცთა კლასი, რომელსაც აზნაური ოფიცრები მართავდნენ. საფრანგეთის რევოლუციამ პირიქით, საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი არმიაში, და უფროსობისკენ ყველა მდგომარეობის ხალხს გაუხსნა გზა. უბრალო მიკიტნების, მენვრილმანეების და ლაქიების შვილები მარშლობას, ჰერცოგობას და ზოგჯერ მეფობასაც კი აღწევდნენ; უმნიშვნელო კორსიკელი ვეჟილის შვილი იმპერატორად და მეფეთა მბრძანებლად შეიქმნა. პირველი რესპუბლიკანური ჯარების ნაკლი, უწესრიგობა და დისციპლინის სისუსტე, ჩქარა გასწორდა, მაგრამ მოძრაობა და აღფრთოვანება ისევ ძველებური დარჩა. საფრანგეთის სამხედრო ძალის შეთანხმებულსა და სწრაფ მოქმედებაზე იყო დამყარებული. ნაპოლეონი ასეთი ჯარისათვის სწორედ შესაფერისი სარდალი იყო: დიდი ძალებით მასზე უკეთ არავის არ შეეძლო სარგებლობა“. [პ. 126-127. 4. 119-160]. ისინი მიესალმებიან რევოლუციის შედეგად საფრანგეთის არმიის დემოკრატიზაციას და ხაზს უსვამენ მის პროგრესულ ხასიათს. ეს იყო სწორი მიდგომა.

პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნში მოთავსებულია საინტერესო სქემა, რომელიც სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმ ნოვაციებზე, რომელიც სამხედრო ხელოვნებაში ნაპოლეონის სახელთან ასოცირდება. აი ეს სქემა.

1. ფრიდრიხ მეორე: არმია ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენს.

ნაპოლეონი: არმია კორპუსებად და დივიზიებად იყოფა.

2. ფრიდრიხ მეორე: ხაზებისა და ნაწილების მეთაურების ამოცანაში სხვა არა შედის რა გარდა იმისა, რომ მთავარსარდალის ბრძანება ქვემო ინსტანციებს გადასცენ. წინ წაუძღვნენ თავიანთ ნაწილებს და სიმამაცის მაგალითები უჩვენონ მათ.

ნაპოლეონი: მეთაურები დამოუკიდებლად ასრულებენ ამოცანებს და ეძლევათ საშუალება გამოიყენონ თვითნებური გამოცდილება და კომპენტენცია.

3. ფრიდრიხ მეორე: მთავარსარდალი ჯარების გაშლას და შეტევას გარკვეული იდეისდა მიხედვით ხელმძღვანელობს.

ნაპოლეონი: მთავარსარდალი ბრძოლას იწყებს მთელ ფრონტზე, დროდადრო განსაზღვრავს სად და როგორ განავითაროს იგი, და როდის და როგორ მიიყვანოს ბრძოლა გადამწყვეტ მომენტამდე.

4. ფრიდრიხ მეორე: რეზერვები ან სულ არ არის საჭირო ან სრულიად უმნიშვნელო რაოდენობის.

ნაპოლეონი: საჭიროა ძალიან ძლიერი რეზერვები.

5. ფრიდრიხ მეორე: ყველაზე მძლავრი პირველი დარტყმაა.

ნაპოლეონი: ყველაზე მძლავრი ბოლო დარტყმაა.

6. ფრიდრიხ მეორე: შემთხვევითობას უდიდესი როლი ენიჭება.

ნაპოლეონი: შემთხვევითობა არ არის გამორიცხული, მაგრამ უმთავრესი – რიცხობრივი უპირატესობა და უკეთესი ხელმძღვანელობაა [4. 145].

კონკორდატისადმი დამოკიდებულება სახელმძღვანელოს კიდევ ერთი პლუსია. „კონსულმა გადამწყვიტა, რელიგიური რწმენა თავისი უფლების განსამტკიცებლად გამოეყენებინა. რევოლუციის იდეა რელიგიური ტოლერანტობისა მან საფუძვლად მიიღო და ყველა სარწმუნოებას თავისუფალი არსებობის უფლება მიანიჭა სახელმწიფოში, მაგრამ საფრანგეთის მთავარ სარწმუნოებრივ დანესებულებად მაინც კათოლიკური ეკლესია სცნო და, რამდენადაც ეს შესაძლოა იყო, მისი ორგანიზაციის სახელმწიფოსთან შერიგებას შეეცადა“. [3. 122]. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნაპოლეონი შეეცადა რელიგიური საკითხის კომპრომისულ გადარწმუნებას და კურსი რჯულშემწყნარებლობაზე აიღო. ამან რელიგიურ საკითხს დაუკარგა უწინდელი სიმწვავე. „კონკორდატის თანახმად, – ეპისკოპოსებს მთავრობა დანიშნავდა, ხოლო პაპი კი კანონიკურად დაამტკიცებდა მათ“. [3. 122] ეს საფრანგეთის დიპლომატიის წარმატება იყო, ვინაიდან საფრანგეთის ახალი რეჟიმი ცნო, მისმა ყველაზე დაუძინებელმა მტერმა – რომის პაპმა.

კონკორდატს წმინდა კონფესიული დატვირთვის გარდა, პოლიტიკური მუხტი გააჩნდა. ნაპოლეონი შორსმიმავალ მიზნებს ისახავდა და სურდა, რომ კათოლიკები ჩამოეშორებინა როიალიზმისათვის. კონკორდატის შედეგად მან შეძლო ამის განხორციელება. თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟან ტიულარი ფიქრობს, რომ „დიდი ხნის მანძილზე როიალისტური მოძრაობის სისუსტე, მნიშვნელოვანწილად, რელიგიური საკითხის გადაწყვეტით იყო გამოწვეული“ [15. 116-120.16].

ეტყობა, უნებლიეთ გაიპარა ფაქტობრივი უზუსტობა, რაც დ. უზნაძის და ი. გველესიანისათვის დამახასიათებელი არ უნდა იყოს. შესაძლოა, ეს კორექტურა იყოს, რისიც დიდი ალბათობა არსებობს. კონკორდატი დაიდო 1801 წლის 16 ივლისს, და არა 1802 წელს, როგორც ეს სახელმძღვანელოშია მითითებული. [3. 122].

ნაპოლეონმა უმალ ჩაანაცვლა დირექტორია ახალი რეჟიმით – კონსულობით. რა სიახლეებს სთავაზობდა ნაპოლეონი საფრანგეთის საზოგადოებას? ის საზოგადოების ფართო წრეების წინაშე წარსდგა ფართო პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა პოლიტიკურ კომპრომისს. არა ვინრო პარტიულ ნიადაგზე, არამედ გაცილებით უფრო ფართო ეროვნულ საფუძველზე. ნაპოლეონი ცდილობს გამოძებნოს ოქროს შუალედი ძველ რეჟიმსა და რევოლუციას შორის, იგი უარს ამბობს ორივე უკიდურესობაზე და რაღაც შუალედური გზას სთავაზობდა – თანხმობის პოლიტიკას. სწორედ, ამ პოლიტიკიდან წარმოიშვა ახალი საფრანგეთი.

ამ პოლიტიკის ნაყოფია სტაბილიზაცია, რაც ახალი რეჟიმის მთავარი მიღწევაა. ნაპოლეონმა წერტილი დაუსვა რევოლუციის შედეგად გამოწვეულ ნგრევას, არეულობას, ქაოსს, მან შეძლო რევოლუციის შედეგად გახლეჩილი ფრანგი ერის გაერთიანება. გამთლიანება ეროვნული იდეის გარშემო. იგი ითვალისწინებდა კომპრომისს არისტოკრატიულ და რევოლუციურ ტენდენციებს შორის, რომლის მთავარი ამოსავალი წერტილი იყო რევოლუციის სოციალური მონაპოვარის აღიარება. ნაპოლეონს შესანიშნა-

ვად ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის რევოლუციის სოციალურ მონაპოვარზე აპელირებას. ამას ყოველთვის ხაზგასმით აკეთებდა და მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ძნელია. ნაპოლეონის ლეგენდა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ის არ წარმოადგენს ისტორიულ ფაქტებზე ძალმომრეობის გამოვლინებას და ის გამოდიოდა სავსებით რეალური ვითარებიდან ნაპოლეონის მიერ რევოლუციის სოციალური მონაპოვარის აღიარების საფუძველზე. [17]. ამიტომ ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ხასიათზე აპელირება, როგორც ამას ხაზს უსვამს გერმანელი ისტორიკოსი აკად. ერნსტ ენგელბერგი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებელი ვერაა. ხომ არ ვამუქებთ საქმის ვითარებას?

სახელმძღვანელოში საქმე გვაქვს ამ კუთხით საკითხის გაცნობიერების მცდელობასთან, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მომენტად გვევლინება. საფიქრალია, რომ ისინი ნაპოლეონს აღიქვამდნენ ისეთ პიროვნებად, რომელმაც რევოლუციის შედეგად გამონვეული ნგრევის, ქაოსის შემდეგ შეძლო წესრიგის დამყარება. მიესალმებიან სტაბილიზაციას, რომლის მთავარი ამოსავალი წერტილი იყო კომპრომისი. ამ კუთხით საყურადღებოდ ეჩვენებათ ახალი რეჟიმის დამოკიდებულება ემიგრანტებთან. რეპრესული პოლიტიკა ჩაანაცვლა კომპრომისულმა პოლიტიკამ. ეს, რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. „რაც შეეხება ემიგრანტებს, თუმცა ჩამორთმეული ქონება მათ აღარ დაუბრუნეს, მაგრამ შეწყვეტილი იქნა მათი დევნა და მსურველებმა საფრანგეთში დაბრუნების ნებართვა მიიღეს. მრავალი ლტოლვილი დაუბრუნდა სამშობლოს იმ იმედით, რომ იქ ისევ შესძლებდნენ თავისი მდგომარეობის გამოკეთებას და მართლაც, თუმცა მამულები ვეღარ დაიბრუნეს, მაგრამ სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე ბევრმა მათგანმა კვლავ კეთილდღეობასა და მნიშვნელობას მიაღწია“. [3. 122] სავსებით ვეთანხმებით ავტორებს, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ნაპოლეონის პოლიტიკის რაციონალური მომენტი გახლდათ.

ვერც როიალისტებმა, ვერც კონსტიტუციური მონარქიის მომხრეებმა, ვერც ჟირონდისტებმა, ვერც იაკობიანებმა, ვერც თერმიდორიანელებმა, ვერც ბაბუვისტებმა, ვერც დირექტორიამ საფრანგეთის საზოგადოებას ვერ შესთავაზა პოზიტიური სოციალ-ეკონომიკური პროგრამა და ეს მაშინ როდესაც ბონაპარტმა მოახერხა ეს. ის ჩანვდა საფრანგეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის მისწრაფებებს, ამით აიხსნება, რომ ფრანგმა ხალხმა დაუჯერა მას და გაჰყვა. სახელმძღვანელოში გვხვდება მინიშნება ამ თემაზე „უმრავლესობა თანაგრძნობით ეპყრობოდა ახალ მდგომარეობას, ვინაიდან იგი თავდები იყო ძლიერი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების, წესრიგის, ეროვნული ძლიერების, ნივთიერი შენაძენისა და რევოლუციით გამოწვეული სამოქალაქო რეფორმების დაცვისა“ [3. 122-123]. ნაპოლეონის მიდგომა რევოლუციური და ევოლუციური ტენდენციების შეხამების მცდელობად გვევლინება.

ამ მონაკვეთის გულდასმით გაცნობის შემდეგ თვალში მოგხვდება ორი მომენტი: 1. ჩვენი აზრით, რალაცნაირად ჩრდილში მოექცა ნაპოლეონის დიპლომატიური შესაძლებლობები, რაც ალბათ, იმით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი 1801 წელს რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებაზე, რომელიც სულაც არ წარმოადგენდა, ისეთ „ქიმერულ კავშირს“, როგორც ეს, გამოჩენილ ფრანგ ისტორიკოსს, აკად. ალბერ სორელის მიაჩნდა. „ნაპოლეონის ერთ-ერთ დიდ დიპლომატიურ წარმატებას წარმოადგენდა, უდაოდ, ის სრული გადატრიალება, რომელიც მან მოახდინა რუსეთთან პოლიტიკაში“ [18. 115]. 2. ალბათ, უპრიანი იქნებოდა სახელმძღვანელოში ორიოდ სიტყვით ეთქვათ ენგიენის ჰერცოგის დახვრეტაზე 1804 წლის 21 მარტს შუა ღამის ორ საათზე. ეს ნაპოლეონის ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა იყო. ენგიენის ჰერცოგის სიკვდილში ლომის წილი მიუძღვით ტალეირანს და ფუშეს. თუმცა ორივე მათგანი ცდილობს თავი იმართლოს შთამომავლობის თვალში და კატეგორიულად უარყოფს ამ საქმეში თავის ბრალეულობას. [19.167-168.]

1804 წლის 2 დეკემბერს, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, ნაპოლეონი იმპერატორად აკურთხეს. ეს სცენა უკვდავყო თავის ფერწერულ ტილოში ცნობილმა ფრანგმა მხატვარმა ჟაკ ლუი დავიდმა. ნაპოლეონის ასეთი ნაბიჯი მოულოდნელი არ ყოფილა და მისი პოლიტიკური ევოლუციის ლოგიკურ გაგარძელებად გვევლინება. ნაპოლეონის გამოცხადება მუდმივ კონსულად 1802 წელს ამის უვერტურა, შესავალი, იყო. ვალტერ სკოტის თქმით „ნაპოლეონმა დაგმო ვაშინგტონის გზა და აირჩია კრომველის გზა“. და მაინც, ალბათ, ყველაზე კარგად პოლ-ლუი კურიემ თქვა. „იყო ბონაპარტი – და გახდე იმპერატორი! რა დაცემაა!“ [20.451]. ცერემონიალის დროს ნაპოლეონმა უეცრად გამოსტაცა პაპს იმპერატორის გვირგვინი და თავზე დაიდგა. ასეთი ჟესტი შემთხვევითი არ ყოფილა: „ამ ზეიმში საფრანგეთის რევოლუციის მიერ წარმოშობილმა ძლევამოსილმა ჯარიკაცმა არ ისურვა, თუ არა საკუთარი ხელით, სხვა ვინმესგან მიეღო გვირგვინი“. [18. 153.].

სახელმძღვანელოში საუბარია იმპერიის დაარსებაზე. ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევაზე. მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო ხაზგასმით. ის გადატვირთულია სხვა საკითხებით და თითქოს ჩაიკარგა ისტორიულ მოვლენებში ეს ნაპოლეონის მოღვაწეობის მეტად დიდმნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო და, ალბათ, თარიღის მითითება მიზანშეწონილი იქნებოდა. [3. 123-124.].

სახელმძღვანელოში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ნაპოლეონის ომებს, მის ტრიუმფალურ სამხედრო წარმატებებს. ეს ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობასთან ერთად სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის საინტერესო ნაწილია. აქ საუბარი არის როგორც წარმატებებზე, ისე წარუმატებლობაზე. 1805 წლის 20 ოქტომბერს ტრაფალგართან ბრძოლაში ადმირალ ნესლონის ფლოტმა დაამარცხა საფრანგეთის ფლოტი. ეს ბრძოლა საბედისწერო გამოდგა თავად ადმირალი ნესლონისთვის. ის ამ ბრძოლაში დაიღუპა. [21]. ხაზს უსვამენ ტრაფალგართან საფრანგეთის წარუმატებლობის ისტორიულ მნიშვნელობას, „ტრა-

ფალგართან დამარცხებას ორი დიდი შედეგი მოჰყვა თან: პირველი ინგლისელთა ზღვაზე გაბატონების უზრუნველყოფა იყო, ხოლო მეორე – განთავისუფლება ინგლისის ფრანგთა დესანტიის საშიშროებისაგან“. [3. 124.] ამის შემდეგ საუბარია ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებებზე. აუსტერლიცთან 1805 წლის 2 დეკემბერს. იენასთან და აუერშტატთან 1806 წლის 14 ოქტომბერს, პრესისიმ-ეილაუსთან 1807 წლის 7 თებერვალს და ფრიდლადთან 1807 წლის 14 ივნისს. ტილზიტის ზავი 1807 წელს ამ წარმატებების ლოგიკური დაგვირგვინება იყო. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ისინი არსად არ მიუთითებენ თარიღებს. ერთი ორი გამონაკლისის გარდა. ამის შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და სახელმძღვანელოს ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან ასოცირდება, ისინი კვალში მიჰყვებიან პ. ვინოგრადოვის სასკოლო სახელმძღვანელოს. [3. 124-127.]

ზოგიერთი ბიოგრაფის აზრით (ა. სორელი, ლ. მადლენი, ე. ტარლე, ა. ტრაჩევსკი, ნ. კარევი, მ. პეტროვი) ნაპოლეონის იმპერიამ თავისი სიძლიერის ზენიტს მიაღწია 1810-1811 წლებში. ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ ამ დროს ნაპოლეონის მმართველობის პიკი უკვე გავლილია, უკან დარჩა. თავი იჩინა კრიზისის პირველმა სიმპტომებმა. ამ მხრივ საგულისხმოა ესპანეთში განცდილი პირველი წარუმატებლობა. რას ფიქრობენ ამ საკითხზე ჩვენი ავტორები? საფიქრელია, რომ ნაპოლეონის მოღვაწეობის მწვერვალად მათ 1805-1807 წლები შეიძლება ესახებოდათ. „ამ ზავის (ე. ი. ტილზიტის – მ. კ.) შემდეგ ნაპოლეონის ბატონობას დასავლეთ ევროპაში ხელს აღარაფერი უშლიდა“. [3.125.]. რუსი დიპლომატი თავადი კურაკინი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I ატყობინებდა „ზუნდიდან მესინის სრუტემდე პირინეიდან ოდერამდე ყველაფერი საფრანგეთია“ [4. II. 152.]. როდესაც, წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებაში მყოფ ნაპოლეონს გენერალ გურგომ ჰკითხა, როდის იმყოფებოდა ძლიერების ზენიტში, ექსიმპერატორი მცირე ხნით დაფიქრდა და მიუგო: „აღბათ ტილზიტში“. აღსანიშნავია, რომ ასე ფიქრობდნენ სხვა თანამედროვეები. [20. 521. 535. 538.]. ამიტომ მონაკვე-

თი აუსტერლიციდან-ტილზიტამდე ნაპოლეონის მოღვაწეობის საუკეთესო ხანა ჩანს. [4. II. 152-209. 20. 455-522.]

საუბრობენ იმ გარდაქმნებზე, რომელიც გამოიწვია ნაპოლეონის ომებმა. „1805-1809 წლის ომების წყალობით ევროპის რუკა ერთიანად გამოიცვალა. თვით საფრანგეთი შორს გასცილდა თავის ბუნებრივ საზღვრებს, რომლებაც რეინი და ალპები ითვლებოდნენ. ბელგიის და რეინის მარცხენა ნაპირის გერმანულ ადგილებს გარდა, მას ზედიზედ სავოია და პიემონტი, ტოსკანია და პაპოს ოლქი, ჰოლანდია და ზღვის ნაპირის გერმანია ელბამდე შეუერთდნენ და 1799 წელს დაარსებული 83 დეპარტამენტის მაგიერ, საფრანგეთი ახლა 130-საგან შედგებოდა“. [3. 127]. მათ მხედველობიდან არ გამოპარვიათ, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა და ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. „საფრანგეთის ევროპაში გაბატონებას ერთი კარგი მხარე ჰქონდა. რევოლუციით შექმნილი სამოქალაქო წყობილება თითქმის მთელ ევროპაში გავრცელდა, სადაც გაჩნდებოდნენ საფრანგეთის ჯარები, ბატონყმობა, ფეოდალური პრივილეგიები და დახვასებული ძველი კანონები ყველგან ისპობოდა, და მის მაგიერ სინდისის თავისუფლება, ნაპოლეონის კოდექსები და ფრანგული ბიუროკრატიული სისტემა მყარდებოდა. ამგვარი ძირითადი გადატრიალება მარტო ისეთ ქვეყნებში კი არ ხდებოდა, რომელნიც პირდაპირ საფრანგეთთან იყვნენ შეერთებულნი, არამედ იქაც, სადაც, თუმცა პოლიტიკურად დამოუკიდებლობა არსებობდა, მაგრამ საფრანგეთის გავლენა მაინც დიდი იყო. როგორც მაგალითად ბავარიაში ან საქსონიაში“. [3. 128]. როგორც ხედავთ, მათ თვალში ნაპოლეონის სახელი ძველი, დრომოჭმულის ნგრევასთან და ახლის შენობასთან ასოცირდება. ეს იყო სწორი მიდგომა. „ნაპოლეონმა ძველ რეჟიმს მიაყენა ისეთი ძლიერი დარტყმა, რომლისაგანაც ის წელში მეტი ვერასოდეს გასწორდა და, სწორედ, ამაში მდგომარეობს პროგრესული მნიშვნელობა იმ ისტორიული ეპოპეის, რომელიც მის სახელს უკავშირდება“ – დასძენს აკად. ევგენი ტარლე. [18.9] უნებლიეთ ყური

მოგვჭრა ერთმა შეუსაბამობამ. ბატონყმობაზე და ფეოდალიზმზე საუბარი საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ, XVIII საუკუნის მიწურულს, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და უხერხულად მიგვაჩნია. ნაპოლეონის ომების ხასიათზე აპელირება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მართო პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გავლენით არ გახლდათ გამონვეული. მას ჩვენი აზრით ქართული ფესვები შეიძლება გააჩნდა და, უწინარესად, XIX საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე წარმომადგენლობის, პირველ რიგში კი, დიდი ნიკო ნიკოლაძის სახელთან ასოცირდებოდა. „მას შემდეგ რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაანადგურა (1806-1807), მან, აქ, ამასთან ერთად ძველი უწესობისა და, უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“. [22. 113-114. 23. 48-54]. ამ საკითხში დ. უზნაძის შეხედულებების ფორმირებაზე მათი გავლენა გამორიცხული არ უნდა იქნას. ჩვენ კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ – ეს მხოლოდ ფრთხილი ვარაუდია და მეტი არაფერი. ფაქტობრივად, აქ ისინი იმ გზას აგრძელებენ, რომლის სათავეებთან XIX საუკუნის ქართველი 60-იანელები, პირველ რიგში კი, დიდი ნიკო ნიკოლაძე იდგა.

სახელმძღვანელოში ზოგიერთი ისეთი საკითხია განხილული, რომელიც ამ მონაკვეთიდან ამოვარდნილი ჩანს და მისი განხილვა სხვაგანაც შეიძლებოდა. ასეთად მიგვაჩნია პარაგრაფი, „რეფორმები პრუსიაში“ [3. 128-130]. ეს თემა გერმანიის ისტორიასთან უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე საფრანგეთთან. ამიტომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საკამათოდ მიგვაჩნია.

მოკლედ არის საუბარი ნაპოლეონის ესპანეთში შეჭრაზე და მის პირველ წარუმატებლობაზე. [3. 132-133]. ეს იყო იმპერიის კრიზისის პირველი სიმპტომები.

ნაპოლეონის ომების სოციალური ასპექტების გაცნობიერებას სახელმძღვანელოს ავტორები არ მიყავს ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკის შელამაზებამდე, რაც თავის კულმინაციას აღწევს XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის

ფრანგულ ისტორიოგრაფიაში და 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში განცდილი მარცხის გამოძახილია. მის მთავარ ტონის მიმცემად ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი აკად. ალბერ ვანდალი გვევლინება. იგი ამბობდა, რომ „ნაპოლეონი ელბაზე და ოდერზე რომ იბრძოდა, მაშინაც საფრანგეთს იცავდაო“. ეს უკვე მეტისმეტია. XX საუკუნის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორის, ჟაკ გოდშის თქმით „1914 წლის თაობა აღიზარდა ნაპოლეონის კულტის ატმოსფეროში“. [24.177]. ნაპოლეონი დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლებას მაინც ნერგავდა. „ის წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავეგოსის თავლებს“. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელიც, სახელმძღვანელოს ავტორებს, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული. მედალს აქვს მეორე მხარე, რომელიც მათ, როგორც ჩანს, მხედველობიდან არ გამოჰარვიათ. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმ უარყოფით შედეგებზე, რომელიც თან ახლდა ნაპოლეონის ომებს. უზარმაზარი კონტრიბუცია და გაზრდილი გადასახადები პირდაპირ წელში წყვეტდა ადგილობრივ მოსახლეობას. ეს დაპყრობილ ტერიტორიებზე ფეთქებადსაშიშ სიტუაციას ქმნიდა. ისინი იმონებენ ამ მოვლენების თანამედროვეებს და ამით ამაგრებენ თავიანთ პოზიციას. ვესტფალიის მეფე ჟერომი თავის ძმას ატყობინებდა: „ომი რომ დაიწყოს, რეინსა და ოდერს შუა მდებარე ადგილებს მყის აჯანყება მოიცავს. ამ საშიში მოძრაობის მიზეზი მარტო ფრანგების და უცხოელების ბატონობისადმი სიძულვილით როდი აიხსნება. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა საზოგადოების ყველა ფენის გალატაკებას აქვს. გადასახადების აუტანელი სიმძიმის, სამხედრო კონტრიბუციის, ჯარის შენახვის, მეომრების ჩაყენების და ყოველგვარი შევიწროების გამო, რაც აქ ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარა... სილატაკე ყველაგან სტანჯავს ოჯახებს. აზნაური გლეხი, მოქალაქე გაჭყლეტილია ვალებით. უნდა გვემინოდეს ხალხის სასონარკვეთილების, რომელსაც დასაკარგავი არაფერი არ აქვს, ვინაიდან მას ყველაფერი წაართვეს“. [3. 130-131]. ამიტომ მიუხედავად ნაპოლეონისადმი

სიმპათიებისა, ისინი არ შეიძლება მივიჩნიოთ ნაპოლეონის ბრმა აპოლოგეტებად.

დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ყურადღება ექცევა. „კონტინენტური ბლოკადის“ გაშუქება, რომელსაც ნაპოლეონმა ხელი მოაწერა 1806 წლის 20 ნოემბერს ბერლინში. საზგასამულია „კონტინენტური ბლოკადის“ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია. აღნიშნულია. რომ „კონტინენტური ბლოკადა“ უწინარეს ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. „ისპანიაში ნაპოლეონს მარცხი მოუვიდა. ეს გარემოება მას უფრო აბრაზებდა, რომ ამის მიზეზად ინგლისელებს თვლიდა და მათთვის მას სამაგიერო ვერ ეზლოთ, ვინაიდან იგინი მიუვალ კუნძულებზე ცხოვრობდნენ. მაგრამ მან ჯერ კიდევ ტილზიტის ზავის დროს გამონახა საშუალება ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად და ეს ე. წ. „კონტინენტური ბლოკადა“ იყო. მან დახურა ევროპის მატერიკის ყველა ნავსადგური ინგლისის გემებისათვის. სასტიკად აკრძალა ინგლისის საქონლის ყიდვა და გამოაცხადა, რომ ყველა ის გემი, რომელიც ინგლისის ნავსადგურში შევიდოდა, პატრონს, უსათუოდ, ჩამოერთმეოდა. ამ ბლოკადის მიზანს ინგლისის ვაჭრობის მოსპობა შეადგენდა“. [ვ. 133-134]. ამ წამოწყების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი საფრანგეთის ვაჭრობის სისუსტე იყო, რომელსაც არ ძალუძდა კონკურენცია გაეწია ინგლისის პროდუქტისათვის. „ზღვაზე ბატონობით ინგლისელებმა სრულიად ჩაჰკლეს ჰოლანდიელების და ფრანგების ვაჭრობა, რომელიც წინათ ძლიერ კონკურენციას უწევდა მათ“. [ვ. 134]. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. კონტინენტურ ბლოკადას ნაპოლეონის პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს, ნაპოლეონის ჩანაფიქრით, ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის მძალავრი იარაღი იყო. ამიტომ სასურველი იქნებოდა თარიღის

მითითება. ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. მეორე, ამ საკითხის განხილვა რუსეთში ლაშქრობის წინ დამაჯერებელი არ უნდა იყოს და საკამათოდ მიგვაჩნია. იგი საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოში ნაპოლეონის ეკონომიკური პოლიტიკა შედარებით სუსტადაა, გაშუქებული. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და სოციალ-ეკონომიური თემატიკისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია.

სახელმძღვანელოს შემდგომი მონაკვეთი შეეხება რუსეთთან ომს 1812 წელს. სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, რომ ამ საკითხის გაშუქებას სათანადო ყურადღება ეთმობა, ეს ასეც უნდა იყოს. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ აქ მითითებულია ამ ომის თარიღი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მოკლედ, მეტად ლაკონურადაა. გადმოცემული ომის მიზეზები. მისი მსვლელობა, ბოროდინოს ბრძოლა, ტარუტინოს და მალოიაროსლევეცის ბრძოლა. ბერეზინაზე გადასვლა. ყველაფერი ეს 1812 წლის ომზე ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლეებს ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა. მთავარი სწორედ ეს იყო. ალბათ, 1812 წლის ომი რუსეთთან სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ უნიკალურ შემთხვევად რჩება, რაც იმით გამოიხატება, რომ ნაპოლეონს პრაქტიკულად არც ერთი ბრძოლა არ წაუგია, მაგრამ ომი წააგო. აქ მხოლოდ ერთ გარემოებაზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება, ხომ არ აჭარბებდნენ ისინი ნაპოლეონის წარუმატებლობის საქმეში რუსული ზამთრის მნიშვნელობას? „რუსეთის მკაცრი ბუნებისაგან (ცივი ზამთარი) დამარცხებული ფრანგების დიდი არმიის უკან დახევა უთავბოლო ლტოლვად გადაიქცა, წყობა მოშალა, დისციპლინა გაქრა, და მხოლოდ რუსეთის სისუსტელა შველოდა მას და საბოლოო განადგურებისაგან იხსნიდა. მდ. ბერეზინაზე გადასვლის დროს რუსების არტილერიამ ხიდები ჩაანგრია, და ფრანგები ათასობით დაიღუპნენ. „დიდი

არმიის“ მხოლოდ ნამსხვრევებმა მიაღწია საზღვარს“ [3. 136-137]. ეს შეხედულება ერთ-ერთმა პირველმა ნაპოლეონმა გამოთქვა და შემდეგ ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX-XX საუკუნეების ისტორიოგრაფიაში. ნაპოლეონს ამით სურდა გაემართლებინა რუსეთში თავისი წარუმატებლობა. მას მხარი აუბეს მისმა აპოლოგეტმა ისტორიკოსებმა. ფრანგული ისტორიოგრაფია ადოლფ ტიერიდან დანყებული ლუი მაღლენით დამთავრებული აპელირებს მკაცრ ზამთარზე და ნაპოლეონის დამარცხებას რუსულ ყინვას უკავშირებს. ამ მოსაზრებას იზიარებს ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი ჰანს დელბრიუკი. იყო ამის გამომწვევი სხვა მოტოვები, რომლის გვერდის ავლა, აღნიშნულ თემაზე სრულყოფილ წარმოდგენას როდი გვიქმნის.

გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა აკად. ლუი მაღლენმა, რომელიც ნაპოლეონის დიდი თავყვანისმცემელი იყო, თავის მონუმენტური თექვსმეტ ტომიანი ნაშრომის „კონსულობის და იმპერიის ისტორიის“ მეთორმეტე ტომს, რომელიც რუსეთში ლაშქრობას შეეხება ზედმიწევნით ზუსტად უწოდა „კატასტროფა“. ტალეირანის თქმით „ეს იყო დასასრულის დასაწყისი“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქართული სახელმძღვანელოს ავტორებსაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. პროფ. ა. მანფრედის თქმით, „ნაპოლეონის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ სწორად შეაფასა რუსეთთან კავშირის მნიშვნელობა საფრანგეთისათვის, ის თავის შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობაში წავიდა თავისი საგარეო პოლიტიკური კონცეფციის წინააღმდეგ“. [20. 364-365].

სახელმძღვანელოს დასკვნითი ნაწილი შეეხება იმპერიის აგონიას 1813-1814 წლებში და ნაპოლეონის დაბრუნებას, ასი დღე, რასაც ფრანგი ისტორიკოსები „არწივის აფრენას“ უწოდებენ. პროფ. დ. ცისკარიშვილმა მას „ლომის უკანასკნელი ნახტომი“ უწოდა. [4. II. 581-658]. ლიტერატურულად ესეც ლამაზია, მაგრამ ნაპოლეონის სახელი მაინც არწივთან უფრო ასოცირდება და ამიტომ პირველი უფრო ზუსტი გვგონია. „არწივის აფრენა“. იგი

ორი ნაწილისაგან შედგება: „ნაპოლეონის უკანასკნელი ომები“ და „100 დღე“.

პირველ მონაკვეთში, ბუნებრივია, საუბარია იმპერიის კრიზისზე 1813-1814 წლებში, მოკლედ, ლაკონურად, არის გაშუქებული რუსეთში დამაცხების შემდეგ ნაპოლეონის პირველი ნაბიჯები. ახალი არმიის შექმნა, დრეზდენთან ბრძოლაში გამარჯვება, ხაზგასმულია ნაპოლეონის ენერგია საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზების საქმეში. „ნაპოლეონი მაინც არ თვლიდა საქმეს საბოლოოდ წაგებულად. მან ერთხელ კიდევ მოიკრიბა ახალი ჯარი და საფრანგეთის საზღვრების დაცვას დიდი ენერგიით შეუდგა. არც ერთს წინანდელ ბრძოლაში არ გამოუჩენია ამ არაჩვეულებრივის სამხედრო ნიჭის კაცს ამდენი მოხერხება და ხელოვნება, რამდენიც ეხლა გამოჩინა; ძვირად უჯენდა იგი მრავალრიცხოვან მონინააღმდეგეთ წინსვლას, ერთ ნაბიჯს მიწისაც არ უთმობდა მათ უბრძოლველად, მაგრამ მტერი მაინც წინ მოინევედა პარიზს უახლოვდებოდა“. (3. 138.) მართლაც, მან მოიპოვა ათი გამარჯვება ზედიზედ: 1814 წლის 31 იანვარს ბრიენტან, 1 თებერვალს ლაროტიერთან, 3 თებერვალს ფრანგებმა დაიკავეს ტრუა, 10 თებერვალს შამპობერთან, 12 თებერვალს შატოტიერთან, 14 თებერვალს ვოშანთან, 18 თებერვალს მონტრეისთან, 9-10 მარტს ლიონთან, 13 მარტს რეიმსთან და 20 მარტს არსი-სიურ-ობთან. სახელმძღვანელოს ავტორებს, ვფიქრობთ, სწორედ, ეს წარმატებები უნდა ჰქონოდათ მხედველობაში. მოპოვებული გამარჯვებებით აღფრთოვანებული ნაპოლეონი ამბობდა: „მე ვიპოვე ჩემი იტალიური კამპანის ჩექმები“. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ პოლკოვნიკ ჟან შარასს, როდესაც მიუთითებს, თითქოსდა 1813-1814 წლების წარუმატებლობები ნაპოლეონის სამხედრო ნიჭის დაქვეითებით ყოფილიყო გამოწვეული. როგორც ჩანს, მან ვერ დაძლია ბონაპარტისადმი სიძულვილი. „ნაპოლეონის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ საფრანგეთი განუწყვეტელი ომიანობის გამო ძალზე მოიქანცა, თითქმის აღარავინ დარჩა მომწიფებული, რომ ომის ტვირთის ზიდვა შესძლებოდა. ახალგაზრდობა

ვერ უძლებდა სამხედრო საქმეს და ავადმყოფობისგან უფრო მეტი იყლიტებოდა, ვიდრე მტრის ტყვეისაგან“. [ვ. 138]. ხაზგასმით, უფრო მკაფიოდ, უნდა ყოფილიყო აღნიშნული 1814 წელს ნაპოლეონის დამარცხებაში ტალეირანის წვლილი. ეს მარტივი მსჯელობა, უეჭველად შეიცავს ქვეშარიტების რაციონალურ მარცვალს და სწორი უნდა იყოს. [ვ. 138]. „მაშინ როდესაც იმპერატორი მტრის ზურგში ლომივით იბრძოდა. პარიზში მისმა მტრებმა, გაცილებით უფრო საშიშმა მტრებმა, დაიწყეს მოლაპარაკება ინტერვენტებთან, ნაპოლეონის ტახტიდან ჩამოგდების მიზნით. მათი თავკაცი ტალეირანია“ დასძენდა ლავალეტა [20, 712-713]. მოკავშირეებმა პირდაპირ პარიზისაკენ აიღეს გეზი, ალექსანდრე I-ის არგუმენტი ასეთი იყო „პარიზი მოკლებულია თავის დამცველს და დიდ ბელადს. მე მჯერა, რომ იგი დიდ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევს“. ეს იყო ჭკვიანური ნაბიჯი, „მე არ მეგულება მოკავშირეთა არცერთი გენერალი, რომელიც ამ სვლას მოიფიქრებდა“ – ამბობდა ნაპოლეონი. ეს ტალეირანი იყო. 30 მარტს მოკავშირეებმა პარიზი დაიკავეს, 1 აპრილს შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში ტალეირანი ჩაუდგა, 1814 წლის 6 აპრილს ნაპოლეონი გადადგა. ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ბენვილის აზრით, „ეს წარმოადგენდა 18 ბრიუმერის გადატრიალებას გადმობრუნებული სახით“. ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. [ვ. 137-139] ყოზეფ ფუშეს თქმით, „ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე იტალიისათვის, საფრანგეთისათვის და საერთოდ მთელი ევროპისათვის იქნება იგივე, რაც ვეზუვი ნეაპოლისათვის“ [20. 732].

უწინარეს ყოვლისა, აღნიშნულია, რომ კუნძულ ელბადან დაბრუნება ბურბონების უკიდურესი არაპოპულარობით იყო გამონგეული. ტალეირანის თქმით, „ბურბონებმა ვერც ვერაფერი დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს“. 1815 წლის მარტში ნაპოლეონის დაბრუნება ტრიუმფალურ ხასიათს ატარებდა. ერთი როიალისტი დამკვირვებლის თქმით, რომელსაც ნაპოლეონისადმი სიმპათიებს ვერავინ დაწამებს, „ყველაფერი ეს კერპთაყვანის-

ცემას წარმოადგენდა“ [18. 398]. თავისი სოციალური შინაარსით ეს იყო რევოლუცია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კონტექსტში განიხილავდნენ 1815 წლის მარტის მოვლენებს თანამედროვეები. [20. 739-742]. რეალისტური მიდგომა იყო. „ნაპოლეონმა მოხერხებულად ისარგებლა ხალხის სულიერი განწყობით (ე. ი. ბურბონების არაპოპულარობით – მ. კ.) და 1815 წლის 1 მარტს სამხრეთ საფრანგეთში გადავიდა, სადაც მას მრავალი მომხრე შეუერთდა, რომელთათვისაც იმპერიის დიდებული დღეები უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე გადატანილი უბედურება. მარშალი ნეი, რომელიც ნაპოლეონის წინააღმდეგ იქნა გაგზავნილი, ყოფილ იმპერატორს შეუერთდა. და უკანასკნელი პარიზში შევიდა, სადაც ხალხმა იგი აღტაცებით მიიღო“. [3. 139]. სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ იმპერია 100 დღის დროს ლიბერალურ ხასიათს ატარებდა. „მან (ე. ი. ნაპოლეონმა – მ. კ.) ლიბერალური პოლიტიკის წარმოება ალუთქვა ხალხს და დახმარებისაკენ მოუწოდა ყველა იმათ, ვისთვისაც რევოლუციის მონაპოვარი ძვირფასი იყო“. [3. 139]. ეს არის სწორი მიდგომა, ვფიქრობთ, სასურველი იყო, რომ ორიოდ სიტყვა თქმულიყო 1815 წლის კონსტიტუციაზე, საუბრობენ კარნოს დაბრუნებაზე, მაგრამ არაფერს ამბობენ ფუშეს დაბრუნებაზე. [3. 139]. არადა ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ პირველს ყველა მიესალმებოდა, მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. ნაპოლეონმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც პოლიციის მინისტრის პოსტზე ჟოზეფ ფუშე დააბრუნა, როგორც ერთმა თანამედროვემ აღნიშნა „ეს იყო ღალატის საკუთარ სახლში ჩასახლება“. სხვათა შორის, ფუშემ სავსებით გაამართლა ასეთი დახასიათება. თუ ნაპოლეონის პირველ გადადგომაში ლომის წილი ტალეირანმა დაიღო, მეორე გადადგომაში პირველობის დაფნის გვირგვინი ჟოზეფ ფუშეს ეკუთვნის. ფრანგმა პოეტმა ბერანჟემ ფუშეს „1815 წლის დიდი მოღალატე უწოდა“.

ამ თემის დასასრულს, ბუნებრივია, საუბარია ვატერლოოს ბრძოლაზე 1815 წლის 18 ივნისს და ნაპოლეონის დამარცხებაზე. ნაპოლეონის გადადგომაზე, წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახ-

ლებაზე. ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხების გამო, განტევენ-ბის ვაცად გრუშის გამოყვანა, როგორც ამას ხშირად აკეთებენ, სწორი არ იქნება. არც ბრძოლის წინ მოსული კოკისპირული წვიმის მნიშვნელობის გადაჭარბება არ ღირს, ზედმეტია. „თიბათვის 17-ს მოსული წვიმა რომ არა, ევროპის ბედი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. წვიმის რამოდენიმე წვეთით მეტი ან ნაკლები აი ფრანგების დამაცხების მიზეზი“ – აღნიშნავდა ვიქტორ ჰიუგო. რა შეიცვლებოდა იმით, ნაპოლეონს ვატერლოოს ბრძოლა რომ მოეგო? ალბათ, ბევრი არც არაფერი. იგი წააგებდა მეორე, მესამე ან მეოთხე ბრძოლას. ეს კანონზომიერი იყო და ამ კანონზომიერებას, ცხადია, ვერც ნაპოლეონი ვერ აღუდგებოდა წინ. „ჩაუკვირვებლად და გაუკრიტიკებლად რომ მივიღოთ, სრულიად უკამათოდ იმის მტკიცება, რომ ასეთ შემთხვევათა გარეშე ნაპოლეონი მოიგებდა ბრძოლას ვატერლოოსთან, სულერთია, მთელი ამ ომის მთავარი შედეგი მაინც სწორედ იგივე იქნებოდა, იმპერია დაიღუპებოდა, რადგან ევროპა მხოლოდ იწყებდა მთელი თავისი ძალ-ღონის გაშლას, ნაპოლეონმა კი უკვე საბოლოოდ ამოწურა თავისი ძალ-ღონეცა და სამხედრო რეზერვებიც“ – დასძენს აკად. ე. ტარლე. [18. 404-405].

1821 წლის 5 მაისს საღამოს ექვს საათზე, კუჭის კიბოს შედეგად, გარდაიცვალა ნაპოლეონ ბონაპარტი. მას მსახურმა მარშანმა გადააფარა სერი ფარაჯა, რომელიც მას ეცვა მარენგოს ბრძოლის დროს. ტალეირანმა მოსწრებულად შენიშნა „ეს მეტი აღარ არის მოვლენა, ეს უბრალოდ ახალი ამბავია“.

რა იყო ნაპოლეონის წარუმატებლობის მიზეზები? საკითხი ყოველთვის იწვევდა ისტორიკოსებში განუზომლად დიდ ინტერესს. სახელმძღვანელოს ავტორები შეძლებისდაგვარად შეეცადნენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

ნაპოლეონის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად მათ მსოფლიო ბატონობისაკენ მისი მისწრაფება ესახებოდათ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოს ერთი ფრაგმენტი. აი რას წერდნენ ისინი. „მსოფლიოს ცხოვრება მას (ე. ი.

ნაპოლეონს – მ. კ.) საყოველთაო ბრძოლის ასპარეზად ჰქონდა წარმოდგენილი, და ამიტომ იყო, რომ, მას არც ერთი გამარჯვება არ აკმაყოფილებდა, სანამ, თავის გვერდით დამოუკიდებელს კიდევ ვისმე ხედავდა. ასეთი ადამიანის დაკმაყოფილება, მართო მსოფლიოს ბატონობას შეეძლო; და აკი დაისახა კიდევ ნაპოლეონმა ასეთი მიზანი“. [3. 131-132]. მსოფლიოს დაპყრობის იდეა, რა თქმა უნდა, ქიმერა იყო და ამაში სახელმძღვანელოს ავტორები სავსებით მართალი არიან. ეს ნაპოლეონის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ. „იმ ქვეყანაში, სადაც ფრანგები ბატონობდნენ, ცხოველმყოფელ რეფორმებს იმის ანაზღაურება მაინც არ შეეძლო, რაც დაუსრულებელ ომებს მოჰყვა შედეგად. კონტრიბუციებს, ზედმეტ გადასახადებს, დამცირებას და ძალდატანებას, უფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შეურაცხყოფას, რომელსაც დამარცხებულები გამარჯვებულები-საგან ითმენდნენ, ამას ნაპოლეონი ვერც ერთი რეფორმით ვერ გამოისყიდდა“. [3. 130]. ძნელია დავეთანხმოთ თანამედროვე ფრანგ ისტორიკოსს ჟან ტიულარს, როდესაც აღნიშნავს, რომ „საფრანგეთის ბატონობა ევროპაში ლიბერალური ფორმით მიმდინარეობდა და არ ისახავდა მიზნად დაპყრობილი ქვეყნების ინტერესების ხელყოფას. არ ატარებდა „ინტელექტუალური ექსპანსიის ხასიათს“. [15.16]

ნაპოლეონის წარუმატებლობის მეორე მიზეზად, სახელმძღვანელოს ავტორებს, როგორც ჩანს, ესახებოდათ, და სავსებით სამართლიანადაც, ნაპოლეონის წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღის აზვირთება, რუსეთში დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა „კვლავ ახალი და ძლიერი სამხედრო ძალა შექმნა, რომლითაც იგი მტრის დამარცხებას კიდევ შესძლებდა, რომ მდგომარეობა ერთ გარემოებას არ გაერთულებინა. „დიდი არმიის“ დაღუპვამ დაპყრობილ ერებს განთავისუფლების იმედი აღუძრა, და ისინიც თანდათან რუსეთის მხარეს გადავიდნენ“. [3. 137]. აქ ნაპოლეონის წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე მინიშნება გამჭვირვალეა. ეს

იყო სწორი მიდგომა. გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა აკად. ალბერ სორელმა, რომელიც ნაპოლეონის დიდი თავყვანისმცემელი იყო, თავის სოლიდურ, ფუნდამენტურ, რვატომიან გამოკვლევაში „ევროპა და საფრანგეთის რევოლუცია“ ასეთი აზრი გაატარა: „რევოლუციის მოღვაწეთა საშინაო სფეროში გატარებული პოლიტიკა მჭიდროდ გადაეხლართა საგარეო პოლიტიკას, თანასწორობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის რევოლუციური პრინციპების როგორც საფრანგეთის შიგნით ისე მის გარეთ, აქტიურმა პროპაგანდამ რევოლუციის მოღვაწეებს მოქმედების ფართო შესაძლებლობა მისცა და შედეგმაც თავი იჩინა. მათ მნიშვნელოვან წარმატებას მაილნიეს, მაგრამ ბოლოს მათ თავიანთი პროპაგანდის წარმატების შედეგად თავიანთი დაცემაც მოამზადეს. სხვა ქვეყნის ხალხებმაც აითვისეს ფრანგი ჯარისკაცების მიერ ხიშტებით შემოტანილი ეს იდეები და თვითონ დაიწყეს ბრძოლა მათი განხორციელებისათვის. ისინი ფრანგებს და საერთოდ ყველა დამპყრობთ იმავე იარაღით ეკვეთენ, რითაც ადრე ფრანგები იმარჯვებდნენ. ეს იყო იდეა თანასწორობისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. მათ საფრანგეთის დაპყრობით გეგმებს გამათავისუფლებელი ბრძოლა დაუპირისპირეს. ევროპაში დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის დიდი ეპოქა“. [25]. თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟან ტიულარი აღნიშნავს, რომ „1812 წელს ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობა წარმოადგენდა არა მხოლოდ სამხედრო კატასტროფას, არამედ ეს იყო ნაპოლეონის ახალი პოლიტიკური სისტემის კატასტროფის დასაწყისი. ნაპოლეონის წინააღმდეგ დაწყებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა კარგად გამოიყენეს ევროპის მონარქებმა და გახდა ძალა, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა, იმპერიის და მისი დამაარსებელის განადგურების საქმეში“.[15].

ნაპოლეონის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ნაპოლეონის ომების სოციალური ასპექტების ევოლუცია შეიძლება ესახებოდეთ. დაპყრობილ ტერიტორიაზე განახლების დანგრევა მაინც

ხდებოდა, როდესაც ამ სოციალურმა ასპექტებმა უკანა პლანზე გადაინია. ამის პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა ესპანეთში 1808 წელს. ნაპოლეონის ომებმა მკვეთრად გამოკვეთილი დაპყრობითი ხასიათი მიიღო. ნაპოლეონის დალუპვა გარდაუვალი შეიქმნა. არმიის მიერ რევოლუციური სულისკვეთების დაკარგვამ ის აქცია აგრესიის ინსტრუმენტად. „გმირული სულიკვეთება თანდათანობით უკან იხევს დაპყრობის სულის წინაშე. რევოლუციის ჯარიკაცის უკან, სულ უფრო ხშირად მოჩანს კონდოტიერი“. [26. 34]. 1807 წლის შემდეგ საფრანგეთის არმიის წარუმატებლობები არ აიხსნება მარტო საფრანგეთის არმიაში უცხოელთა კონტინგენტის ჩართვით. როგორც ამას ხაზს უსვამს თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟან ტიულარი.

ნაპოლეონის დამარცხების კიდევ ერთი სერიოზული მიზეზია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე უარის თქმა. მან ყველაფერის გადაწყვეტა ბრძოლის ველს მიაწვდო. წარმატებებით თავბრუდახვეული იმპერატორი ხომ არ კარგავს რეალობის გრძნობას? დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის თქმით „დიდ პატივმოყვარეობას ძველთაგანვე ბევრი გონიერი ადამიანი ქკუდიდან შეუშალა“ ნაპოლეონის გმირული ეპოპეის ტრაგიკული დასასრულის გასაღებიც იქნებ სწორედ აქ ძვეს.

სურდა თუ არა ნაპოლეონს მსოფლიოს დაპყრობა, როგორც ამას მიაწერენ მას. ეს შეხედულება ძალზე გავრცელებული იყო და, სხვათა შორის, მასზე, როგორც დავინახეთ ჩვენი სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანიც აპელირებენ. იმპერატორს სურდა ეგვიპტის დაპყრობა და ინდოეთში შეჭრა, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მას მსოფლიოს დაპყრობა უნდოდა. მისი ორივე ნაბიჯი ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. რა თქმა უნდა, ნაპოლეონს სურდა კოლონიების ხელში ჩაგდება, მაგრამ ნიშნავს ეს მსოფლიოს ბატონობას? ნაპოლეონის კოლონიური პოლიტიკა არ უნდა გავაიგივოთ მსოფლიოს დაპყრობის სურვილთან. რა სურდა მას? „ნაპოლეონს სურდა შეექმნა უნიფიცირებული ევროპა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა ევ-

როპის ჩამოყალიბება. მის საფუძვლად ესახებოდა უნიფიცირებული კანონთა კოდექსი, სასამართლო, ფულადი სისტემა. ახალი ევროპის შექმნას თან ახლდა გაუთავებელი ომები, რამაც გამოიწვია მკვეთრი რეაქცია. დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ახალი ევროპა, რომელიც ბოლოს და ბოლოს შექმნა ნაპოლეონმა, იმპერიის იერსახე უფრო გააჩნდა და ალბათ, რაც კიდევ უფრო მთავარია გათვლილი იყო ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიაზე, და ორიენტირებული იყო ერთპიროვნულ მმართველობაზე – მის სათავეში მდგომი ნაპოლეონით“. ნიშანდობლივია, რომ მისი გეგმები ევროპას უფრო დაატრიალებდა, ვიდრე მსოფლიოს, ევროპაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეების გავრცელება ნაპოლეონის დამარცხების შემდეგაც გაგრძელდა, მხოლოდ ფორმა შეიცვალა. თუ ნაპოლეონის დროს ეს ხდებოდა ძალისმიერი მეთოდებით, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ მისი გავრცელება ხდებოდა უფრო ლიბერალური ფორმით.

სახელმძღვანელოში მოცემულია ისტორიაში პიროვნების როლის სწორი გააზრების მცდელობა, რაც სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის კიდევ ერთ ღირსებად გვევლინება. ამ შემთხვევაში, ცხადია, დ. უზნაძე და ი. გველესიანი ამას აკეთებენ ნაპოლეონის მაგალითზე. მათ კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. მშვენივრად ესმით, რომ დიდ პიროვნებას შესწევს უნარი კატალიზატორის როლი შეასრულოს და დააჩქაროს ისტორიული მოვლენები. ამავე დროს ისინი ისტორიას არ განიხილავენ როგორც დიდი პიროვნების მოღვაწეობის უბრალო ფონს. ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ორივე უკიდურესობა. ისტორიაში პიროვნების როლის მნიშვნელობის გადაჭარბებანი შეუფასებლობა და თავი დააღწიონ გმირების კულტს.

დასასრულს გამოვთქვამთ ერთ მოსაზრებას, რომელიც გააუმჯობესებდა სახელმძღვანელოს და ის უფრო უკეთესი გახდებოდა. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოში ძალიან მოკლედ ყოფილიყო მოცემული ნაპოლეონის დახასიათება. ნაპოლეონისადმი მათი დამოკიდებულება უფრო გამჭვირვალე

გახდებოდა. ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, ნაპოლეონის პიროვნებაზე კიდევ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნიდა. ეტყობა, ამგვარი მიდგომა შემთხვევითი არაა და ისინი კვალში მიყვებიან პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს.

* * *

ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი საინტერესოა და პლუსები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე მინუსები, პოზიტივი ჭარბობს ნეგატივს. საქართველოში ნაპოლეონის ეპოქის სწავლებამ და შესწავლამ, პოპულარიზაციამ, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უპირატესად, ასახვა ჰპოვა საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსულ „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. დ. უზნაძის და ი. გველესიანის სახელმძღვანელო ერთ-ერთი მათგანი იყო. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ნაპოლეონზე ქართულ ენაზე, ფაქტობრივად, არაფერი იწერებოდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს სახელმძღვანელოები ამ ხარვეზის შევსების პირველ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის წაყრუება, როგორც ამას საბჭოთა ხელისუფლება ნერგავდა, სწორი არ იქნებოდა. იკვეთება აღნიშნული საკითხისადმი სერიოზული მიდგომის კონტურები, წანამძღვრები, სიმპტომები. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო.

დ. უზნაძე და ი. გველესიანი საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებენ ნაპოლეონის ეპოქის ისტორიაში, რაც ემპირიული, ფაქტოლოგიური, ისტორიის ცოდნას ემყარება. საკითხისადმი მათი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო დონეს და ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური ისტორიის

თხრობას, ხოლო სოციალ-ეკონომიკური ისტორია შედარებით ჩრდილშია მოქცეული და გაცილებით უფრო სუსტადაა, გაშუქებული. ნაპოლეონის ეკონომიკური პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ნაპოლეონის ქართველ მომხრეებს შორის აკად. დიმიტრი უზნაძე ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურად მიგვაჩნია. სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი ახალი დროის პოლიტიკური მოღვაწეებიდან განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ნაპოლეონ ბონაპარტეს. მათი ზეანეული ტონი, სწორედ, აქედან იღებს სათავეს. სახელმძღვანელოს ავტორები ნაპოლეონის მიმართ სიმპათიებს ამჟღავნებენ და საკმაოდ კეთილგანწყობილი უნდა ჩანდნენ. ისინი ნაპოლეონის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ, მაგრამ სწორი არ იქნება მის ბრმა აპოლოგეტებად მივიჩნიოთ. მათ მთავარ ტონის მომცემად გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსები ადოლფ ტიერი, ალბერ სორელი, ალბერ ვანდალი და ლუი მადლენი გვევლინებიან. მიუხედავად ამისა ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ ისინი მაინც ვერ იკავებენ ემოციებს და ნაპოლეონს მაღალფარდოვანი ეპიტეტებით ამკობენ. „ის დაჯილდოვებული იყო გონების არაჩვეულებრივი ძალით“. [3.131]. „ამ არაჩვეულებრივ კაცს“ [3.131]. „რუსეთის და პრუსიის გენერლები ვერ უმკლავდებოდნენ თავის გენიოს მონინაალმდეგეს“. [3.137]. „ამ არაჩვეულებრივი სამხედრო ნიჭის კაცს“... [3.138]. ასეთი აღტაცება ნაპოლეონისადმი სიმპათიების ლოგიკური დაგვირგვინებაა. ცოცხა ზედმეტი ხომ არ მოუვიდათ? ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერია და მისაღები უნდა იყოს. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ნაპოლეონისადმი კეთილგანწყობილება, მის უსაზღვრო ქებაში ხომ არ გადაიზრდება? ისინი ნაპოლეონს როგორც სახელმწიფო მოღვაწეს დიდ პატივს სცემენ და მასში ხედავენ დიდ მხედართმთავარს და რეფორმატორს, კანონმდებელს.

ჩვენი ღრმა რწმენით, აკად. დიმიტრი უზნაძე ქართული ნაპოლეონიანას ბონაპარტისტული ფრთის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად უნდა მოვიაზროთ.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძემ თავის წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ საკითხში მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ლიტერატურა:

1. ციტი. О. Дмитриева, Елизавета Тюдор, М. 2004.
2. მ. კალანდაძე, ისტორიკოსები ნაპოლეონზე – „კლდეკარი“, 3. 1998.
3. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
4. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, წიგნი 1. გენერალი ბონაპარტი, თბ., 1994. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, წიგნი 2. იმპერატორი, თბ., 1997.
5. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
6. G. Lefebvre, Napoleon, Paris, 1935.
7. ციტი. Дж. Туган-Барановский. Формирование Бонапартистского режима во Франции в годы консульства (1799-1804 гг.) – Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, М., 1990.
8. ციტი. В. Сироткин, Наполеон и Россия, М., 2000.
9. Д. Сюрд, Гитлер и Наполеон, Смоленск, 1995.
10. Madelin, Histoire du consulat et de l'Empire. vol. 4. История Франции, т. 2. М., 1973.
11. С. Боботов, Наполеон – реформатор и законодатель, М., 1998.

12. А. Грамши, Произведение, т. 3. М., 1959.
13. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ., 2008.
14. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი დიქტატორი და რეფორმატორი – ქართული დიპლომატია, წელიწდეული 15. თბ., 2011.
15. Ж. Тюлар, Наполеон, М., 1996.
16. ჟ. ტიულარი, ნაპოლეონი, თბ., 2012.
17. А. Собуль, Первая республика, М., 1974. А. Собуль, Герой, «легенда» - история «Французский Ежегодник», 1969. М., 1970.
18. Е. Тарле, Наполеон, М., 1957.
19. Талеиран, Мемуары, М., 1959. ე. ტარლე, ტალეირანი, თბ., 1965. Ю. Борисов, Шарль-Морис Талеиран, М., 2002. А. Егоров, Фуше, Р/Д., 1998.
20. А. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973.
21. В. Трухановский, Адмирал Нелсон, М., 1980.
22. ნ. ნიკოლაძე, გერმანიის მდგომარეობა, თხზ., ტ. 2. თბ., 1962.
23. ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარში), თბ., 1978.
24. ციტ. Историография новой и новейшей истории стран Европы и Америки, М., 1977.
25. А. Сорель, Европа и французская революция, т. 1-8. СПб., 1892-1906.
26. А. Galvet, Napoleon, Paris, 1943.

დასკვნა

ისტორიულ მეცნიერებაში აკად. დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილი წვლილის გვერდის ავლა, წაყრუება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ეს იყო ერთი მიდგომა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ეს სასიკეთო არასოდეს ყოფილა. ამ დარგში მისი წვლილის აპოლოგეტური შეფასება გადაჭარბებული უნდა იყოს და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეჩვენა საშუალებო გზა, ოქროს შუაღედი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი, ალბათ, ეს იქნებოდა სწორი მიდგომა.

მოსაზრებები, რომელიც დ. უზნაძის და ი. გველესიანის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების გაცნობის შემდეგ შეიძლება გაგიჩნდეს, პირობით რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

1. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეს არის საკითხები, რომელიც წმინდა მეცნიერულ კამათს იწვევს. ასეთად მიგვაჩნია მეცნიერული პაექრობა, იაკობინთა დიქტატურაზე და იაკობინთა ბელადებზე. ეს სავსებით ბუნებრივია; ნებისმიერ ნაშრომს, სახელმძღვანელოს გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები, ამის გვერდის ავლა, წაყრუება, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს ისტორიკოსის შეხედულებებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. არც მისი აპოლოგია

და არც მისი მიწასთან გასწორება არ ივარგებს. საჭიროა უფრო დაბალანსებული მიდგომა. ხაზი უნდა გაუსვათ არა მარტო მისი შეხედულების ძლიერ მხარეებს, არამედ გამოვავლინოთ ხარვეზები და ავხსნათ მათი გამომწვევი მიზეზები. ისტორიოგრაფიული ნაშრომი აპოლოგეტურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. ეს მართებული არ იქნება.

2. არის საკითხები, რომლის გადაწვეტა დ. უზნაძის მიერ სავსებით სწორი იყო და ამ პერიოდის ისტორიოგრაფიაში მიღებული გახლდათ, მაგრამ შემდგომი დროის ისტორიოგრაფიამ ამ თემებს სხვაგვარად შეხედა და კიდევ უფრო სრულყო, დახვეწა. ასეთად მიგვაჩნია მათი დამოკიდებულება რევოლუციური ტერორისადმი, მისადმი მარტივი, ემოციური, მიდგომა დღეს უკვე ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. როგორც დამაჯერებლად ცხადყოფენ, უახლესი გამოკვლევები საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. რევოლუციური ტერორის ზნეობრივი პოზიციებიდან განსჯა საკმარისი არ უნდა ჩანდეს.

3. არის საკითხები, რომლისადმი მათი დამოკიდებულება მეცნიერულია და სწორია და მას ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა მაშინაც და ყავს დღესაც, მაგრამ არსებობს ამ საკითხების სხვა გადაწყვეტა, რომელსაც ასევე მრავლად ყავს მომხრეები, ისინი იზიარებენ ერთ მოსაზრებას, ჩვენ კი ამ საკითხზე მეორე თვალსაზრისს ვემხრობით. ასეთად მიგვაჩნია აზრთა სხვადასხვაობა ახალი ისტორიისა და საფრანგეთის დიდ რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხებზე. აქ კამათი შეეხება დეტალებს და პრინციპულ ხასიათს არ ატარებს.

4. სახელმძღვანელოს გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, გაგვიჩნდება სურვილები, რომელიც სახელმძღვანელოს შემდგომ სრულყოფაზე გათვლილი და შინაასობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მას.

5. ეს არის ჩვენი ფრთხილი ვარაუდი იმის თაობაზე, თუ რა ცვლილებები შეიძლებოდა შეეტანათ მათ უფრო მეტი დრო, რომ ჰქონოდათ.

აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონისადმი საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია, მის მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, რომელიც გარკვეულ დახმარებას გაგვინევს ამ რთულ სიტუაციებში ოპერირების დროს, გვიჩვენებს სწორ გზას. „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრეოთ“ დ. უზნაძის სახით საქმე გვაქვს საზოგადოების ევოლუციური გზით განვითარების მომხრესთან. ის მიესალმება რევოლუციას ზემოდან, როდესაც ხორციელდება თანდათანობითი გარდაქმნები, ზომიერი რეფორმები. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება, მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისის, მისი პირველი ეტაპის, კონსტიტუციური მონარქიისადმი (1789-1792), რომელიც სავსებით შეესატყვისება მის პოლიტიკურ იდეალს. საფრანგეთის დიდი რევოლუცია გაცდა უზნაძისათვის სასურველ ფარგლებს და მკვეთრად გამოკვეთილი დემოკრატიული ხასიათი შეიძინა. ფ. შატობრიანის თქმით „საფრანგეთის რევოლუცია პატრიციებმა დაიწყეს და პლებეებმა დამთავრეს“. რევოლუციის ასეთი მსვლელობა დ. უზნაძისთვის როგორც ლიბერალისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მსვლელობით მათი იმედგაცრუება მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება და თავის კულმინაციას, პიკს, იაკობინთა დიქტატურისადმი დამოკიდებულების დროს აღწევს. ეს იყო სწორი მიდგომა, რომელიც ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია. ის კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობილებას. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს დ. უზნაძე პროგრესულ-ლიბერალ-

ურ პოზიციებზე დგას, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ისინი ნაპოლეონში ხედავდნენ ისეთ პიროვნებას, რომლის სახელი ასოცირდება ძველის ნგრევასთან და ახლის შენებასთან, რომელმაც შეძლო ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება. ნერტილი დაუსვა რევოლუციის შედეგად გამოწვეულ არეულობას, ნგრევას, ქაოსს. შეეძლო რევოლუციის შედეგად გახლეჩილი ფრანგი ერის გაერთიანება, კურსი სტაბილიზაციაზე აიღო. ეს, იმ ექსტრემალურ ვითარებიდან, რომელიც შეიქმნა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა, რომელსაც გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკური წარმატებები მის პიროვნებას, მათ თვალში, ალბათ, კიდევ უფრო მეტ რომანტიულ შარმს სძენდა. ნაპოლეონს ისინი აღიქვამდნენ, როგორც დიდ პიროვნებას, რომელმაც კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა ისტორიული მოვლენები. ინდუსტიული საზოგადოების განვითარება შეუქცევად ხასიათს იღებს. ნაპოლეონისადმი მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გასაღები, ვფიქრობთ, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ.

აკად. დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის მოღვაწეობის სწავლება, პოპულარიზაცია და შესწავლა. ამ საკითხში მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამ თემაზე საუბარს, ალბათ, აქ დავასრულებდით, თუ არა ერთი გარემოება, საქმე ისაა, რომ ამ კუთხით საკითხის გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს და საშუალებას გვაძლევს გავაბათილოთ მთელი რიგი მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. დასკვნის, მეორე ნაწილი, სწორედ, ამ მარქსისტული დებულების გაბათილებას ისახავს მიზნად, ჩვენ შევეცადეთ გაგვესწორებინა

ეს შეუსაბამობა და სულ სხვა აქცენტები დავსვით. საქართველოში ამ პრობლემის შესწავლის სულ სხვა სურათი მივიღეთ.

* * *

უნდა ითქვას, რომ მოსაზრება, თითქოსდა საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში პოზიტიური არაფერი გაკეთებულა, მათ შორის ცხადია, მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად კი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის სწავლების და შესწავლის პოპულარიზაციის თვალსაზრისით, სინამდვილეს არ შეეფერება და რეალურ ფაქტებთან შეხების დროს ხუხულასავით იშლება. ამ შეხედულების გასაბათილებლად საკმარისი იქნებოდა გავიხსენოთ იმ პერიოდში გამოქვეყნებული „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული, სასკოლო სახელმძღვანელოები. დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო ერთ-ერთი მათგანი იყო.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის სწავლების და შესწავლის პოპულარიზაციის საქმეში თვისებრივი ცვლილები ასოცირდება არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიასთან, როგორც ამას გვიმტკიცებდა საბჭოთა იდეოლოგია, არამედ სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში განხორციელებულ პირველ ღონისძიებებთან. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. შესაძლოა, ეს ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, რა თქმა უნდა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლამ საქართველოში სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სიახლე იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამიტომ ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება, ყოველგვარ

მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და ძირშივე მცდარია. ასეთი იყო საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ნება.

ჩვენ ვცადეთ დაგვეზუსტებინა საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების საერთო სურათი, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა. აღნიშნულ საკითხში თვისებრივ ხარისხობრივ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. მანამდე ფასეული არაფერი გაკეთებულა. აი ასეთი იყო საბჭოთა სტერეოტიპი. ის წინამორბედების წვლილის უარყოფაზე იყო გათვლილი. ჩვენ ეს მონაკვეთი ჩავრთეთ საქართველოში ამ პრობლემით დაინტერესების საერთო კონტექსტში და ვცადეთ გაგვებათილებინა საბჭოური მიდგომა. მას დაუბრუნეთ არსებობის უფლება, რომელიც საბჭოთა პერიოდში, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ჰქონდა. მსოფლიოს ისტორიის სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია სუვერენულ საქართველოში 1918-1921 წლებში. აღვადგინეთ ამ პრობლემით დაინტერესების ზუსტი საერთო სურათი. აღნიშნული პრობლემის პერიოდიზაციაში კორექტივების შეტანა ამის ლოგიკური შედეგი იყო. ჩვენ შევეცადეთ სულ სხვა აქცენტები დაგვესვა და უფრო მივახლოებოდით რეალურ სიტუაციას [1].

საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების ერთიანი პროცესი არსებობს და არანაირ სტაგნაციას ჩავარდნას, რაზეც საბჭოთა ეპოქაში აპელირებდნენ, ამ სფეროში ადგილი არ ჰქონია.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ისტორიით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დიდი ხნის განმავლობაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. იკვეთება აღნიშნული საკითხისადმი სწორი მეცნიერული მიდგომის კონტურები, წანამძღვრები, პირველი სიმპტომები. პირველი ნაბიჯები ზუსტად გათვალეს. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგაგადგმუ-

ლი ნაბიჯი იყო და XX საუკუნის 10-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლა, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან ხასიათს, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა ხანაში. მან საინტერესო ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად მან ასახვა ჰპოვა ქართულ პერიოდულ პრესაში, ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის ჩარჩოებს არ გასცილებია და, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ეს იყო ამ საკითხით დაინტერესების პირველი საფეხური. ამ თემისადმი ლიბერალური მიდგომის კულმინაციად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები მიგვაჩნია. მათ შორის, ცხადია, დ. უზნაძის და ი. გველესიანს სახელმძღვანელო. საკითხისადმი მიდგომამ სამეცნიერო პოპულარული ხასიათი შეიძინა, რაც, იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე თვისებრივი სიახლე იყო და წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ეს უკვე მეორე საფეხურია. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის მოღვაწეობის შესწავლის დროს სწორი, მეცნიერული კურსი უნდა ჰქონოდა დასახული და სწორი გზით მიდიოდნენ. პირველი სწორი ნაბიჯი გადაიდგა, საფიქრელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ თემით დაინტერესების საქმეში მკვეთრი მეტამორფოზი ხდება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო, რომელიც წინ გადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის მოღვაწეობის შესწავლა მეცნიერულ დატვირთვას იძენს, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ემპირიის ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარა

იყო და ამის წაყრუება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ჩიხური გზა იყო, ის კონცეპტუალურ ხასიათს ატარებდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღებიც სწორედ აქ ძეგს. მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო. ეს მესამე საფეხური გახლდათ.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გათავისუფლდეს, თავი დააღწიოს ამ საკითხისადმი მარქსისტულ მიდგომას და დაუბრუნდეს და განავითაროს საწყისი ღირებულებები. ის აქცენტს აკეთებს თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, ლიბერალურ შეხედულებებზე, საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს პირველი შრომები აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ [2]. როგორც ჩანს, ყინული ნელ-ნელა დაიძრა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. გასაკეთებული ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. ეს უკვე მეოთხე საფეხურია.

მაშ ასე, აღნიშნული პრობლემის შესწავლა სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან ხასიათს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და, ვფიქრობთ, საინტერესო ევოლუცია განიცადა. თავისუფალი აზროვნებიდან, ისტორიული პრობლემისადმი, მრავალვარიანტული მიდგომიდან, პლურალიზმიდან, ლიბერალური ღირებულებებიდან, მარქსიზმისაკენ, მონისტური მიდგომისაკენ, ფორმაციული პრინციპისა და კლასობრივი ბრძოლისკენ, ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატის მონოპოლიისაკენ. უახლესი ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაუბრუნდეს სწორ გზას, აქცენტი გააკეთოს თავისუფალ აზროვნებაზე. ისტორიული მოვლენებისადმი, მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, ლიბერალურ ფასეულობაზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯია. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა. საქართველოში აღნიშნული საკითხის შესწავლა განვიხილოთ არა სწორხაზოვნად, როგორც ამას ხაზს უსვამდა ტოტალი-

ტარულ-ბოლშევიკური იდეოლოგია, არამედ სპირალისებურად. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლამ საკმაოდ რთული და გრძელი გზა განვლო, რომელიც იავარდებით მოფენილი სულაც არ იყო, ის დიდი ხნის განმავლობაში ტოტალიტარული სახელმწიფოს ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზენოლას განიცდიდა, რაც, ბუნებრივია, აფერხებდა ამ პრობლემის მეცნიერულ კვლევას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამას, ცხადია, ვერავინ უარყოფს. [3]

საქართველოში, საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის მოღვაწეობის შესწავლის ოპტიმალურ ხანად ამ პრობლემით საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესება კი არ მიგვაჩნია, არამედ სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, მათ შორის, რა თქმა უნდა, დ. უზნაყისა და ი. გველესიანის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. ირკვევა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის მოღვაწეობის სწავლებისა და შესწავლის, პოპულარიზაციის დროს ქართულ ისტორიოგრაფიას სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული და სწორი მეცნიერული გზით მიდიოდა. იკვეთება აღნიშნული პრობლემის მეცნიერული გაშუქების კონტურები, წანამძღვრები, პირველი სიმპტომები. საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ხანის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა, რაც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია. ეს იყო ევროპული მიდგმა. ქართული ისტორიოგრაფია სწორებას საერთაშორისო სტანდარტებზე აკეთებდა. ეს იყო მისი

მთავარი პლუსი. პირველი ნაბიჯი სწორი გადადგეს. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მეტის გაკეთება, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ვეღარ მოასწრეს.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის მოღვაწეობის მეცნიერული სწავლების და შესწავლის აკვანი დაირჩა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. აი, ასეთი იყო რეალობა, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ქართული საზოგადოების თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა. ჩვენ ვცადეთ, გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინა რეალური სურათი. მას საფუძვლად უდევს ამ საკითხებში 1918-1921 წლებში საქართველს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის რეანიმაცია. არავითარ წყვეტას, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა პერიოდში, ამ სფეროში ადგილი არ ქონია. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება. [4].

ლიტერატურა:

1. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები – საისტორიო ძიებანი, XII. თბ., 2015.
2. აღნიშნული პრობლემის მარქსიზმისაგან გათავისუფლების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩნია. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია., VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005. ამ ხაზის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები: კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბ., 1999. ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვანი შენაძენია პროფ. დიმ-

იტრი ცისკარიშვილის წიგნი ნაპოლეონზე, დ. ცისკარიშვილის, ნაპოლეონი, წიგნი 1. გენერალი ბონაპარტი, თბ., 1994, წიგნი 2. იმპერატორი, თბ., 1997. ამ სფეროში აქტიურად იღწვის ალექსანდრე მიქაბერიძე. ჯერ იყო და მან დააარსა საქართველოში ნაპოლეონის საზოგადოება, მან, ახალგაზრდა ისტორიკოს ნიკა ხოფერიასთან ერთად, გამოსცა ნაპოლეონის მამლუქის რუსტამ რაზას მემუარები. (ნაპოლეონის მამლუქი რუსტამ რაზას მემუარები. ფრანგულიდან თარგმნეს წინასიტყვაობა და კომენტარების დაურთეს ალექსანდრე მიქაბერიძემ და ნიკა ხოფერიამ. თბ., 2012). მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ ის იყო თბილისელი სომეხი რუსტამ რაზა. ასე იქნა გაბათილებული მითი თითქოსდა ის იყო ქართველი როსტომ რაზამაძე. (იხ. გ. ყორდანიას, რუსტამი – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. თბ., 1984, გვ. 515). ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. გ. ჯაფარიძე, როგორ იმსხვრევა მითები. – საისტორიო კრებული, 2. თბ., 2012. ყურადღებას იპყრობს მწერალ როსტომ ჩხეიძის საინტერესო წიგნი „ჩემი წილი ვატერლოო“, თბ., 2015. ივ. მენტეშაშვილი, ნაპოლეონი, თბ., 2016. აღნიშნულ საკითხს ეხება ამ სტრიქონების ავტორი, მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ., 2008, თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ისტორიკოსები რობესპიერზე – კრებული მიძღვნილი ვლდიმერი ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი. VI თბ., 2007. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, რობესპიერი ქართულ ისტორიოგრაფიაში. – კრებულში ხელისუფლება და საზოგადოება, 2. თბ., 2008. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში „საქართველოს კომუნისტი“, 7, 1989. მ. კალანდაძე, წიგნი ნაპოლეონის შესახებ – კლდეკარი, 1. 2000. მ. კალანდაძე ქართული ნაპოლეონიანა. მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, მეორე სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1998. მ. კალანდაძე, ისტორიკოსები ნაპოლეონზე – „კლდეკარი“, 3. 1998. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი დიქტატორი და რეფორმატორი – ქა-

რთული დიპლომატია, წელიწდეული 15 თბ., 2011, მ. კალანდაძე, ვიქტორ ნოზაძის ნაშრომი „ნაპოლეონი და საქართველო“ – ქართული დიპლომატია. წელიწდეული 14. თბ., 2011. მ. კალანდაძე, ალექსანდრე დიუმა და ნაპოლეონი – „ჩვენი მწერლობა“, 8. 2012. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში – ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII, თბ., 2015-2016. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ნაპოლეონის გარდაცვალების ვერსიები – კრ. ხელისუფლება და საზოგადოება, 3, თბ., 2008. მ. კალანდაძე, რუსტამი – ნაპოლეონის მამლუქი – „ისტორიანი, 9. 2011. მ. კალანდაძე, ნიკოლოზ ურბნელი საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე და ნაპოლეონზე – ქართველოლოგია, 4, თბ., 2015. ამიტომ მოსაზრება, თითქოსდა ქართველმა ისტორიკოსებმა ბოლო დროს ზურგი აქციეს ამ პრობლემატიკას სწორი არაა და კიდევ ერთ ინსინუაციად მიგვაჩნია.

3. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიოს ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, VIII ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 2015.
4. მ. კალანდაძე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია – მაცნე, ისტორიის სერია, 1-2, 2016. ეს აზრი გვაქვს გატარებული ჩვენ წიგნებში. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006, მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაცია ქართული ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007, მ. კალანდაძე, ქართული მედივისტიკის სათავეებთან, თბ., 2009, მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.

სარჩევი

შესავალი.....3

ქარი პირველი

ღიმიტრი უზნაძე და რევოლუსია

თავი I. ღიმიტრი უზნაძე და რევოლუსია..... 9

ქარი მეორე

ღიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუსიაზე

თავი I. ღიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუსიის პერიოდისათვის25

თავი II. ღიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუსიაზე38

თავი III. ღიმიტრი უზნაძე იაკობინათა დიქტატურაზე66

თავი IV. ღიმიტრი უზნაძე იაკობინათა ბალანდზე...87

ქარი მესამე

ღიმიტრი უზნაძე ნაპოლეონზე

თავი I. ღიმიტრი უზნაძე ნაპოლეონზე..... 105

დასკვნა..... 144

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
სოფო კობიაშვილი
ლიკა სხირტლაძე
ალექსანდრე ჯიტურიძე



გამომცემლობა არტანუჯი

✉ თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5.
☎ 2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22.
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge



სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 55
stamba.damani@gmail.com
f სტამბა დამანი / Print House Damani